პალიტრა მედია

# ლელო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 იანვარი **სამშაბათი** 2011
№ 006 (13303) ფასი 60 თეთრი



## მე?SI!

### ლეომ მსოფლიო ისევ დაიპყრო



## განსაკუთრებული ამბავი! მოუმ მსოფლიოს ჩემპიონს აჯობა

9



ზურაბ სიჭინავა

## უნდა თუ არა?

2

ქართული ფეხბურთი

XIX ყრილობის შესახვედრად



# სიჭინავამ მოლოდინი შექმნა: უნდა თუ არა პრეზიდენტობა? უნდაო

ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები კარს მოგვადგა - ყრილობა 22 იანვარს გაიმართება. არჩევნებში მონაწილეობის მსურველებმა კანდიდატურები 12 იანვრის საღამოს 6 საათამდე უნდა წარადგინონ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტის - **ზვიად სიჭინავას** კანდიდატურა ფეხბურთის ფედერაციის 33-დან ოცმა სუბიექტმა წარადგინა: თბილისის „ვიტ ჯორჯიამ", ზუგდიდის „მგლებმა", ქუთაისის „ტორპედომ", სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, იმერეთის, კახეთის, გურიის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და რაჭა–ლეჩხუმქვემო სვანეთის რეგიონულმა ფედერაციებმა, აჭარის, სამაჩაბლოს (სამხრეთ ოსეთის) და ქალთა ფეხბურთის ფედერაციებმა, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა, ეზოს ფეხბურთის, პლაჟის ფეხბურთისა და საფეხბურთო სკოლების ასოციაციებმა, ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირმა და მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა კავშირმა.

საარჩევნო რეგლამენტით, პირველი ტურის მოსაგებად კანდიდატს ხმების მარტივი უმრავლესობა, ანუ 17 ხმაც ჰყოფნის. სიჭინავას წარმომდგენთა რაოდენობიდან ცხადია, რომ მას კონკურენტი არ ეყოლება, დარჩენილმა 13-მა სუბიექტმა მოქმედ პრეზიდენტს ერთიანი კანდიდატიც რომ დაუპირისპიროს. ეს ელემენტარული არითმეტიკაა - ცამეტი ოცის წინააღმდეგ ვერ მოიგებს.

თუმცა ბოლო დღეებში ისმოდა ხმები, თითქოს სიჭინავას კანდიდატურის წამოყენება გადაწყვეტილი არ ჰქონდა. ეს ჭორად ჩავთვალეთ, მაგრამ გუშინ არჩევნებში მონაწილე ერთ-ერთი კლუბის წარმომადგენელი დაგვიკავშირდა და დაინტერესდა, რა ვიცოდით არჩევნებთან დაკავშირებით და დააკონკრეტა - გვაცნობეს, თითქოს სიჭინავამ არჩევნებში მონაწილეობა გადაიფიქრა, არგუმენტად კი ის დაგვისახელეს, რომ კანდიდატურა დღემდე არ წამოუყენებია და თქვენ რა იცითო.

ხმები ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილმა** კატეგორიულად უარყო: *"სიჭინავას კანდიდატურა ჯერ არ წარმოუყენებია, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი რომ ეთქვა, ეს აუცილებლად მეცოდინებოდა. 12 იანვრამდე ორი დღეა დარჩენილი და სიჭინავა კანდიდატურას აუცილებლად წამოაყენებს".*

**მერაბ მამულაშვილი**

ქართველობა ძნელია

# ეტი გრუზინი...

## ნუ დაეკარგებით საკუთარ თავს!

ბოლო წლებში უცხოეთში ბევრი ქართველი ფეხბურთელი ჩაიკარგა. 2007 წელს კიევის "დინამოში" ჩარიცხული 18 წლის **ლაშა თოთაძე** შეაქეს, არატიპური ქართველიაო, მაგრამ ამით დანარჩენ ქართველებს გადაუსვეს ხაზი. ამ ერთ ფრაზაში გამოიხატა ჩვენი ფეხბურთელებისადმი ჩამოყალიბებული უარყოფითი დამოკიდებულება, ანუ იგულისხმებოდა, რომ ტიპური ქართველი ზარმაცი და უქნარააო.

**ალეკო ამისულაშვილი, კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე, დავით იმედაშვილი, სანდრო კობახიძე, ბექა გოცირიძე** უკრაინის წამყვან კლუბებში ახალ "კალაძეებად" და "დემეტრაძეებად" წაიყვანეს, მაგრამ ფეხბურთელებმა იმედები ვერ გაამართლეს. გოცირიძის ამბავი გასაგებია, ტრავმის შემდეგ ფორმის აღსადგენად დრო სჭირდებოდა, კობახიძე კი ნიჭიერია, მაგრამ "დნიპრო" და უკრაინული ფეხბურთი საიმისო არ აღმოჩნდა.

ამისულაშვილმა, ალადაშვილმა, მარცვალაძემ და იმედაშვილმა კიევის "დინამოში" ფეხი ვერ მოიკიდეს და კიევი დატოვეს. თუმცა გავიდა დრო და გამოჩნდა, რომ ზარმაცი და უქნარა არც ერთი ყოფილა და რომ მათი სკამზე სხდომის მიზეზი სხვა რამ იყო – რა თქმა უნდა, ძნელია, საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ უკრაინულ მოთხოვნებს ალღო აუღო, მაგრამ პრიმერა-დივიზიონიც არაა. ამ შემთხვევაში მთავარი უკრაინელების დამოკიდებულება, უფრო სწორად, უნდობლობა იყო.

ისინი ქართველებს აღარ ენდობიან და თუ იწვევენ, ჩვენებურებში უფრო ნაკლებს იხდიან, ვიდრე რუმინელ, უნგრელ, სერბ, ხორვატ და სამხრეთამერიკელ მოთამაშეებში, ძვირადღირებულ ლეგიონერებს კი სკამზე არ სვამენ და ქართველები ჩრდილში ექცევიან.

ამას ბევრი ქართველის სიზარმაცეც უწყობს ხელს - ამ თვალსაზრისით აღმოსავლეთ ევროპის ბრაზილიელების წოდებას ნებისმიერს შევეცილებით. ბევრს (იმედია, არა უმრავლესობას) კარგი ანაზღაურებაც აკმაყოფილებს და სპორტული წინსვლის ჟინი უქრება, მაღალი ხელფასის მოთხოვნა უფრო აქვს, ვიდრე - მაღალ დონეზე თამაშის.

ცალკე თემაა ქართველი მენეჯერების უზომო მადა, გადაგდება-გადმოგდების ტრადიციად ქცეული მცდელობები და ეს ყოველივე საერთო აზრს ქმნის, რომ ქართველებთან ურთიერთობა არ ღირს.

ფორუმში გულშემატკივარი წერდა: *"საინტერესოა, ასე რატომ ემართებათ მხოლოდ ქართველებს? იქნებ ეს არასწორი სატრანსფერო პოლიტიკის ბრალია და მეტი არაფერი... ასე არ შეიძლება, ბიჭები ხომ ცოდოები არიან? დროა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სათანადოდ იზრუნოს ამ პრობლემაზე!"*

ფედერაციას სატრანსფერო საქმიანობაში ჩარევა კატეგორიულად ეკრძალება, მაგრამ თავად ფეხბურთელები კონტრაქტის გაფორმებამდე ფედერაციის შესაბამის სამსახურს რჩევას თუ დაეკითხებიან, ურიგო არ იქნება - რეზო შენგელიას ბევრი ფეხბურთელი დაუკვალიანებია და საბედისწერო შეცდომებისგან უხსნია.

... გასული წლის იანვარში რუსეთის პრემიერლიგელ პერმის "ამკარში" თორნიკე თარხნიშვილი გასინჯეს, განსაჯეს და სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. თუმცა საქმეში კიეველი მენეჯერი ჩაერია (ამას მაინც ვერ დავაბრალებთ ქართველს) და ნახევარი მილიონი დოლარი მოითხოვა.

კარგად მახსოვს თარხნიშვილის მაშინდელი ინტერვიუ, რომელიც "ამკარის" მწვრთნელის ნათქვამს გულნატკენი იხსენებდა – ხელმძღვანელობა 18 წლის



ზაზა ჯანაშია

ქართველში ამხელა თანხას არ გადაიხდის, სხვა ეროვნების რომ ყოფილიყავი, კიდევ დაგტოვებდიო. მიზეზი? როდესაც გაბრწყინების დრო გიდგებათ, ქართველები სწორედ მაშინ ივიწყებთ ფეხბურთს და რა გარანტია მაქვს, შენში გადახდილი ნახევარი მილიონი წყალში არ გადაიყრება?!

ჩვენი ფეხბურთის ბოლო წლების უბედურება ისაა, რომ მას თავად მოვჭერით თავი და ახლა შედეგებს ვიმკით. ძნელია "ამკარის" მაშინდელი მწვრთნელის არგუმენტები არ გაიზიარო, რადგან ქართველი ფეხბურთელის სახელი საკმაოდ წახდა, ამ დაღმასვლას ჯერ კიდევ **ზაზა ჯანაშიას** დარდიმანდობამ დაუდო სათავე. ევროპული გრანდების სასურველი მოთამაშე ("ინტერი", "შტუტგარტი", "ლაციო", "იუვენტუსი" იწვევდნენ) ფეხბურთიდან 27 წლისა წავიდა. განა, თავისი უზომო ნიჭის საკადრისი კარიერა ჰქონდა **გიორგი ქინქლაძეს?**

ეროვნულ ნაკრებში 17 წლის გაბრწყინებული **ოთარ ხიზანეიშვილი** "ანჟიდან" ისე გამოუშვეს, ძირითად შემადგენლობაშიც ვერ მოხვდა. **ზურაბ ხიზანიშვილსაც** ბევრად უკეთეს დონეზე უნდა ეთამაშა. **გოგიტა გოგუა** ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაშია", არადა, "აიაქსსა" და "შალკეში" იწვევდნენ.

ვარსკვლავური პოტენციალის **ლაშა ჯაკობია** ლიეჟის "სტანდარდში" 17 წლისა ჩაირიცხა, ახლა კი უგუნდოა. ოდესღაც "რომას", "არსენალის" და "შალკეს" სამიზნეში მოხვედრილ **მალხაზ ასათიანს** მოსკოვის "ლოკომოტივმა" კონტრაქტი არ გაუგრძელა.

ამას დაემატა ჩვენი ჩემპიონატის დონის დაქვეითება. ვინც კი არ დაიზარა, ყველამ გაგვისწრო – დონით, პირობებით და კლასით ყირგიზებსა და ტაჯიკებს თუ ვჯობნით. ყველა დანარჩენმა პოსტსაბჭოურმა ქვეყანამ ჩამოგვიტოვა.

შესაბამისად, ჩვენი მოთამაშეების კლასი დაეცა. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციალი აქვთ, უკრაინისა და მსგავსი დონის პირველობებზე სათამაშოდ, ადაპტაცია-გარდაქმნისთვის ერთი წელი მაინც სჭირდებათ, უცხოეთში კი დროს არავინ მოგცემს, ამ ერთ წელიწადში ასათვისებელი შენს ქვეყანაში უნდა გესწავლა.

მიმდინარე ჩემპიონატში უამრავი შეხვედრა ვნახეთ და მათსა და "ტელევიზორის ფეხბურთს" შორის საშინელი განსხვავებაა. სისწრაფე, საერთო დონე, ტაქტიკური განსწავლულობა, სათამაშო დისციპლინა და ფიზიკური მომზადება ჩვენში საბჭოური "პრიმასტერების" დონემდე დაეცა. პარადოქსია – საქართველოს ჩემპიონატში ლიდერობენ გუნდები, რომელთა უპირატესობის საფუძველი ფიზიკური მომზადებაა. ლიდერისა და აუტსაიდერის შეხვედრების 99 პროცენტი იდენტურია – ლიდერი იგებს არა მხოლოდ მწვრთნელის ტაქტიკის, არამედ მეორე ტაიმში შემორჩენილი ძალის ხარჯზე, ფეხბურთელები კი სასურველი სისრულით არ იტვირთებიან.

ასეთ პირველობაზე გაზრდილ მოთამაშეებს გაუზრდელები უფრო ჰქვიათ და უფრო მაღალ დონეზე თავის უცებ დამკვიდრება უჭირთ, ფსიქოლოგიურად ითრგუნებიან, დნეპრის, მასკვას თუ სენა-ტემზის ნაპირებთან კი მზა ფეხბურთელები სჭირდებათ და ადაპტაციისთვის დროს არ აძლევენ.

ფაქტი კი ისაა, რომ სახელიც წაგვიხდა, კლასიც და ახლა ქართველის ევროპული ლიგის კლუბში მოხვედრაც სასწაული გვგონია. უკრაინა-რუსეთს ვინ ჩივის, აზერბაიჯანსა და ყაზახეთშიც აღარ გვწყალობენ. წავიდა ის დრო, ქართველი ესთეტიკური ფეხბურთის სიმბოლო რომ იყო, სახელის გატეხვას კი თავის გატეხვა მართლა სჯობია.

ამ უნდობლობას ეწირება ბევრი ნიჭიერი და არცთუ ზარმაცი ქართველი ფეხბურთელი, რადგან უცხოეთში იციან მხოლოდ მაგალითები და არა გამონაკლისები.

**მერაბ მამულაშვილი**

ტორპედო

# ევროორიენტირი ქართული პათოსით: კიდევაც დაიზრდებიან...

**„ტორპედოს" მიზანი უეფას თასზე გასვლაა. კლუბის ხელმძღვანელობა ცდას არ აკლებს, რათა გუნდი გააძლიეროს და საწადელს მიაღწიოს. შემადგენლობის გაძლიერებასთან ერთად კლუბის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაც გრძელდება. ქუთაითურებს შორს მიმავალი გეგმები აქვთ, რის შესახებაც „ლელოს" „ტორპედოს" აღმასრულებელი დირექტორი გიორგი პაპიაშვილი ესაუბრა.**

**- რამდენად მოსალოდნელი იყო „ტორპედოს" ხელმძღვანელობისთვის პირველი ეტაპის შედეგი?**

- უკეთესის იმედი გვქონდა. პირველი ეტაპის შედეგი ჩვენს მიზნებსა და ამოცანებს არ შეესაბამება. მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება. ახალი გუნდი გვყავს, რომელიც ჯერაც შენების პროცესშია. სწორედ ამიტომ მოვახდინეთ გარკვეული ცვლილებები გუნდში.

**- რა არის „ტორპედოს" მიზანი ამ სეზონში?**

- ჩვენი პრიორიტეტი თასის გათამაშებაა, თუმცა უპირველესად კლუბის ტექნიკური ბაზის შექმნაზე ვართ ორიენტირებულნი. ბაზა და სტადიონი ევროპულ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. პარალელურად გუნდიც გაძლიერდება.

**- ბაზასა და სტადიონზე ახალი საფარი თუ დაიგება?**

- საღორიის ბაზის მოედანზე ახალი ბუნებრივი საფარი დაიგება. სტადიონზე ჯერ მოედნის საფარს მოვაწესრიგებთ, ხოლო წლის ბოლოს მისი გამოცვლაც იგეგმება. ეს კი გუნდის შედეგზე იქნება დამოკიდებული. თუ უეფას თასზე გავედით, მოედანი აუცილებლად გამოიცვლება. ახალი საფარის დაგება ისედაც იგეგმება, მაგრამ გუნდის წარმატება ამ პროცესს დააჩქარებს.

**- „ტორპედოში" არაერთი ახალწვეულია, როგორ ფიქრობთ, შეძლებენ ისინი გუნდის გაძლიერებას?**

- ჩვენმა პირველმა ნაბიჯმა, როცა „ავაზადან" ახალგაზრდა, „უსახელო" ბიჭები ჩამოვიყვანეთ, სავსებით გაამართლა. გიგაური, კემუხტაშვილი და საბანაძე კიდევ მოუმატებენ და დარწმუნებული ვარ, ისინი დიდ ფეხბურთს ითამაშებენ. რაც შეეხებათ ახალ ფეხბურთელებს, ისინი ძირითადად კონკურენციის შექმნის მიზნით ავიყვანეთ. არის რამდენიმე ცნობილი მოთამაშე, რომლებზეც დიდ იმედებს ვამყარებთ, ზოგი ნაკლებად ცნობილია, მაგრამ ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან. ახლებსაც და ძველებსაც დასამტკიცებელი ექნებათ, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშს იმსახურებენ. კონკურენციის პირობებში კი გაცილებით მებრძოლი და ამბიციური გუნდის შექმნა შეიძლება.

**- გუნდის შევსება, ალბათ, კვლავ გაგრძელდება...**

- აქცენტი გუნდში ამჟამად მყოფ ფეხბურთელებზე გაკეთდება. თურქულ შეკრებაზე წასაყვანთა ბირთვი, ფაქტობრივად, გამოკვეთილია. შესაძლოა, შემოგვიერთდნენ ისინი, ვისაც დავაკვირდებით და თუ თავს გამოიჩენენ, შანსს მივცემთ. „ტორპედოში" თამაშის მსურველი ბევრია, მაგრამ ჩვენ იმას კი არ ვაქცევთ ყურადღებას, ესა თუ ის ფეხბურთელი ადრე სად თამაშობდა, ჩვენთვის მთავარია, როგორ მოერგება გუნდს.

**- კლუბის ერთ-ერთი პროექტია „ტორპედოს" აკადემიის ჩამოყალიბება, როდის ამუშავდება აკადემია?**

- „ტორპედოს" აკადემია ერთ-ერთი საუკეთესო იქნება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში. აკადემიაში დაახლოებით 500 ბავშვი მოემზადება. ფეხბურთელების მიღება წლეულს, სექტემბერში დაიწყება. აკადემია საღორიის საწვრთნელ ბაზაზე ჩამოყალიბდება, სადაც იქნება 5 სხვადასხვა ზომის ხელოვნურსაფრიანი მოედანი და ერთიც ბუნებრივსაფრიანი. ბაზის ინფრასტრუქტურა საშუალებას გვაძლევს, რომ გამორჩეული ბავშვები იქვე ვაცხოვროთ. საღორიის ბაზა 90 ფეხბურთელს დაიტევს, ღმერთმა ქნას და, თუ მეტი ნიჭიერი ბავშვი აღმოჩნდა, სტადიონის ტერიტორიაზე გვაქვს მათი განთავსების საშუალება.

**- საღორიის ბაზას თუ აკადემია დაიკავებს, „ტორპედოს" ფეხბურთელები სად დაბინავდებიან?**

- აქ საქმე სხვაგვარად იქნება. ფეხბურთელები ბაზაზე არ იცხოვრებენ, ისინი მხოლოდ მოსამზადებელი შეკრებების დროს იქნებიან იქ. ჩენი მიზანი გუნდის შენებასთან ერთად ფეხბურთელების გაზრდაცაა, რაც რამდენიმე წელიწადში არა მარტო „ტორპედოს", არამედ მთლიანად ქართულ ფეხბურთს დიდ სამსახურს გაუწევს.

**დავით პოხრეიძე**
ქუთაისიდან

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დინამო. ინტერვიუ დიმიტრი ტატანაშვილთან

# გაუმარჯოს ამბიციას!

## რა თქმა უნდა, დინამო, რა თქმა უნდა, ნაკრები



დიმიტრი ტატანაშვილი

**სამწლიანი განშორების შემდეგ 27 წლის თავდამსხმელი დიმიტრი ტატანაშვილი ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნდა. „ამერის“ ყოფილი ფორვარდი სეზონს ყველაზე ტიტულოვან ქართულ გუნდში - თბილისის „დინამოში“ განაახლებს.**

- საქართველოში საახალწლოდ რომ დავბრუნდი, კლუბის შეცვლას ვფიქრობდი. ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ დარჩენაც შემეძლო, მაგრამ უფრო ამბიციურ გუნდში მსურდა თამაში. მით უმეტეს, მინდა, კვლავ მოვხვდე ეროვნულ ნაკრებში. ახალი კლუბის არჩევისას სწორედ ნაკრები იყო ჩემი ორიენტირი. კარგა ხანია, მესმის, რომ თემურ ქეცბაია ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშეებს ნაკრებში მოსახვედრად შანსს აძლევს და მეც თანახმა ვიყავი, კვლავ საქართველოში მომესინჯა ძალები. ორი ქართული კლუბი დაინტერესდა ჩემით. ერთ-ერთი „დინამო“ იყო. მოლაპარაკება რამდენიმე დღე გაგრძელდა და უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, „დინამოში“ ვითამაშებ.

**- კონტრაქტი უკვე გააფორმეთ? ხელშეკრულება რა ვადისაა?**

- ყველა პირობაზე შევთანხმდით, კონტრაქტს ამ დღეებში გავაფორმებ. ვადა 6 თვე პლუს 2 წელიწადია.

**- ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ უპრობლემოდ დატოვეთ?**

- უკრაინულ კლუბთანაც ასეთი კონტრაქტი მქონდა. 6 თვის შემდეგ უპრობლემოდ შემეძლო წამოსვლა. ზაპოროჟიელებს ჩემი შენარჩუნება უნდოდათ, მაგრამ, კონტრაქტის მიხედვით, ჩემი სიტყვა გადამწყვეტი იყო და პრობლემა არ შემქმნია, „დინამოში“ უსასყიდლოდ, თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავედი.

**- ჩემით ორი ქართული კლუბი დაინტერესდაო, თქვით. მეორე რომელი იყო? ვიცით უცხოური ვარიანტებიც გქონდათ.**

- მეორე რუსთავის „ოლიმპი“ იყო, მაგრამ უკვე დინამოელი ვარ. უკრაინიდან „სევასტოპოლის“, „ზარიასა“ და „ტავრიას“ ვარიანტები განიხილებოდა. სხვა უცხოურ გუნდებზეც მითხრეს, მაგრამ უკვე „დინამოსთან“ ვაწარმოებდი მოლაპარაკებას და სხვა კლუბებით აღარ დავინტერესებულვარ.

**- ახალ გუნდში უკვე ვარჯიშობთ. როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებები?**

- რა თქმა უნდა, დადებითი. ყველა ქართველი ფეხბურთელისთვის „დინამოში“ თამაში დიდი პატივია, საამაყოა და ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობაა. ამიტომაც ჩემს ცხოვრებაში ახალი, „დინამოს“ ხანა იწყება და საკმაოდ მონდომებული ვარ. მინდა, ეს პერიოდი წარმატებული იყოს და ეროვნულ ნაკრებამდე მიმიყვანოს. „დინამოს“ დიდი მიზნები აქვს და ყველანაირად შევეცდები, ჩემი წვლილიც შევიტანო საერთო საქმეში.

**- „დინამოს“ თავკაცმა კახა კაჭარავამ რა გითხრათ?**

- გუნდში არსებულ სიტუაციაზე, მიზნებზე, მომავალზე ვილაპარაკეთ. იგი ჩემი პიროვნული თვისებებით დაინტერესდა. მასთან ლაპარაკში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ დისციპლინას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ეს მართლაც უმთავრესი მომენტია. კაჭარავა თითქმის სრულად იცნობს ჩემს შესაძლებლობებს და იმედი მაქვს, ჩვენი ერთობლივი მუშაობა შედეგიანი და წარმატებული იქნება.

**- ახალი გუნდი ახალი გარემოა, როგორ შეეგუეთ?**

- გუნდის კაპიტან ალექსანდრე კობაკაძესთან დიდი ხანია ვმეგობრობ. სხვა ფეხბურთელებსაც ვიცნობდი. ასე რომ, ადაპტაციის პრობლემა არ მექნება.

**- ამბიციურ გუნდში თამაში მინდოდაო, თქვით და „დინამოს“ სწორედ ასეთი მიზნები აქვს...**

-გუნდის ამბიცია ჩემთვის ყოველთვის დიდი სტიმული და გამოწვევაა. „დინამო“ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ზაფხულიდან კი ევროტურნირზე რაც შეიძლება დიდხანს უნდა ვიასპარეზოთ.

**- ალბათ, თქვენს პოზიციაზე, ცენტრალურ თავდამსხმელად ითამაშებთ.**

- ცენტრფორვარდი ვარ, მაგრამ შემტევ ნახევარმცველადაც მითამაშია. ყველაზე შედეგიანი თავდასხმის ცენტრში ვარ, მაგრამ თუ გუნდს დასჭირდება, სხვა პოზიციაზე ვითამაშებ. ეს მწვრთნელმა ჩემზე უკეთ იცის და ის გადაწყვეტს.

**- ნომერი უკვე შეარჩიეთ?**

- ჯერ არა. წინა გუნდებში 18 ნომრით ვთამაშობდი და თუ „დინამოში“ ეს ნომერი თავისუფალი იქნება, ისევ ავირჩევ.

**დავით ცაბაძე**

● ლეგიონერები

# დამირეკე, გელდფორმი...

## ილურიძე გზაგასაყარზეა, ვაწაძე ვოლგაში

რუსეთის პრემიერლიგის კლუბებმა ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყეს, მათ შორის, ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგამ“ და მახაჩყალის “ანჟიმ”. არც ერთ მათგანთან არ ვარჯიშობს 17 წლის ქართველი თავდამსხმელი **გიორგი ილურიძე.** გიორგიმ გასული სეზონი “ანჟიში” დაასრულა, მცირე ხნის წინ კი გვითხრა, რომ “ვოლგაში” გადადიოდა.

“ანჟის” პრესსამსახურის ცნობით, **ოთარ ხიზანეიშვილი, ზურაბ არზიანი** და **გიორგი ილურიძე** თავისუფალი აგენტები გახდნენ და კლუბი დატოვეს.

თუმცა გიორგი ამბობს, რომ შესაძლოა, მახაჩყალაში კვლავ დაბრუნდეს: *"დაღესტნელებთან ერთწლიანი კონტრაქტი დეკემბერში დამიმთავრდა და თავისუფალი აგენტი გავხდი. კლუბებს პირადად მე არ დავლაპარაკებივარ, მოლაპარაკებებს ჩემი მენეჯერი მამუკა ჯულელი აწარმოებს, რომელმაც დეკემბერში მითხრა, რომ შეკრებაზე “ვოლგას” გავყვებოდი. მას შემდეგ ვითარება შეიცვალა, “ვოლგა” გამოირიცხა და მამუკამ ახლა ორი ვარიანტი შემომთავაზა - ან ყაზანის “რუბინში” წავალ, ან “ანჟიში” დავბრუნდები.*

*მეც წავიკითხე მახაჩყალელთა კლუბის ინფორმაცია, თითქოს “ანჟიდან” გამომიშვეს, მაგრამ მამუკა ამბობს, რომ ეს ტყუილია, “ანჟი” შენით დაინტერესებულია და კონტრაქტს გთავაზობსო.*

*მეორე ვარიანტი ნაკლებად მიზიდავს - ყაზანის “რუბინი” “ანჟიზე” ცნობილი, პოპულარული და მდიდარი კლუბია, მაგრამ იქ ძირითადში არავინ მათამაშებს და დუბლებში გამოსვლა მომიწევს, ეს კი ხელს არ მაძლევს. ამის გათვალისწინებით, ისევ მახაჩყალაში თამაში მირჩევნია. მოკლედ, ჯულელის ზარს ველი და გავარკვევ, სად ვითამაშებ”,* - გვითხრა ილურიძემ.

ვითარების გარკვევამდე გიორგი თბილისში ინდივიდუალურად ემზადება, საქართველოში თამაშს კი გამორიცხავს: *"ჯულელს არასდროს მოვუტყუებივარ და ამჯერადაც მისი იმედი მაქვს. ალბათ, რუსეთის რომელიმე კლუბში მომაწყობს და საქართველოში დაბრუნება არ მომიწევს”.*

ამასობაში “ვოლგაში” ქართველებიც ემზადებიან - **ედიკ საჯაია, გიორგი ნავალოვსკი, გოგიტა გოგუა, ოთარ მარცვალაძე** და **მათე ვაწაძე**. იყო ინფორმაცია, თითქოს ვაწაძე გუნდს შეკრების მეორე ეტაპზე შეუერთდებოდა. თუმცა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელის ოჯახში გვითხრეს, რომ მათე ანთალიაში 7 იანვარს გაემგზავრა და კლუბთან ერთად ვარჯიშობს.

დარჩება თუ არა “ვოლგაში” ყველა ქართველი? ნიჟნინოვგოროდელთა მთავარმა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ** თქვა, რომ მხოლოდ მათ დატოვებს, ვინც კონკურენციას გაუძლებს.

ჩვენ დავინტერესდით ედიკ საჯაიას ბედით, რომელიც შარშანაც თამაშობდა თეთრაძის მიერ პრემიერლიგაში აღზევებულ “ანჟიში”, მაგრამ მოსამზადებელ ეტაპამდე გაუშვეს. გამოცდილმა ფეხბურთელმა გვითხრა, რომ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლის ბოლოს უმთავრდება და ნიჟნი ნოვგოროდში რჩება.

**მერაბ მამულაშვილი**

● სავარაუდო ტრანსფერები

# კრასნოდარის მხარე კლიმიაშვილს გასინჯავს

**ირაკლი კლიმიაშვილის** გადაყვანა თბილისის “დინამოს” სურდა, მაგრამ ფეხბურთელი ბედს რუსეთის პირველი დივიზიონის “კრასნოდარში” სცდის. როგორც “ვიტ ჯორჯიაში” გვითხრეს, 22 წლის ნახევარმცველი რუსულ კლუბს 14 იანვარს თურქეთის საკურორტო ქალაქ ბელექში შეუერთდება.

თუმცა ირაკლის საკითხი გადაწყვეტილი არ არის, მას კლუბში გასინჯვას სთავაზობენ. თუ “კრასნოდარის” ხელმძღვანელობას მოეწონება, მაშინ მისი ტრანსფერის გამოსყიდვა მოუწევს - კლიმიაშვილს “ვიტ ჯორჯიასთან” კონტრაქტის ვადა არ ამოწურვია.

ჩვენი ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ ირაკლის, ფაქტობრივად, არც შეუსვენია - ახალი წლის დღეებში თბილისურ დღესასწაულებს გაერიდა, ქობულეთში გაემგზავრა სავარჯიშოდ და ფორმის შესანარჩუნებლად.

ცხადია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის ხილვა უკეთეს კლუბში გვსურდა. იმის მიუხედავად, რომ “კრასნოდარმა” პირველ ლიგაში მეხუთე ადგილი დაიკავა და სპორტული პრინციპით პრემიერლიგის საგზური ვერ მოიპოვა, კლუბში ამის იმედი მაინც აქვთ. საქმე ისაა, რომ ლაპარაკია პრემიერლიგიდან “სატურნის” ან “ამკარის”, ან ორივეს მოხსნაზე, რადგან ამ კლუბებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ, მათ ნაცვლად კი “კრასნოდარისა” და “ნიჟნი ნოვგოროდის” გადაყვანა განიხილება.

**მერაბ მამულაშვილი**

● ეროვნული ჩემპიონატი. სამზადისი

# ზესტაფონი: მოდი, ვნახოთ ხორვატები



გორან გრუიცა

გუშინ სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება დაიწყო „ზესტაფონმა“, რომლის რიგებში ორი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა, ორივე ხორვატი - 24 წლის მცველი **გორან გრუიცა** და 23 წლის ნახევარმცველი **მარინ ვუჩემილოვიჩ-გრგიჩი**. მათ აქამდე მხოლოდ ხორვატიულ კლუბებში უთამაშიათ, „ზესტაფონში“ ტესტირებაზე არიან და გუნდში მათი დარჩენა-არდარჩენის საკითხი მზადების პერიოდში გაირკვევა. **გია გეგუჩაძე** დღეიდან ორჯერ ავარჯიშებს შეგირდებს, 25 იანვარიდან კი გუნდი მოსამზადებელ შეკრებაზე ესპანეთში გაემგზავრება.

**დავით ცაბაძე**



მარინ ვუჩემილოვიჩ-გრგიჩი

# ოლიმპის შვეიცარიელი ჯერ ინკოგნიტოა

რუსთავის “ოლიმპში” შვეიცარიელი ფიზმომზადების სპეციალისტი იმუშავებს. ეს ინფორმაცია კლუბში დაგვიდასტურეს, თუმცა მისი ვინაობა და ნამსახურებათა ნუსხა ჯერ ვერ დავაზუსტეთ. „ოლიმპის“ მთავარმა მწვრთნელმა **თორნიკე მაისურაძემ** გვითხრა, რომ მას ცნობილ შვეიცარიულ კლუბებში ფიზმომზადების მწვრთნელად უმუშავია, მაგრამ ჯერ მედიაში ვინაობის გამჟღავნება არ სურს.

ამასობაში საქართველოს ჩემპიონი რუსთავში მზადებას განაგრძობს. თორნიკე მაისურაძეს ჯერ არავინ დაუმატებია და არც არავინ გაუშვია, თუ არ ჩავთვლით მეკარე **გრიგოლ ჭანტურიას** და თავდამსხმელ **გიორგი ბერიაშვილის** გაშვების უკვე ცნობილ ამბებს.

თუმცა სიახლეებიც იქნება. გუნდთან ვარჯიშობს თავდამსხმელი **გიორგი მოდებაძე**, მაგრამ ჯერ კონტრაქტი არ გაუფორმებია. ერთხელ ივარჯიშა და მერე აღარ გამოჩენილა აზერბაიჯანიდან დაბრუნებული ნახევარმცველი **გიორგი სეთურიძე**.

პირველ საკონტროლო შეხვედრას “ოლიმპი” 12 იანვარს რუსთავში ბოლნისის “სიონთან” გამართავს, 20 იანვარს კი რუსთაველები ანთალიაში გაემგზავრებიან, სადაც 1 თებერვლამდე ივარჯიშებენ. თურქეთში ჩემპიონები ოთხი საკონტროლო მატჩებს გეგმავენ: ბულგარულ “ჩერნო მორესთან”, “აკადემიკთან”, შვეიცარიულ “კიასოსთან” და რუმინულ “ვიქტორიასთან” თამაშები შეთანხმებულია, ავსტრიულ “ზალცბურგთან” და “ალტახთან” კი მოლაპარაკებები გრძელდება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბაჩანა არაბული: საგოლე პასი ბურთის შეუხებლად

“ლელოს” მკითხველისთვის ცნობილია, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი **ბაჩანა არაბული** კიევის “დინამო 2”-ში ისინჯება. მან უკვე ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა: პირველი 29 დეკემბერს უკრაინის 18-წლამდელთა ნაკრებთან, რომელიც 1:1 დასრულდა და ბაჩანამ გოლი გაიტანა.

“დინამო 2” კონჩა ზასპაში ვინიცის “ნივას” ეთამაშა და ეს მატჩიც 1:1 დასრულდა. კიეველებს ამჯერადაც ანგარიშის გათანაბრება მოუხდათ და ეს გოლი ქართველი თავდამსხმელის მონაწილეობით გავიდა.

არაბული მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა (გოლიც გაიტანა, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა). “დინამოს” პრესსამსახურის ინფორმაციით, ჩათვლილ გოლში არაბულის მონაწილეობა იმით გამოიხატა, რომ თავად შეეძლო დარტყმა, მაგრამ ბურთი აზრიანად გაატარა და **ბოროვეცმა** ანგარიში გაათანაბრა.

“დინამო 2”-ში **თემურ ფარცვანიამ** შეუცვლელად ითამაშა, სამაგიეროდ, მოედანზე არ გამოჩენილა **იაშვილი.** როგორც დავადგინეთ, ის თბილისის საფეხბურთო აკადემია “ოლიმპში” **მამუკა ფანცულაიასთან** ვარჯიშობდა, ბოლო სამი წელი კიევის “არსენალის” ასაკობრივ გუნდში თამაშობდა, კიევის “დინამოში” კი გასინჯვაზე იყო.

უკრაინელი ქართველების თემას **ოლეგ კუზნეცოვის** 18-წლიანთა ნაკრების ამბებით გავაგრძელებთ: უკრაინელებმა სანკტ-პეტერბურგში, “გრანატკინის თასის” ტრადიციულ გათამაშებაში მესამე ადგილი რუსების 3:1 დამარცხებით დაიკავეს. ერთ-ერთი გოლი “დნიპროს” ქართველმა ნახევარმცველმა **ევგენი ბახაშვილმა** გაიტანა. მან ოთხივე შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში ჩაატარა და ორი გოლი მიითვალა. სამჯერ ითამაშა ძირითადში **ბადრი აქუბარდიამ,** მეკარე **ბორის მახარაძე** კი ტურნირზე არ წაუყვანიათ.

**ანდრეი გუსინის** “დინამო 2” პეტერბურგში გასამართი “თანამეგობრობის თასისთვის” ემზადება და მოხვდება თუ არა არაბული განაცხადში, მალე გაირკვევა. **კობა ჟორჟიკაშვილის** 17-წლამდელთა ნაკრებისა და რუსთავის “ოლიმპის” დუბლშემადგენლობის ერთ-ერთი ლიდერი კიევში კიდევ მცირე ხნით გაჩერდება.

საფეხბურთო აკადემია “ოლიმპის” გაზრდილებით ჰოლანდიელებიც რომ დაინტერესდნენ, ესეც არახალია. რუსთავის “ოლიმპის” დუბლშემადგენლობის წევრები **დავით ხოჭოლავა** და **ვაკო ყაზაიშვილი** 8 იანვარს ანთალიაში “ვიტესს” შეუერთდნენ და საკონტროლო შეხვედრაში თითო-თითო ტაიმი ითამაშეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფავორიტების რისხვა

**ბოლნისის „სიონი“ უმაღლეს ლიგაში XVI სეზონს ატარებს და ამ დროის განმავლობაში გუნდს მხოლოდ ორჯერ ჰქონდა საჩემპიონო ამბიცია. დანარჩენ შემთხვევებში „სიონი“ სტაბილურად იყო დამკვიდრებული სატურნირო ცხრილის შუაგულში და უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონიდან მოყოლებული, მოტივაციის ნაკლებობა ხშირად იგრძნობოდა; ანუ, იშვიათზე იშვიათი გამონაკლისის გარდა, „სიონს“ უმაღლესი ლიგიდან დაქვეითების საფრთხე არასდროს დამუქრებია, ზემოთ ნახსენები იმ ორი სეზონის (2003-04, 2005-06) გარდა არც მედლებისთვის უბრძოლია და ასე დაიმკვიდრა კიდეც სტაბილური და... უამბიციო გუნდის სახელი. თუმცა, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, „სიონმა“ სხვა „ტრადიციაც“ დაამკვიდრა: უკვე წლებია, ეს გუნდი თავის საშინაო მატჩებს განსაკუთრებულად მონდომებით ატარებს და მართლაც შორს წაგვიყვანს იმ შემთხვევების გახსენება, როცა ფავორიტის სტატუსით ჩასული გუნდები ბოლნისიდან უქულოდ წამოსულან. რა თქმა უნდა, „ტრადიციას“ გაგრძელება სჭირდება და გამონაკლისი არც ეს სეზონი იყო, ოლონდ, ამაზე ქვემოთ ვისაუბროთ; მანამდე კი ის ვთქვათ, რომ „სიონი“ XXII ჩემპიონატშიც, ფაქტობრივად, ერთ-ერთ (გნებავთ, ერთადერთ) უმოტივაციო გუნდად რჩება: თასზე ბრძოლას გამოეთიშა, ლიდერთა სამეულს ვერ „შეავიწროებს“ და, სასწაულიც თუ არ მოხდა, წესითა და რიგით, უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხეც არ უნდა დაემუქროს. და ეს, იმის მიუხედავად, რომ პირველი ეტაპის შემდეგ „სიონს“ მხოლოდ 2 ქულა აშორებს სახიფათო ზონას, — ამის თქმის საფუძველს კი ბოლნისური კლუბის მეტ-ნაკლებად „ნორმალური“ ფინანსური მდგომარეობა და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ასევე მეტ-ნაკლებად „მისაღები“ შემადგენლობა გვაძლევს. ჰო, შესაძლოა, ამ ქვემოქართლურ კლუბში ზღაპრული ხელფას-პრემიები არ არის, მაგრამ, უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდისგან განსხვავებით, პირველ ეტაპზე „სიონს“ „არასაფეხბურთო პრობლემები“ ნამდვილად არ შეჰქმნია. ეგ კი არა, ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ვივარაუდეთ, რომ XXII ჩემპიონატში ბოლნისელებს ბევრად უფრო ამბიციური გუნდი ეყოლებოდათ; ჩვენი ოპტიმიზმი კი, კლუბის... ძველ-ახალი სპონსორის გამოჩენას ეფუძნებოდა: შარშან ზაფხულშივე გაირკვა, რომ „სიონს“ კვლავაც „მადნეული“ დააფინანსებდა, ხოლო კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ გია არევაძე დაინიშნა; შეგახსენებთ, რომ ქვემოქართლელთა საჩემპიონო სეზონში (2005-06 წლები) „სიონის“ მთავარი სპონსორი „მადნეული“ იყო, ხოლო გია არევაძე იმ დროისათვის ბოლნისის გამგებელი გახლდათ და ამ პროვინციული გუნდის ტრიუმფში არცთუ მოკრძალებული წვლილიც შეიტანა. ასეთ სოლიდურ სპონსორს ჩვენთან მართლაც ბევრი გუნდი ინატრებდა, მაგრამ სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ მთელი რიგი ბიუროკრატიული „მექანიზმის“ წყალობით, კლუბის „მადნეულის“ საკუთრებაში გადასვლა ვერა და ვერ მოხერხდა; იმედია, ამ, ერთი შეხედვით, ფორმალურ, მაგრამ რეალურად კი გაჭიანურებულ პროცესს, ჩემპიონატის ბოლომდე როგორმე მოევლება და ყოველივე ეს კი, იმის საწინდარი უნდა გახდეს, რომ სამომავლოდ ბოლნისში მეტად და მეტად ბრძოლისუნარიანი და ამბიციური გუნდის ჩამოყალიბებაზე იზრუნონ. ისე, წინა სეზონებთან შედარებით, რაღაც გარკვეული წინსვლა იგრძნობა: ბოლო დროს „სიონში“ ხომ ჩვეულებრივ ამბად იყო ქცეული, „საკადრო რევოლუციები“; ჰო, მართლაც ასე იყო: ყოველ ექვს თვეში ძირითადი შემადგენლობის 70-80 პროცენტი იცვლებოდა, ერთ სეზონში სამი-ოთხი მწვრთნელის მოხსნა-დანიშვნაც ხომ ჩვეულებრივ ამბად აღიქმებოდა და ასე შემდეგ.**


გიორგი ყიფიანი

## ტრადიცია გრძელდება

სეზონის დაწყებამდე კლუბის ხელმძღვანელობამ, ცოტა არ იყოს, სარისკო გადაწყვეტილება მიიღო, როცა „სიონის“ გაწვრთნა დებიუტანტ სპეციალისტს, **გიორგი ყიფიანს** ანდო. „ვიტ ჯორჯიას“ ყოფილ ფლეიმეიქერს (აქტიური კარიერა ისრაელში რომ დაასრულა), მანამდე არანაირი სამწვრთნელო გამოცდილება არ გააჩნდა, თუმცა გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ 32 წლის ყიფიანს ახალ ასპარეზზე თავი ურიგოდ ნამდვილად არ წარმოუჩენია. რა თქმა უნდა, იმის ილუზია არავის ჰქონდა, რომ დებიუტანტი მწვრთნელის დამოძღვრილი „სიონი“ ამ სეზონშივე მედლებისათვის იბრძოლებდა; თუმცა, იმაში კი ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ ქვემოქართლელები უბრძოლველად არც ერთ შეხვედრას დათმობდნენ. სეზონის დაწყების წინ გუნდში მეტ-ნაკლებად ნორმალური სელექცია ჩატარდა და ყველაფერი უკვე დროის ფაქტორზე იყო დამოკიდებული. ანუ, რამდენად შეძლებდნენ ფეხბურთელები ერთმანეთთან შეთამაშებას და რამდენად მალე გაერკვეოდა ჩვენი ჩემპიონატის „შიდა და გარე დინებებში“ ბოლნისური კლუბის დებიუტანტი მწვრთნელი. ყიფიანი, რა თქმა უნდა, მარტო არ იყო — მის გვერდით ხომ **გიორგი ყიფშიძეც** გახლდათ, ჯერ ფეხბურთელობისას, მერე კი მწვრთნელობისას „სიონთან“ ერთად ორი ათეული წლის განმავლობაში არაერთი წარმატება თუ წარუმატებლობა რომ უნახავს. ჰოდა, დამწყები და გამოცდილი მწვრთნელების „დუეტის“ საქმიანობა პირველი ეტაპის მიხედვით, ალბათ, მაინც დამაკმაყოფილებლად უნდა შევაფასოთ; ეგ კი არა, ძალიან დიდი იყო იმის ალბათობა, „სიონს“, სულ მცირე, სამი-ოთხით მეტი ქულაც ჰქონოდა, მაგრამ ასე რომ არ მოხდა, ამის მიზეზები სუბიექტურიც იყო და ობიექტურიც; ერთ-ერთი მიზეზი, რაღა თქმა უნდა, არასტაბილურობა იყო. მთლიანად პირველ ეტაპზე მხოლოდ სექტემბერი და ოქტომბრის დასაწყისი იყო, გუნდი რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმატებულად ასპარეზობდა; ნუ დაგვავიწყდება ისეთი ფაქტებიც, როცა „სიონმა“ რამდენიმე ქულა... არაობიექტური მსაჯობის გამო დაკარგა (უპირველესად, 15 სექტემბერს სტუმრად „ბაიასთან“ შეხვედრას ვგულისხმობთ); დავუმატოთ ამას ცალკეული ფეხბურთელების ტრავმები, საგოლე მომენტების გამოყენების ერთობ დაბალი მაჩვენებელი და მთლიანობაში გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ.

...ზემოთ არასტაბილურობა ვახსენეთ და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ყოველივე ეს ბოლნისური კლუბისთვის უკვე წლების განმავლობაში „დამახასიათებელ ნიშნად“ იქცა; ანუ, ადრეც არაერთხელ ყოფილა, როცა თავისზე ბევრად ძლიერ გუნდებთან „სიონი“ განსაკუთრებულად მოტივირებულად ასპარეზობდა, სამაგიეროდ, უფრო სუსტებთან კი ქულას ქულაზე ანიავებდა. ამ მხრივ გამონაკლისი, რაღა თქმა უნდა, არც XIII ჩემპიონატი იყო და უპირველესად, ზემოთ ნახსენები „სიონის“ წარმატებულ პერიოდს გავიხსენებთ. ზუგდიდში, თითქმის „ძალით“ წართმეულ გამარჯვებას არანაკლებ რთული გასვლითი მატჩი მოჰყვა: „სიონმა“ შეძლო და ქუთაისიდანაც ქულა წამოიღო (არადა, იმ შეხვედრის წინ „ტორპედო“ უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა); თუმცა, ბოლნისურ კლუბს მთავარი გამოცდა წინ ჰქონდა: ათდღიან ინტერვალში სამი საშინაო მატჩი უნდა ჩაეტარებინა, თანაც ჩემპიონატის სამივე ფავორიტთან! საბოლოო შედეგი ისეთი იყო, ყველაზე ოპტიმისტი ბოლნისელი ქომაგი რომ ვერ წარმოიდგენდა: გიორგი ყიფიანის გუნდმა „დინამოსაც“ მოუგო, „ოლიმპსაც“ და მხოლოდ „ზესტაფონთან“ დამარცხდა. თუმცა, ასეთი წარმატებული მატჩების ფონზე როგორც უკვე ვთქვით, სერიოზული ჩავარდნებიც იყო; აბა, სხვა რა სახელი უნდა დავარქვათ იმ ფაქტს, როდესაც „სიონმა“ საკუთარ მოედანზე წააგო „ბაიას“, ფაქტობრივად, სარეზერვო შემადგენლობასთან; ამას გარდა, გუნდმა საკმაოდ სუსტად ჩაატარა პირველი ეტაპის დასკვნითი ეტაპი: თასის მეოთხედფინალსაც დაემშვიდობა და ჩემპიონატის ბოლო ოთხ შეხვედრაში 3 მატჩი წააგო და 1 ფრედ ითამაშა (ბურთების სხვაობა: 1-9).

### მეკარეები

ერთი შეხედვით, „სიონის“ ქომაგებს ამ რგოლის მიმართ სანერვიულო არაფერი უნდა ჰქონდეთ: უმაღლესი ლიგის გუნდებიდან ერთი-ორგან თუ შევხვდებით მსგავს სიტუაციას, როცა კლუბში ერთმანეთზე გამოცდილი ორი მეკარე ირიცხება. 30 წლის **მირზა მერლანს** არაერთ ქართულ კლუბში უასპარეზია და რომ არა სხვა პრობლემები (ალბათ, უფრო — არასაფეხბურთო), უფრო მაღალ დონეზეც უნდა ეთამაშა. მერლანი „სიონის“ ახალწვეულია და მხოლოდ ხუთ მატჩში დაიცვა ბოლნისური გუნდის კარი; აი, **მინდია ბობღიაშვილი** კი „სიონის“ ვეტერანად უნდა მოვიხსენიოთ: 27 წლის მეკარე უკვე მეშვიდე სეზონია ამ ქვემოქართლურ კლუბშია და თითქმის ყოველ ექვს თვეში... ახალ-ახალი კონკურენტიც გამოუჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მაინც ახერხებდა გუნდის ნომერ პირველი მეკარის სტატუსის შენარჩუნებას.

### მცველები

ბობღიაშვილის მსგავსად, „სიონის“ მცველთა უმრავლესობა, უკვე წლებია, რაც ამ კლუბის ღირსებას იცავს: **მიხეილ კობაური, მურმან ქურასბედიანი, თემურ რაქვიაშვილი;** თუმცა, იმავე კობაურისა და რაქვიაშვილის ტრავმებმა „სიონის“ დაცვის ხაზში (განსაკუთრებით, ფლანგებზე) გარკვეული კორექტივები შეიტანა. ოღონდ ყოველივე ამას სერიოზული პრობლემები არ მოჰყოლია: **ლაშა ჭელიძეს** დაცვის ნებისმიერ პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში; ამას გარდა, „სიონში“ ხომ ქართული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი მოთამაშე, **გივი დიდავა** ასპარეზობს — 34 წლის ვეტერანი თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მხოლოდ ცენტრფორვარდად და... მეკარედ არ გვინახავს, თორემ დანარჩენ ყველა პოზიციაზე უპრობლემოდ თამაშობს. „სიონის“ დაცვის ლიდერად კი ასევე გამოცდილი ფეხბურთელი, 28 წლის **სერგი ორბელაძე** უნდა მივიჩნიოთ, ვისთან ერთადაც დაცვის ცენტრში ხშირად ვხედავდით გუნდის ახალწვეულს, 20 წლის **გიორგი თარგამაძეს**.



ლაშა ნოზაძე

### ნახევარმცველები

ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მხოლოდ ექვსი ფეხბურთელი იყო, 18-ვე მატჩი შეუცვლელად რომ ჩაატარა და ერთ-ერთი მათგანი „სიონის“ გამოცდილი შუახაზელი, **ლაშა ნოზაძე** გახლდათ. 30 წლის მოუღლელი ნახევარმცველი ბოლნისური კლუბისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა და უფრო ხშირ შემთხვევებში, მოედნის ცენტრში გივი დიდავასთან ერთად ასპარეზობდა. ნახევარდაცვის ფლანგებზე ძირითადად **ლაშა ვაშაკიძე** და **ვლადიმერ უგრეხელიძე** ასპარეზობდნენ და უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი გარკვეული პაუზის შემდეგ კვლავაც იქცა გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად. სამწუხაროდ, ეპიზოდურად თუ უხდებოდათ ასპარეზობა გამოცდილ ნახევარმცველებს **ლევან სანიკიძესა** და **გიორგი მელქაძეს**, აი, „სიონის“ ორ ახალწვეულს, **გიორგი ჩივაძესა** და **ვაჟა ნემსაძეს**, ალბათ, უფრო მეტიც მოეთხოვებათ. ყოველ შემთხვევაში, საფეხბურთო დინასტიების ეს ორი გამგრძელებელი მხოლოდ... გვარის გამო რომ არ მიუწვევიათ „სიონში“, ამას არავინ უარყოფს და იმედი დავიტოვოთ, რომ მეორე ეტაპზე ბევრად უკეთ შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენას, ისე როგორც ბოლნისური ფეხბურთის კიდევ ერთი აღზრდილი (ქურასბედიანისა და უგრეხელიძის მსგავსად), ათლეტური აღნაგობის ნახევარმცველი **გიორგი ოქროპირიძე**.

### თავდამსხმელები

ბოლნისური კლუბის ქომაგებს და, „სიონის“ მწვრთნელებსაც ყველაზე მეტი პრეტენზია, ალბათ გუნდის შეტევის ხაზის ფეხბურთელებთან უნდა ჰქონოდათ; ყოველ შემთხვევაში, 18 მატჩში მეტოქის კარში გატანილი 12 გოლი (ამ მხრივ, მხოლოდ „ტორპედოს“ უსწრებენ) ვერაფერი შედეგია. არადა, გუნდის სამივე ფორვარდი საკმაოდ გამოცდილი იყო, მაგრამ **რევაზ გოცირიძემ** მხოლოდ 2 გოლი გაიტანა, **მიხეილ ბობოხიძემ** — ერთი, ხოლო **გია თოდუამ** (ვინც უფრო ხშირად შეცვლებზე შემოდიოდა) — ვერც ერთი. პირველ ეტაპის დასრულებამდე ცოტა დრო რჩებოდა „სიონმა“ კიდევ ერთი გამოცდილი თავდამსხმელი რომ დაიმატა — **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე**. ისე, თუ ვინმეს მიმართ არ ექნება სასაყვედურო არავის, გუნდის ახალგაზრდა ფორვარდი **ვილი ისიანია** — 19 წლის შემტევმა, ისე როგორც წინა, თავის სადებიუტო სეზონში, ახლაც ენერგიული თამაშით დაგვამახსოვრა თავი და მეტოქეთა კარში 2 გოლიც გაიტანა.

**გია ტუხაშვილი**

### სიონის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| II ტური: | სიონი-კოლხეთი | 0:0 |
| II ტური: | სამტრედია-სიონი | 0:1 |
| IV ტური: | სპარტაკი-სიონი | 3:0 |
| V ტური: | სიონი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| I ტური: | ბაია-სიონი | 2:2 |
| VI ტური: | ტორპედო-სიონი | 0:0 |
| VII ტური: | სიონი-დინამო | 1:0 |
| VIII ტური: | სიონი-ზესტაფონი | 1:3 |
| IX ტური: | სიონი-ოლიმპი | 2:1 |
| X ტური: | სიონი-ბაია | 1:3 |
| XI ტური: | კოლხეთი-სიონი | 0:0 |
| XIV ტური: | ვიტ ჯორჯია-სიონი | 1:0 |
| XII ტური: | სიონი-სამტრედია | 1:0 |
| XIII ტური: | სიონი-სპარტაკი | 2:0 |
| XV ტური: | სიონი-ტორპედო | 0:0 |
| XVI ტური: | დინამო-სიონი | 2:0 |
| XVII ტური: | ზესტაფონი-სიონი | 4:0 |
| XVIII ტური: | ოლიმპი-სიონი | 3:1 |

მეკარეები: მინდია ბობღიაშვილი-13, მირზა მერლანი-5;

მცველები: სერგი ორბელაძე-16(1), გივი დიდავა-15, მურმან ქურასბედიანი-14, მიხეილ კობაური-13, ლაშა ჭელიძე-13(1), გიორგი თარგამაძე-12, თემურ რაქვიაშვილი-9, ვაჟა ქორიძე-4;

ნახევარმცველები: ლაშა ნოზაძე-18(1), ვლადიმერ უგრეხელიძე-17(1), ლაშა ვაშაკიძე-15(1), ვაჟა ნემსაძე-8, გიორგი ჩივაძე-6, ლევან სანიკიძე-6, გიორგი მელქაძე-5(1), გიორგი ოქროპირიძე-4, მანუჩარ ოქროპირიძე-2, ლევან ჩხეტიანი-2;

თავდამსხმელები: რევაზ გოცირიძე-16(2), ვილი ისიანი-14(2), გია თოდუა-12(0), მიხეილ ბობოხიძე-11(1), გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე-1.

შენიშვნა: ფეხბურთელების სტატისტიკური მონაცემები აღებულია საიტიდან www.soccerway.com



გივი დიდავა

დღე პირველი

# ფეხბურთი უკონტაქტო თამაში ყოფილა



მიფიცხებოდა მშვიდად არაბეთის მზეს, ვინ რჯიდა შევბულებას რომ წყვეტდა და ინგლისური ფეხბურთის ბედლამში გამორბოდა - „ლივერპულის" ახალი მწვრთნელი **კენი დალგლიში** პირველივე დღეს გადარიეს. საქმე ასე იყო: ფეხბურთის ასოციაციის თასის მესამე ეტაპზე „ლივერპულმა" „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედთან" 1:0 წააგო. შეხვედრის ერთადერთი გოლი 32-ე წამზე პენალტით **რაიან გიგზმა** გაიტანა. დალგლიშმა, რომელსაც ორშაბათიდან „ჩელსიში" ნამუშევარი **სტივ კლარკი** გაუწევს ასისტენტობას, თავი ვერ შეიკავა და მატჩის შემდეგ მსაჯი **ჰოვარდ ვები** კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. ჯერ ერთი, პენალტის ეპიზოდში თუკი **დანიელ აგერი დიმიტარ ბერბატოვს** საერთოდ შეეხო, ეს სულ ოდნავი და უმნიშვნელო შეხება გახლდათ და 32-ე წუთზე **მაიკლ ქერიკის** ბიძგებისთვის **სტივენ ჯერარდის** გაძევება გადაჭარბებული ჩანდა.

*„ეს პენალტი კი არა, მასხარაობა იყო,* - თქვა დალგლიშმა. - *ჩანაწერი რამდენჯერმე ვნახე და თუ წესი არ შეუცვლიათ, მაშინ მსაჯს თერთმეტმეტრიანი არ უნდა დაენიშნა. ვერც მეორე ეპიზოდში შევამჩნიე რამე ისეთი, წითელი ბარათით რომ უნდა დასჯილიყო. თამაშის წინ გასახდელში მითხრეს, რომ ბოლო წლებში ფეხბურთი მაინცდამაინც არ შეცვლილა. გავეხუმრე, მე ფეხბურთი უკონტაქტო სპორტი მახსოვს-მეთქი. თურმე სწორედ მხსომებია. დღეს, ორი მცირედი კონტაქტის გამო მსაჯმა თამაში წაგვაგებინა. არადა, ჯერ გოლი გაგვიტანეს, მერე უმცირესობაში დაგვტოვეს და მაინც რა ვაჟკაცურად ითამაშეს ჩემმა ფეხბურთელებმა".*

და რა შთაბეჭდილება დარჩა ნახსენებ ორ ეპიზოდზე გამარჯვებულთა თავკაცს სერ **ალექს ფერგიუსონს?** ფერგი რისი ფერგი იქნებოდა თავისი გუნდის პოზიცია კბილებით რომ არ დაეცვა, მით უფრო, რომ საქმე კერკეტ მოწინააღმდეგეს ეხებოდა. თუმცა ისიცაა, მან მხოლოდ გაძევების ეპიზოდზე გააკეთა კომენტარი:

*„რად უნდა ლაპარაკი, რომ ჯერარდი მოედნიდან გასაგდები იყო. ჯარიმის მომენტში ის მიწაზე არ იდგა. ის, საერთოდ, უხეში ფეხბურთელი არ არის, მაგრამ ამჯერად მსაჯს შანსი არ დაუტოვა".*

პენალტზე **დიმიტარ ბერბატოვმა** ილაპარაკა: *„რასაკვირველია პენალტი იყო. აგერის შეხება საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ წონასწორობა დამეკარგა და წავქცეულიყავი".*

ცნობისათვის: სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მანჩესტერის პოლიციამ 15 ადამიანი დააკავა. მიზეზი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და წვრილმანი ხულიგნობა გახლდათ.

კონფლიქტი

# დიუფი – უწმაწური ვირთხა



შაბათს „ბლექბერნმა" „ქუინზ პარკ რეინჯერსს" ფეხბურთის ასოციაციის თასის მესამე რაუნდში 1:0 მოუგო, მაგრამ ეს თამაში ჩვენს ყურადღებას ვერ მიიპყრობდა, მატჩის შემდეგ გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბში ფეხბურთელების ჩხუბი რომ არა. მიზეზი: **ელ ჰაჯი დიუფმა** ფეხმოტეხილ მოწინააღმდეგე **ჯეიმი მეკის** მკვდარი და ცოცხალი აგინა. ლონდონელთა მწვრთნელს **ნილ უორნოკსა** და მისი მოთამაშეებს თავიდან დიუფის დამცინავმა ღიმილმა დააკარგვინა მოთმინება. 29 წლის სენეგალელი ორ ადგილას ფეხმოტეხილ მეკის თავზე ადგა და სიმულანტობას სწამებდა. ამის შემდეგ მოვლენები გვირაბში განვითარდა, როდესაც „ქუინზ პარკის" ფეხბურთელებმა დიუფის სინანულის დანახვა მოინდომეს. თავად მეკიმ კი ასეთი ამბავი მოყვა: თურმე, სანამ ის მოედანზე ეგდო და ტკივილისგან იკრუნჩხებოდა, დიუფი თავს ადგა და დასძახოდა: ერთი შენი და მაგ შენი ფეხისაცო. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ლონდონელს ფეხი სულ სხვამ, **გაელ ჟივემ** მოსტეხა.

მატჩის შემდეგ უორნოკმა დიუფს უწმაწური ვირთხა უწოდა და დასძინა, ზუსტად ვიცი „ბლექბერნის" მწვრთნელს **სტივ კინს** მისი თავიდან მოშორება უნდაო. „ქუინზ პარკ რეინჯერსის" მცველთა შორის ყველაზე ძალისმიერმა **კლინტ ჰილმა** კი დაიქადა, მაგ დიუფს რაც მოუვა თავს დააბრალოსო.

მეკის ეპიზოდის შემდეგ სენეგალელს მთელი შეხვედრის განმავლობაში კონფლიქტი ჰქონდა „ქუინზ პარკის" მოთამაშეებთან - ხან ერთი აგინებდა და ხან მეორე. რასაკვირველია, ვალში არც თვითონ რჩებოდა. ის კი არა, საფინალო სასტვენის შემდეგ მან **ბრედლი ორისთვის** ხელის გაკვრაც კი სცადა. მერე კი უკვე გვირაბის ამბები დატრიალდა, რომელთა შესახებ „დეილი მეილს" თვითმხილველმა ასე უამბო:

*„დიუფთან „ქუინზ პარკის" თავდამსხმელი რობ ჰალსი მივიდა, რომ ეთქვა მისთვის, მეკის ფეხი მოსტყდა და ბოდიშს ხომ არ მოუხდიდიო. დიუფმა წარბშეუხრელად უპასუხა, რომ მეკის ფეხის ამბავი არ აინტერესებს და ჰალსს უზრდელურად უთხრა, თავიდან მომშორდიო. აი, აქ დაიწყო ყველაფერი. დიუფის პასუხმა ყველა გადარია. ვინ იფიქრებდა, რომ ერთმა ფეხბურთელმა მეორეზე შეიძლება თქვას, ჩემთვის მისი ჯანმრთელობის ამბავი სულერთიაო".*

უორნოკმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ „ბლექბერნის" ოფიციალური პირებისგან დიუფის საქციელის გამო ბოდიში უკვე მიიღო და დარწმუნებულია, რომ კინი უზრდელ თავდამსხმელს თავიდან მოიშორებს. „ბლექბერნის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი „ქუინზ პარკის" მოთამაშეებთან მივიდა, რათა ეთქვა, რომ დიუფი სამარცხვინო ადამიანია, ხოლო გუნდის მავანმა ფანმა რადიო BBC-ში დარეკა და სენეგალელის გაგდება მოითხოვა.

უორნოკმა თქვა: *„ჩემთან მოვიდა „ბლექბერნის" წარმომადგენელი ქალბატონი და დიუფის საქციელის გამო ბოდიში მომიხადა. მან მითხრა, რომ ვერ ხვდება, რაში დასჭირდა დიუფს ასეთი რამის გაკეთება. ვფიქრობ, „ბლექბერნში" ყველანი იმავე აზრზე არიან. მე კი ჩემს ბიჭებს ასე ვუთხარი: ნუ შეიწუხებთ ამ კაცზე ფიქრით თავს. ჩვენ ის ერთხელ ვნახეთ, აი, ბლექბერნელები კი მასთან ერთად ცხოვრობენ სტივ კინი დიუფს რასაკვირველია მოიშორებს თავიდან. ძალიან გამიკვირდება, ეს ფეხბურთელი მომავალ სეზონშიც „ბლექბერნში" რომ ვნახო და საერთოდაც, რაც უფრო მალე გავუშვებთ მას ჩვენი ქვეყნიდან, მით უკეთესი იქნება. დროა, დიუფი თავის კონტინენტს დაუბრუნდეს".*

შეგახსენებთ, რომ ელ ჰაჯი დიუფი ის ფეხბურთელია, რომელმაც 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონიაში საიუველირო მალაზიიდან სამაჯური მოიპარა.

ყვითელი ფურცლებიდან

# ბექჰემები მეოთხე ბავშვს ელოდებიან



**დევიდ** და **ვიქტორია ბექჰემები** მეოთხე შვილს ელოდებიან - ვიქტორია იმედოვნებს, რომ ამჯერად მაინც გაჩნდება გოგო. „პოშ სპაისის" ფეხმძიმობის შესახებ ოჯახმა ოფიციალურად ამ დღეებში გამოაცხადა. ბავშვი ზაფხულზე დაიბადება. შეგახსენებთ, რომ 36 წლის ვიქტორია და 35 წლის დევიდი სამი ვაჟის, 11 წლის **ბრუკლინის**, 8 წლის **რომეოს** და 5 წლის **კრუზის** მშობლები არიან.

ინგლისური ტაბლოიდები წერენ, რომ ორიოდ კვირის წინ, როდესაც დევიდ ბექჰემი სამაუწყებლო კომპანია BBC-მ წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა, „სფაის გელზის" ყოფილ მომღერალს მუცელი ოდნავაც არ ეტყობოდა. მიზეზი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ ვიქტორიას საგანგებოდ იმ სალამოსთვის შეკერილი კაბა ეცვა და მკერავს ეს „წვრილმანი" ზედმიწევნით ჰქონდა გათვალისწინებული. დევიდმა თავის „ფეისბუქზე" დაწერა:

*„მინდა ყველას დიდებული ამბავი გამცნოთ: ვიქტორია და მე ამ ზაფხულს მეოთხე ბავშვს ველოდებით. ბიჭებიც აღტაცებით ელოდებიან დის ან ძმის დაბადებას".*

ტაბლოიდებისთვის ჯერ არ არის ცნობილი, სად დადის გინეკოლოგთან ვიქტორია. შეგახსენებთ, რომ ბექჰემების ოჯახი აშშ-ში ცხოვრობს, სადაც კანონი ნაყოფის სქესის დასადგენად ექოსკოპირებას არ კრძალავს. ამჯერად პოში ინგლისშია და მშობლების **ჯეკისა და ტონის** სახლში რჩება - მათაც ამ დღეებში ახარა ფეხმძიმობის ამბავი. ამავე დღეებში მშობლებთან რჩებოდა ვიქტორიას და **ლუსი ადამსიც**, რომელმაც ხუთი თვის წინ მეოთხე ბავშვი გააჩინა.

მავანმა თვითმხილველმა ტაბლოიდებს უამბო, რომ ვიქტორია მშობლებთან გაბრწყინებული მივიდა, ახალი ამბავი შეატყობინა და მერე მთელი ოჯახი მოძალებული ემოციისგან ხან ტიროდა და ხან იცინოდა. დედამ, ჯეკი ადამსმა თქვა:

*„თავს საუცხოოდ ვგრძნობთ. ჩვენ, ისევე როგორც დევიდი, ვიქტორიას ფეხმძიმობის ამბავმა აღგვაფრთოვანა".*

ტაბლოიდები წერენ, რომ ვიქტორიამ სამივე შვილი საკეისრო კვეთით გააჩინა და, რასაკვირველია, მეოთხესაც ამ მეთოდით შობს, რადგან ამდენი ოპერაციის შემდეგ ბავშვის ბუნებრივი გზით გაჩენა შესაძლოა სახიფათო იყოს. ამასთან, როგორც მისი აგენტი ამბობს, ის ჯერ მუშაობას არ შეწყვეტს და უახლოეს მომავალში, აშშ-ში მის მიერ შექმნილი მოდელების ჩვენება გაიმართება.

ბექჰემების მეგობარმა თქვა: *„მთელი ოჯახი საოცრად აღელვებული და აღტაცებულია. ისინი დროებით ინგლისში აპირებენ დარჩენას, შემდეგ კი ამერიკაში დაბრუნდებიან, სადაც ვიქტორია იმშობიარებს".*

[illegible]

## [illegible]

ფეხბურთის ასოციაციის თასის მესამე ეტაპზე მეორე ლიგის მეთხუთმეტე გუნდმა „სტივენიჯმა" პრემიერლიგის „ნიუკასლ იუნაიტედს" 3:1 მოუგო. ამ დიდმა გამარჯვებამ „ბროდჰოლ ვეიზე" შეკრებილი ფანები ისე გაახარა, რომ თამაშის დამთავრების შემდეგ თავი ვეღარ შეიკავეს და საზეიმოდ მოედანზე გადახტნენ. და აი, ამ საყოველთაო ზეიმში ერთი ფრიად უცნაური ამბავი მოხდა: მავანი სტივენიჯელი გულშემატკივარი თავისი გუნდის ფეხბურთელს მივარდა და სახეში მუშტი ისე დაარტყა, რომ საბრალო მოედანზე გაშოტა. ეს კადრი ინგლისურმა ტაბლოიდებმა თავიანთ ინტერნეტსაიტებზე „დააგდეს". ერთი უნდა ნახოთ, რას ეწოდება ნამდვილი ნოკდაუნი. ახლა ადგილობრივი პოლიცია სწორედ ამ ჩანაწერზე დაყრდნობით ცდილობს ხულიგნის ამოცნობას.

რა იციან, რომ ხულიგანი „სტივენიჯის" ფანი იყო? მარტივია: კლუბის შარფი აქვს მოხვეული. კადრის გამსხვილების მეთოდით მისი სახეც საკმაოდ მკაფიოდ გამოჩნდა. გამარჯვებულთა თავმჯდომარე **ფილ უოლესი** ყველა თანაქალაქელსა და გულშემატკივარს მიმართავს თხოვნით, ამხილონ კაცი, რომელმაც თავისი გუნდის მოთამაშეს დაარტყა. პოლიცია პირად მიზეზსაც არ გამორიცხავს. თუ ასეა, დამნაშავეს ფეხბურთელის ნაცნობებში დაუწყებენ ძებნას.

## დალგლიშის ავტოგრაფი

საოცარი რამ ჩაიდინა „ბლექპულის" მწვრთნელმა **იან ჰოლოუეიმ** - „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ლივერპულის" სათასო შეხვედრის დროს მერსისაიდელთა ახალ მწვრთნელს **კენი დალგლიშს** ავტოგრაფი გამოართვა. ჰოლოუეის, რასაკვირველია, „ბლექპულის" ფანების რისხვა დაატყდა თავს. საქმე ის გახლავთ, რომ ხვალ, ოთხშაბათს, „ბლექპული" „ლივერპულს" ხვდება - გადადებული შეხვედრაა. ჰოლოუეიმ კი გულწრფელად გაასავსავა ხელები - მე მხოლოდ ჩემი კერპის ავტოგრაფი მინდოდაო. მან თქვა:

*„მინდა კენის იღბალი ვუსურვო. მისთვის ავტოგრაფის გამორთმევა ადრეც მიცდია. მაშინ „ლესტერიდან" ახალი გაშვებული ვიყავი. მივედი და ვთხოვე, ხელი მომიწერეთ-მეთქი, ის კი მეხუმრა, ავტოგრაფი რომ მოგცე გადაიღებ, გაამრავლებ და გაყიდიო. არ სჯეროდა, რომ მართლა მინდოდა.*

*კენი დალგლიში გადასარევი ადამიანია. „ბრისტოლ როვერსიდან" რომ გამაგდეს, მოვიდა და დიდხანს მელაპარაკა. ვერ წარმოიდგენთ, რა ღირსეული პიროვნებაა".*

## ვიეირამ ლურსმანი ჩააჭედა

ძველი გატკეპნილი ნათქვამია, ფეხბურთელმა ბუცები კედელზე ჩამოკიდაო. ამას მაშინ ამბობენ, როდესაც მავანი კარიერას ამთავრებს. თუ ასეა, გამოდის, რომ „მანჩესტერ სიტის" ფრანგ ნახევარმცველ **პატრიკ ვიეირას** კედელში ლურსმანი უკვე ჩაუჭედებია, რადგან 34 წლისამ განაცხადა, რომ ზაფხულზე ბურთაობას თავს ანებებს. მიზეზიც აქვს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს: დიდი მონდომების მიუხედავად ისტლენდელთა ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება, არადა, ახალგაზრდობაში მისთვის რა გინდა რა გუნდის შემადგენლობაში მოხვედრა პრობლემა არ იყო. საკლუბო დონეზე პატრიკ ვიეირამ გულშემატკივარს თავი დაუმარცხებელ „არსენალში" გამოსვლით დაამახსოვრა. „მეთოფეთა" შემადგენლობაში ის სამჯერ გახდა პრემიერლიგის ჩემპიონი, შემდეგ კი „ინტერში" გადავიდა და ოთხჯერ მოიგო „სკუდეტო".

*„ამწუთას, კარიერის დასრულება სანახევროდ უკვე გადაწყვეტილი მაქვს, - უთხრა ვიეირამ „სანდი მირორს". - ივნისში კი ამ ნაბიჯის გადადგმა ნამდვილად აღარ გამიჭირდება".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## ჯარიმა აკრძალული ხილისთვის

შვედური კანონმდებლობა მეძავთან სექსუალურ კავშირს კრძალავს. ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების ყოფილი გოლკიპერი **მაგნუს ჰედმანი** კი სწორედ ამგვარი გართობისთვის დასაჯეს. სასამართლომ 2002 წლის მუნდიალის მონაწილე ჰედმანს ჯარიმის სახით 2500 კრონის (დაახლოებით 360 აშშ დოლარი) გადახდა დააკისრა. ინგლისური „ქოვენთრისა" და შოტლანდიური „სელტიკის" ყოფილი მეკარე განაჩენს ასაჩივრებს და აცხადებს, რომ უძველესი პროფესიის წარმომადგენლისთვის ფული არ გადაუხდია და საერთოდ არ იცოდა, რომ საქმე მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონთან ჰქონდა.

## ბეშიქთაში ალიევს ეპატიჟება

მოსკოვის „ლოკომოტივისა" და უკრაინის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა **ალექსანდრ ალიევმა** კარიერა შესაძლოა, „ბეშიქთაშში" გააგრძელოს. ალიევს რუსეთიდან წასვლა გადაწყვეტილი აქვს და კიევის „დინამოში" დაბრუნება თითქოს გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ სტამბულელებმა ისეთი მიმზიდველი წინადადებით მიმართეს, შესაძლოა, გეზი შეიცვალოს. ამჟამად „ლოკომოტივი" თურქეთშია შეკრებაზე, იქვეა ალიევიც, სადაც „ბეშიქთაშის" წარმომადგენლებს შეხვდება.

მას კიდევ ერთი საინტერესო არჩევანი აქვს – იტალიური „უდინეზე" ეპატიჟება.

## რეკორდი საფრანგეთში

ქვედალიგელ „ევიენთან" მარცხით „მარსელი" საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის მეათე ბინადარი გახდა, რომელიც ქვეყნის თასის მიმდინარე გათამაშებას ოცდამეთორმეტედფინალიდან გამოეთიშა.

დამყარდა ფრანგული რეკორდი – თასის ასეთ ადრეულ ეტაპზე ელიტის ათი კლუბი აქამდე არასოდეს გავარდნილა. მეთექვსმეტედფინალში უმაღლესი დივიზიონის ბინადართა მხოლოდ ნახევარი ითამაშებს.

„მარსელამდე" თასისთვის ბრძოლა „ოსერმა", „მონაკომ", „ტულუზმა", „მონპელიემ", „სენტ ეტიენმა", „ვალანსიენმა", „არლმა", „ლანსმა" და „კანმა" შეწყვიტეს.

## ლაკომბი მონაკოდან დაითხოვეს

**გი ლაკომბი** „მონაკოს" მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. კლუბის ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება საფრანგეთის თასზე ქვედალიგელ „შამბერისთან" განცდილი მარცხის შემდეგ მიიღო. საფრანგეთის ჩემპიონატში „მონაკო" დღეისთვის მე-17 ადგილზეა და სახიფათო ზონას მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს.

## შეზღუდვა შოტლანდიაშიც დაანესეს

მას შემდეგ, რაც **ჰოვარდ ვების** მსაჯობით უკმაყოფილო რაიან ბაბელმა სოციალურ ქსელ „ტვიტერზე" იგი „მანჩესტერის" ფორმაში „გამოაწყო", შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ პრევენციული ღონისძიება გაატარა - შოტლანდიურ პრემიერლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელები გააფრთხილა, რომ მსგავსი საქციელის ჩადენის შემთხვევაში ფინანსური სასჯელი არ ასცდებათ. შეგახსენებთ, ინგლისის ასოციაციამ ბაბელის დაჯარიმების გადაწყვეტილება უკვე მიიღო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სერია A

# სამხრეთული ეიფორია

## და კავანის თავბურთი




კავანის საგოლე თავური

„ინტერთან" განცდილი მარცხის შემდეგ **ვალტერ მაძარიმ** დანანებით აღნიშნა, რომ „ნაპოლის" გრანდებთან ტოლსწორად თამაში არ შეუძლია. გავიდა რამდენიმე დღე და ნეაპოლურმა გუნდმა საკუთარ მოედანზე „იუვენტუსი" გაანადგურა. რთული სათქმელია, რამდენად შეეფერება დღევანდელ „იუვეს" სიტყვა გრანდი, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აკნინებს სამხრეთელთა ბრწყინვალე თამაშს და დამსახურებულ გამარჯვებას. ვინც ჯერ კიდევ ვერ მიხვდა რაზეა ლაპარაკი, გამცნობთ, რომ სერია A-ს XIX ტურის უკანასკნელ შეხვედრაში „ნაპოლიმ" „იუვენტუსს" სამი უპასუხო გოლი გაუტანა. შეხვედრის გმირი **ედინსონ კავანი** გახლავთ, ფეხბურთელი, რომელმაც სამჯერ შეარხია ტურინელთა კარის ბადე და სამივეჯერ თავური დარტყმით. ურუგვაელის პირველი და მეორე გოლები ტყუპისცალივით ჰგავდა ერთმანეთს, დამაგვირგვინებელი კი მართლაც ძალიან ეფექტური გამოვიდა - მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს, ვარდნაში დაჰკრა თავი და **მარკო სტორარი** უშანსოდ დატოვა. თუ რა ხდებოდა კავანის გოლების შემდეგ „სან პაოლოს" გადაჭედილ ტრიბუნებზე, სიტყვებით ძნელი გადმოსაცემია. თვით კლუბის პრეზიდენტი, ყოველთვის თავდაჭერილი **აურელიო დე ლაურენტისი** ბავშვივით ხარობდა, დახტოდა და რიგით ქომაგებს ეხვეოდა. ცნობილი ამბავია, რომ ნეაპოლში „იუვენტუსი" განსაკუთრებულად არ უყვართ და ეს ემოციაც ამის გამოძახილია.

თუ რატომ არ უყვართ „ნაპოლის" გულშემატკივრებს „იუვე", ცალკე სალაპარაკო თემაა და ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს - შეგვიძლია **ჰასან სალიჰამიჯიჩის** მონაყოლი გავიხსენოთ და ყველაფერი ნათელი გახდება. ბოსნიელი ნახევარმცველი გაოგნებული იყო, როდესაც ნეაპოლში „იუვენტუსის" ავტობუსს მოხუცებიც კი უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ და რაც კი ხელში ჰქონდათ, ყველაფერს ესროდნენ. სალიჰამიჯიჩმა მაშინ ნამდვილი შოკი მიიღო და გამომდინარე მისი ტურინული კარიერის წარუმატებლობიდან, როგორც ჩანს, ამ შოკიდან ველარც გამოვიდა. დავუბრუნდეთ კვირას გამართულ შეხვედრას და მატჩის უდავო გმირ ედინსონ კავანის მოვუსმინოთ: *„ვფიქრობ, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. აქამდე იყო ეჭვი, რომ დიდ გუნდებთან თამაში გვიჭირდა და ვგონებ, ეს ეჭვი გავაქარწყლეთ. მთელმა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა და სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ. საკუთარ გოლებზე საუბარი არ მსურს, თითოეული გოლი გუნდური თამაშის შედეგია და არა ცალკეული ფეხბურთელის - რომ არა თანაგუნდელთა იდეალური გადაცემები, თამაშს უგოლოდ დავასრულებდი. რომ არა დაცვის საიმედო თამაში, შესაძლოა ოთხი გოლი გაგვეშვა და ამ ჰეთთრიკს ფასი არ ექნებოდა. ამიტომ, ამ გამარჯვებაში თითოეულ მოთამაშეს თანაბარი წვლილი მიუძღვის. მადლობა გულშემატკივრებს, რომლებმაც მხურვალედ გვიქომაგეს".*

ბედნიერი იყო ვალტერ მაძარი და ბუნებრივია, ჟურნალისტებს არც მან დაწყვიტა გული: *„პირველ რიგში, მინდა გულშემატკივრებს ვუთხრა მადლობა და შემდეგ რა თქმა უნდა ფეხბურთელებს, რომლებმაც ეს ბრწყინვალე სანახაობა დადგეს. ვფიქრობ, „ნაპოლის" თამაშის ყურება ერთი სიამოვნება იყო და ფეხბურთის მთავარი პრინციპიც ეს არის. ჩვენს თამაშში იყო მონდომება, სიამაყე და რა თქმა უნდა, კლასი. რაც უნდა მონდომებული იყო და მაქსიმალურად დაიხარჯო, თუ საშემსრულებლო ოსტატობა გლალატობს, შედეგს ვერ მიაღწევ. „ნაპოლიმ" დაამტკიცა, რომ უმაღლეს დონეზე შეუძლია თამაში და ნებისმიერ მეტოქეს გაუმკლავდება. გოლებიც მეტად ეფექტური გავიტანეთ, განსაკუთრებით მესამე, რაშიც ალბათ ყველა დამეთანხმებით. ძალიან გახარებული ვარ, ამ გუნდს კიდევ შეუძლია მომატება".*

საპირისპირო განწყობაა ტურინელთა ბანაკში, რაც სრულიად ბუნებრივია. 2011 წელს „იუვენტუსმა" ორი შეხვედრა გამართა და ორივეში სამბურთიანი სხვაობით წააგო. ამასთან, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი, **ფაბიო კვალიარელა** დაკარგა, რომელიც დაშავდა და სეზონის ბოლომდე ველარც დაუბრუნდება მოედანს. მის შემცვლელად ტურინელებმა **ლუკა ტონი** დაიმატეს, ვისი დებიუტიც სწორედ „ნაპოლისთან" პაექრობაში შედგა. ერთ-ერთ ეპიზოდში ლუკამ შეარხია კიდეც მეტოქის კარის ბადე, თუმცა მატჩის არბიტრმა მეკარის წინააღმდეგ თამაშის წესების დარღვევა დააფიქსირა. ამ გადაწყვეტილებას ტონი კატეგორიულად არ ეთანხმება: *„შედეგი არასახარბიელოა და ნათლად გამოჩნდა, რომ არაერთ კომპონენტზე გვაქვს სამუშაო. მეტოქემ უკეთ ითამაშა და დაიმსახურა გამარჯვება, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე ეპიზოდში მსაჯმა აბსოლუტურად გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო. მაგალითად, ვერაფრით ვხვდები რატომ გააუქმა ჩემი გოლი, რომელიც საჰაერო ორთაბრძოლისას წესების სრული დაცვით გავიტანე. ანგარიში რომ გათანაბრებულიყო, შესაძლოა სულ სხვა შედეგი მიგველო".*

არ ცხრება **ლუჩანო მოჯი** და „იუვეს" ყველა წარუმატებლობაზე თავის კომენტარს აკეთებს. სინიორ „კალჩოპოლმა" ამჯერადაც შეუტია კლუბის ამჟამინდელ მესვეურებს და მათთან ერთად **ლუიჯი დელ ნერიც** გააკრიტიკა: *„გული მტკივა, როდესაც ასეთ უსუსურ „იუვეს" ვუყურებ. ამხელა ისტორიის მქონე გუნდს არ აქვს უფლება ორი თამაში სამბურთიანი სხვაობით წააგოს. ყველა იმაზე ლაპარაკობს, რომ შეტევაა გასაძლიერებელი, მე კი მგონია, რომ პირველ რიგში დაცვას უნდა მიეხედოს. ხომ ნახეთ, სამჯერ ახტა ედისონ კავანი მეტოქის საჯარიმოში და სამივეჯერ გოლი გაიტანა. არ მესმის დელ ნერის, რომელმაც ძირითად შემადგენლობაში რატომღაც არმანა ტრაორე დააყენა. საერთოდ, სატრანსფერო პოლიტიკა, რომელსაც კლუბის მესვეურები აწარმოებენ, არაფრად ვარგა. 13-14 საშუალო კლასის ფეხბურთელის გადაბირებას, 3-4 ვარსკვლავის დამატება ჯობდა, ეს არის და ეს".*

**ლაშა წიკლაური**

მოსაზრება

# ბაჯო აძურასა და ოცნებებზე



რობერტო ბაჯო

ლეგენდარული **რობერტო ბაჯო** რამდენიმე თვეა, რაც ფედერკალჩოში მუშაობს და იტალიის ყველა ასაკობრივი ნაკრების, მათ შორის ეროვნული გუნდის კონსულტანტია. ბაჯო იშვიათად ურთიერთობს ჟურნალისტებთან, თუმცა მის თითოეულ ფრაზას უდიდესი ყურადღება ეთმობა. ამჯერად, რობერტომ „სკუადრა აძურას" გარშემო ისაუბრა და საინტერესო კომენტარები გააკეთა. გამომდინარე იქიდან, რომ ის უშუალოდ მონაწილეობს იტალიის ეროვნული ნაკრების ფორმირებაში, მისი მოსაზრებები ორმაგად საინტერესოა და დიდი დატვირთვაც აქვს. აი რას ამბობს ბაჯო „აძურას" შესახებ:

*„ნაკრები ჩამოყალიბების სტადიაშია, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან ჩეზარე პრანდელი ახალი დანიშნულია მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ჯერჯერობით ძიების პროცესშია და ცდილობს ის ბირთვი შეარჩიოს, რომელსაც მომავალში დაეყრდნობა. ძალიან ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ „აძურას" მთავარი იარაღი ანტონიო კასანოსა და მარიო ბალოტელის შემტევი ტანდემი იქნება. ჩემი პირადი მოსაზრებით, თუ პრანდელი ასეთ მიმართულებას აიღებს, შესაძლოა სრული კრახი განვიცადოთ. ორივე ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, შესანიშნავი მონაცემებით, მაგრამ ერთ, ორ ან სამ მოთამაშეზე მთელი იმედების დამყარება, შეცდომა მგონია. თანაც, კასანოს და ბალოტელის რთული ხასიათი აქვთ და არ ვარ დარწმუნებული, რომ სტაბილურად მაღალ დონეზე იასპარეზებენ. არ იფიქროთ, მათი საწინააღმდეგო მქონდეს რამე, პირიქით, იმავე კასანოს თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ და გამორჩეულ ფეხბურთელად მივიჩნევ".*

ბაჯოს კიდევ ერთხელ გაახსენეს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი და ჰკითხეს, არის თუ არა შესაძლებელი მუნდიალის გადამწყვეტ მატჩში მწვრთნელის რანგში შეხვდეს ბრაზილიას... მოვუსმინოთ ბაჯოს პასუხს: *„ის დღე არასდროს დამავიწყდება, რადგან მაშინ ყველაზე ახლოს ვიყავი სანუკვარ ოცნებასთან, გავმხდარიყავი მსოფლიოს ჩემპიონი. იმედგაცრუება ძალიან დიდი იყო, ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიის დამარცხებაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და მომეცა შანსი, ეს ოცნება რეალობად მექცია, რაც ვერ განვახორციელე. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ბრაზილიასთან მუნდიალის გადამწყვეტ მატჩში თამაშზე დღემდე ვოცნებობ და ამ ოცნებებში ისევ ფეხბურთელი ვარ. რა თქმა უნდა ეს მხოლოდ ოცნებაა და რეალობასთან არაფერი არ აქვს საერთო. მწვრთნელის რანგში? - აი ამის შანსი კი ნამდვილად არსებობს, თუნდაც ძალიან მცირე, მიზერული, მაგრამ მაინც... არ იფიქროთ, მწვრთნელობაზე სერიოზულად ვფიქრობდე, მაგრამ ვერც ვერაფერს გამოვრიცხავ".*

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორტმუნდის ბორუსია


რომან ვაიდენფელერმა დორტმუნდის ბორუსიასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა

# არის კონტრაქტი: რომანი რჩება!

## ვაიდენფელერი შავ-ყვითლების ერთგულია

დორტმუნდის „ბორუსიამ" მომდევნო სეზონისთვის კიდევ ერთი კითხვის ნიშანი ჩამოიშორა: გერმანიის „შემოდგომის ჩემპიონმა" მეკარე **რომან ვაიდენფელერს** ახალი კონტრაქტი გაუფორმა, რომელსაც ვადა 2014 წლამდე აქვს. გამოცდილ კიპერს „შავ-ყვითლებთან" ხელშეკრულების ვადა ზაფხულში ეწურებოდა და თავისუფალი აგენტი ხდებოდა, რის გამოც მის ბედს არაერთ ცნობილ კლუბს უკავშირებდნენ. გუშინდელი დღის შემდეგ კი ცხადია, რომ ვაიდენფელერი დორტმუნდში რჩება.

*„მიხარია, რომ კლუბის ხელმძღვანელებთან შეთანხმებას მივაღწიე. ბოლო ორი წლის განმავლობაში „ბორუსიამ" უდიდესი პროგრესი განიცადა. ვხედები, რომ დორტმუნდში დიდი გუნდი შენდება და მინდა, რომ მეც ამ დიდი პროექტის ნაწილი ვიყო,"* - განუცხადა ჩვენს გერმანელ კოლეგებს ვაიდენფელერმა, რომელიც „ბორუსიას" ღირსებას 2002 წლიდან იცავს. რომანმა BVB-ს ფორმა მას მერე ბუნდესლიგის 205 მატჩში მოირგო. მიმდინარე სეზონში ვაიდენფელერი განსაკუთრებით კარგად გამოიყურება - „კიკერის" შეფასებების მიხედვით, რომანი მეკარეებში მხოლოდ „შალკესა" და გერმანიის ნაკრების კიპერ **მანუელ ნოიერს** ჩამორჩება.

ვერდერი

# ალოფსი: კლოზე არა, ისა!

## მიროს ბრემენში აღარ მიიღებენ, იქნებ ავდიჩმა ივარგოს...

გუშინ, გერმანულ პრესაში გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ **უგო ალმეიდას** დაკარგვით თავდასხმაში გამოწვეული სიცარიელის შევსებას ბრემენის „ვერდერი" **მიროსლავ კლოზეს** დაბრუნებით აპირებს, მაგრამ სალამოს „მუსიკოსების" შეფმა **კლაუს ალოფსმა** გადაჭრით თქვა, კლოზეზე არ მიფიქრიაო. პორტუგალიელი თავდამსხმელის წასვლით „ვერდერის" წინა ხაზში მართლაც დიდი ხვრელი გაჩნდა, მაგრამ ბრემენულ კლუბს სხვაც ბევრი პრობლემა აქვს. მაგალითად, ჯერ კიდევ გაურკვეველია კაპიტან **ტორსტენ ფრინგსის** მომავალი. თითქმის გადაწყვეტილია, რომ **პეტრი პასანენი** და **დანიელ იენსენი** გუნდს დატოვებენ, ახალწვეულის რანგში კი, ალოფსის ოფიციალური დასტურით, „ნიურნბერგის" ნიჭიერი ნახევარმცველი **ილქაი გიუნდოგანი** განიხილება. ამასთან, ბრემენულმა კლუბმა ტესტ-მატჩებში ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა, რამაც ალოფსის აღშფოთება გამოიწვია. გუნდმა ბუნდესლიგის პირველი წრე ისედაც საშინლად ჩაატარა (მე-14 ადგილი) და მოსამზადებელი შეკრების მერეც ისეა საქმე, რომ ალოფსს და მთავარ მწვრთნელ **თომას შაafs**ს ოპტიმისტურად განწყობის საბაბი არ აქვთ.

*„ახალი თავდამსხმელი გვჭირდება, მაგრამ არ ვიცი, რამდენად შევძლებთ ისეთი ფორვარდის ყიდვას, როგორიც „ვერდერს" შეეფერება და რომელიც უგო ალმეიდას ღირსეულად შეცვლის. ცნობები იმის შესახებ, რომ თითქოს კლოზეს დაბრუნებაზე ვფიქრობთ, სპეკულაციებია. გულახდილად გეტყვით, რომ მიროზე არც მიფიქრია. შესაძლოა, მხოლოდ ავდიჩის ტრანსფერით შემოვიფარგლოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ბიჭი მასზე გაცემულ ავანსებს გაამართლებს,"* - უთხრა 54 წლის ალოფსმა „კიკერს". მისივე თქმით, კლოზე ბრემენში რომც დაბრუნდეს, მას „ვერდერის" გულშემატკივრები ზარ-ზეიმით ნაღდად არ მიიღებენ, რადგან ბრემენში დღესაც ყველას კარგად ახსოვს, როგორ წავიდა მირო „ვერდერიდან". ვისაც არ ახსოვს, გავახსენებთ, რომ 2007 წელს, კლოზემ „ბაიერნის" ხელმძღვანელებთან საიდუმლო მოლაპარაკებები უეფას თასის ნახევარფინალური მატჩის წინ (ესპანიოლთან) გამართა, რითაც ბრემენელი ფანები ძალიან გაანაწყენა.

ჯერჯერობით უცნობია ისიც, გააგრძელებს თუ არა „ვერდერთან" კონტრაქტს კაპიტანი ფრინგსი, რომელიც უკვე 34 წლისაა და კარიერის საუკეთესო წლები უკან აქვს მოტოვებული. ტორსტენი ამბობს, წნეხის ქვეშ არ ვარ მოქცეული, ახალი ხელშეკრულების გაფორმება ყოველთვის შეიძლებაო, მაგრამ ყველამ იცის, რომ ხელფასის დაკლების შემთხვევაში კონტრაქტის გაფორმებაზე უარს იტყვის. ფრინგსი მოქმედი ხელშეკრულებით წელიწადში 3.8 მილიონ ევროს იღებს და „ვერდერის" შეფებს მისთვის ჯამაგირის შემცირება უნდათ - ახალი კონტრაქტი დღემდე ამიტომაც არაა გაფორმებული. გამორიცხული არაა, რომ ტორსტენმა ზაფხულში კარიერის დასრულება გადაწყვიტოს. არის მშობლიურ „ალემანიაში" ან ამერიკაში წასვლის ვარიანტიც, სადაც მას ნამდვილად კარგად გადაუხდიან.

სამაგიეროდ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ მუდმივი რეზერვისტი დანიელ იენსენი და მცველი პეტრი პასანენი ბრემენულ კლუბს დატოვებენ. გამორიცხული არაა, რომ „ვერდერიდან" **პერ მერტეზაკერიც** აიბარგოს, რომელსაც პრემიერლიგური კლუბები უხმობენ. „მუსიკოსებს" ახალი სისხლი რომ სჭირდებათ, ამას ალოფსიც აღიარებს და ადასტურებს, რომ „ნიურნბერგის" 20 წლის ნახევარმცველით, გიუნდოგანითაა დაინტერესებული - ფეხბურთელით, რომელმაც ცოტა ხნის წინ თურქეთის ნაკრებში თამაშზე უარი თქვა და გერმანიის ეროვნულ გუნდში თამაში გადაწყვიტა. თუმცა ალოფსს ეს უკანასკნელიც ეძვირება - „ნიურნბერგი" გიუნდოგანში მინიმუმ ათ მილიონს ითხოვს. თანაც, მისი გადაბირებისთვის „ვოლფსბურგი", „ჰამბურგი" და „ლევერკუზენიც" იბრძვიან.

გერმანია. ბუნდესლიგა

# ათი ნატვრის თვალი ბუნდესლიგიდან

## ვინ შეიძლება გაჰყვეს ედინ ჯეკოს?

იანვრის ყველაზე ხმაურიანი და ძვირფასი გარიგება ჯერჯერობით **ედინ ჯეკოს** „ვოლფსბურგიდან" „მანჩესტერ სიტიში" ტრანსფერია - ინგლისურმა კლუბმა ბოსნიელ თავდამსხმელში 33 მილიონი ევრო გადაიხადა და თუ „სიტი" ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს, მანჩესტერელები გერმანიის ექსჩემპიონს კიდევ ხუთ მილიონს ჩაუთვლიან. ვინ იქნება შემდეგი? აი, ასეთი კითხვა დასვა გერმანული პრესის ფლაგმანმა „ბილდმა" და ბუნდესლიგიდან ევროპის რომელიმე ტოპ-გრანდში გადასვლის ნომერ პირველ კანდიდატად დორტმუნდის „ბორუსიას" იაპონელი გამთამაშებელი, 21 წლის **შინჯი კაგავა** დაასახელა. ინგლისური გამოცემა News Of The World წერს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" მზადაა, ზაფხულში დორტმუნდს კაგავაში 18 მილიონი ევრო ჩაუთვალოს, რაც 51-ჯერ მეტია იმ თანხაზე, დორტმუნდელებმა რვა თვის წინ ახალგაზრდა იაპონელ გამთამაშებელში რომ გადაიხადეს. ივნისში BVB-მ კაგავა (კონტრაქტი 2013 წლამდე) სულ რაღაც 350 000 ევროდ შეიძინა...

გადავწყვიტეთ, ბუნდესლიგის ის ათი მარგალიტი წარმოგიდგინოთ, რომლებზეც სუპერგრანდებში დიდი მოთხოვნაა.

### რენე ადლერი (ლევერკუზენი)

გერმანიის ნაკრების მეორე მეკარეს „ლევერკუზენთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული და უკვე ოფიციალურად დადასტურდა მის ხელშეკრულებაში სპეციალური პუნქტის არსებობა, რომლის მიხედვითაც, **ადლერს** თავის საყვარელ კლუბში გადასვლა ამ ზაფხულს 24 მილიონ ევროდ შეუძლია. რენეს ოცნების გუნდი კი „მანჩესტერ იუნაიტედია", რომლის სკაუტები მას უკვე დიდი ხანია აკვირდებიან. როგორც იცით, ზაფხულში **ედვინ ვან დერ სარი** კარიერას ამთავრებს და მანკუნიანელებსაც ახალი კიპერი სჭირდებათ.

### შინჯი კაგავა (ბორუსია დ)

ბოლო ორი დღის განმავლობაში ინგლისურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მანჩესტერ იუნაიტედი" ბუნდესლიგაში კიდევ ერთ მარგალიტს, როგორც შესავალშიც ვთქვით, დორტმუნდელ შინჯი კაგავას უმიზნებს. ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, 21 წლის კაგავათი თვითონ **სერ ალექს ფერგიუსონი** დაინტერესდა და თავის სკაუტებს მეორე წრეში იაპონელზე დაკვირვება დაავალა. კაგავას ფასი დღესდღეობით 18 მილიონი ევროა და ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, „მანჩესტერი" მზადაა, ეს თანხა გაიღოს.

### პერ მერტეზაკერი (ვერდერი)

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ნაკრებისა და „ვერდერის" მცველმა ბუნდესლიგის პირველი წრე ძალიან ცუდად ჩაატარა, ინგლისში აყლაყუდა „მერტეზე" ძალიან დიდი მოთხოვნაა. ჩვენი გერმანელი და ინგლისელი კოლეგების ცნობით, **მერტეზაკერით** „არსენალი" და „ლივერპული" არიან დაინტერესებულები. პერს ბრემენულ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული და რაკი „ვერდერს" ახლა სპორტულთან ერთად, ფინანსური კრიზისიც აქვს, შესაძლოა, „მუსიკოსებისთვის" ზაფხულში მერტეზაკერის გაყიდვა კარგი გამოსავალი იყოს.

### ელჯერო ელია (ჰამბურგი)

ზაფხულში, „ჰამბურგის" ჰოლანდიელი გარემარბის გადაბირება ტურინის „იუვენტუსს" სურდა, მაგრამ ჩრდილოგერმანულმა კლუბმა უნიჭიერეს ნახევარმცველში საკმაოდ დიდი ფული, 30 მილიონი ევრო მოითხოვა. უახლესი ინფორმაციით, ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერ ფეხბურთელზე სერიოზულად ფიქრობენ „რეალი", „ბარსელონა" და „მანჩესტერ იუნაიტედი". **ელიას** „ჰამბურგთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს.

### ჯეფერსონ ფარფანი (შალკე)

**ლევან ყენიას** თანაგუნდელს მაინცდამაინც „ვალენსიამ" დაადგა თვალი - კლუბმა, რომელსაც „შალკე" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში უნდა დაუპირისპირდეს. ფარფანმა პერუში ყოფნის დროს გულახდილად თქვა, გელზენკირხენში დარჩენა აღარ მინდა, რადგან უკეთესი კლუბები მეპატიჟებიანო, მაგრამ მისი ტრანსფერი ჯერ არ გადაწყვეტილა. ფაქტია, რომ „შალკეს" მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** ფარფანზე ძალიან გაბრაზებულია და ამ უკანასკნელმა დარჩენაც რომ მოისურვოს, „დესპოტი ფელიქსი" მას გუნდში სავარაუდოდ აღარც გააჩერებს.

### ილქაი გიუნდოგანი (ნიურნბერგი)

წყალი აღარ გაუვა იმას, რომ ზაფხულში უნიჭიერესი ნახევარმცველი **ილქაი გიუნდოგანი** „ნიურნბერგს" დატოვებს და კარიერას რომელიმე უფრო მაღალი კლასის გუნდში გააგრძელებს. დაინტერესებას ყველაზე მეტად „ჰოფენჰაიმი" და „ვოლფსბურგი" იჩენენ.

### მლადენ პეტრიჩი (ჰამბურგი)

„ჰამბურგის" ხორვატ თავდამსხმელს გუნდიდან წასვლა ჯერ კიდევ აგვისტოში სურდა, რადგან HSV-ში ვერაფრით გაბედნიერდა - არადა, დიდი ტალანტისა და შესაძლებლობების მქონე ფეხბურთელია, რაც ყველამ იცის. პეტრიჩს „ჰამბურგის" თავკაც **არმინ ფეესთან** ცუდი ურთიერთობა აქვს და ახლა თუ არა, ჩრდილოგერმანულ კლუბს მომავალ ზაფხულს მაინც დატოვებს. გავრცელებული ცნობების თანახმად, პეტრიჩს იტალიური „ჯენოა" ეპატიჟება. გენუელები ხორვატ თავდამსხმელს **ლუკა ტონის** შემცვლელად მოიაზრებენ. როგორც იცით, ეს უკანასკნელი „იუვენტუსში" გადავიდა.

### დემბა ბა (ჰოფენჰაიმი)

„ჰოფენჰაიმში" **დემბა ბას** გამო უკვე სერიოზული სპექტაკლია გაჩაღებული. თავდამსხმელს გუნდიდან წასვლა უნდა, მეტიც, ტრანსფერს იმდენად კატეგორიულად მოითხოვს, რომ „ჰოფეს" მოსამზადებელ შეკრებაზე არ გაჰყვა. „ჰოფენჰაიმის" მფლობელი, მილიარდერი **დიტმარ ჰოპი** კი იმუქრება, ასეთ საქციელს არ ვაპატიებ, მაინც არ გავყიდი და ტრიბუნაზე დავალპობო, მაგრამ ცხადია, რომ გაყიდვა მოუწევს. ბას „ვესტ ჰემსა" და „ფულჰემში" ეპატიჟებიან. „ჰოფენჰაიმი" მინიმუმ 12 მილიონ ევროს ითხოვს.

### ჰამით ალთინთოფი (ბაიერნი)

თურქმა ნახევარმცველმა ზაფხულში „ბაიერნთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა რეკორდმაისტერს თავისი ბედი სულ რაღაც ერთი წლით დაუკავშირა. ასე რომ, ჰამითს მიუნხენურ გრანდთან ხელშეკრულების ვადა მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე ეწურება. რაკი **ფრანკ რიბერი** და **არიენ რობენი** გამოჯანმრთელდნენ, ჰამითს სათადარიგოთა სკამზე ჯდომის საფრთხე ემუქრება და ამიტომაც უნდა მიუნხენიდან წასვლა. ტყუპისცალს „ბეშიქთაში" ეპატიჟება.

### ნევენ სუბოტიჩი (ბორუსია დ)

ზუსტად ერთი წლის წინ, „მანჩესტერ სიტიმ" დორტმუნდის „ბორუსიას" ახალგაზრდა სერბი მცველის სანაცვლოდ 22 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ მაშინ ტრანსფერი დორტმუნდელებმაც იუარეს და არც თვითონ **ნევენ სუბოტიჩს** (კონტრაქტი 2014 წლამდე) „მოუკლავს თავი". „ბორუსიას" სერბი მცველი მიმდინარე სეზონში კიდევ უფრო უკეთ თამაშობს და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ახლა „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „არსენალის" ყურადღებაც მიიქცია.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა



შალკე-ჰაპოელი 3:1. დუგლას და სილვას და კლაას იან ჰუნტელაარის ორთაბრძოლა

## შალკე-ჰაპოელი ჩაწყობილი იყო?

### თუ რამე, ყველაფერი დუგლას და სილვას სინდისზე იქნება

რაც უფრო ხშირად ვსაუბრობთ მანიპულირებულ თუ საეჭვო მატჩებზე, მით უფრო გვწყდება გული, რადგან ფეხბურთი საშინლად დაბინძურდა და ყველაზე ცუდი ის არის, რომ გვირაბის ბოლოს სინათლე არ ჩანს. არსებობენ ეჭვმიტანილები, გარკვეული ნაწილი უკვე ბრალდებულია, ზოგიც სასჯელს იხდის, მაგრამ საეჭვო მატჩების რაოდენობამ არათუ იკლო, არამედ მოიმატა. თუკი აქამდე უმეტესად მეორე, მესამე, მეოთხე და უფრო ქვედა ლიგების თამაშებზე გვიწევდა საუბარი, ახლა ეჭვქვეშ თვით ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩი დადგა: არსებობს სერიოზული ეჭვი იმის შესახებ, რომ მიმდინარე სეზონში „შალკესა" და თელ ავივის „ჰაპოელის" შეხვედრა, რომელიც გელზენკირხენელებმა 3:1 მოიგეს, მანიპულირებული იყო.

თუკი უეფას კომისრები ამ დღეებში „შალკესა" და „ჰაპოელის" მატჩის ვიდეოჩანაწერს ნახავენ (შეხვედრა 20 ოქტომბერს გაიმართა), აუცილებლად დააფიქსირებენ, რომ იმ დღეს თელ ავიველთა მცველი **დუგლას და სილვა** აშკარად „მარცხენა ფეხზე იყო ამდგარი". „ჰაპოელის" ყველაზე ერთგულ ქომაგებსაც კი არ ახსოვთ, როდის ითამაშა და სილვამ ბოლოს ისე ამაზრზენად, როგორც გელზენკირხენში.

26 წლის მცველმა „შალკეს" პირველი გოლის დროს **რაულს** თავი ძალიან მარტივად მოატყუებინა და მერეც არაერთი უპატიებელი, მეტიც, უტოპიური შეცდომა დაუშვა. კორექტულად რომ ვთქვათ, დუგლას და სილვას არაფერი გაუკეთებია საიმისოდ, რომ „ჰაპოელი" „შალკესთან" არ დამარცხებულიყო. პირიქით!

ეს შეხვედრა უდიდესი ეჭვის ქვეშ მას მერე დადგა, რაც გაირკვა, რომ სხვადასხვა ტოტალიზატორში მასზე დიდი ფული შევიდა. მაგალითად, ჰონგკონგისა და სინგაპურის ტოტალიზატორებში საერთო ჯამში 12 მილიონი ევრო დაიდო იმაზე, რომ „შალკე" „ჰაპოელს" მინიმუმ ორბურთიანი სხვაობით მოუგებდა. ახლა ჯერი უეფაზეა, სადაც ხსენებულ შეხვედრას დეტალურად განიხილავენ და წესით, პირველი, ვინც თვალში უშნოდ უნდა გაეჩხიროთ, დუგლას და სილვაა. ებრაული პრესა არაოფიციალურ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ მატჩის წინ და სილვას ემუქრებოდნენ. მიზეზი ბევრნაირია.

*„პირადად ჩემთვის არავის მოუმართავს. შესაბამისად, ამ თემაზე ფიქრით ტვინს არ ვიჭყლეტთ. თანაც, თუ რამე გაირკვა, ფაქტია, რომ „შალკე" არაფერ შუაში იქნება. ჩვენ ხომ მოვიგეთ,"* - აცხადებს გელზენკირხენული კლუბის მენეჯერი **პეტერ პეტერსი**.

რაც შეეხება დუგლას და სილვას, რომელსაც ამ სკანდალის მთავარ როლში ყოფნის საფრთხე ემუქრება: აღსანიშნავია, რომ მატჩის წინა დღეს ებრაელი ჟურნალისტები „შალკეს" მთავარ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს** უმეტესად სწორედ და სილვას შესახებ ეკითხებოდნენ. გავრცელდა ცნობები, რომ „შალკეს" „ჰაპოელის" ბრაზილიელი მცველის გადაბირება სურდა, რაც მაგათმა მაშინაც უარყო - დუგლას და სილვა მართლა კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენ ის არ გვაინტერესებსო. „შალკეს" ნაცვლად, და სილვა ზალცბურგის „რედ ბულში" უნდა გადასულიყო, მაგრამ გავრცელებული სკანდალური ცნობების შემდეგ, ბრაზილიელის ავსტრიაში ტრანსფერიც ჩაშლის პირასაა მისული. „რედ ბულის" თავკაცმა **ჰუუბ სტევენსმა** რამდენიმე დღის წინ თქვა, და სილვამ „შალკესთან" ისე ცუდად ითამაშა, რომ ლამისაა, მისი ყიდვა გადავიფიქროთო.

**გოტფრიდ ლენცი**

სკანდალი

## ვფიცავ, არ მინდოდა...

გვინდოდა ტურის მატჩის გამოხმაურება **კრიშტიანო რონალდოს** ჰეთთრიკით, ან **კაკას** ნანატრი გოლით დაგვეწყო, მაგრამ თამაშის დროს მომხდარმა ინციდენტმა ამის საშუალება არ მოგვცა. სადაც სკანდალია, **ჟოზე მოურინიოც** იქვეა, უფრო კი პირიქით - „განსაკუთრებულს" მუდამ ფათერაკები სდევს თან.

81-ე წუთზე მანამდე ჰეთთრიკის შემსრულებელმა რონალდომ კაკას გადააწოდა და ბრაზილიელმაც დიდი ხნის შესვენების შემდეგ გოლი გაიტანა, ანგარიში 4:2 გახდა და ისიც ცხადი შეიქმნა, რომ „ვილიარეალი" თამაშის გადამრჩენი აღარ იყო. კაკას გოლმა უზომოდ გაახარა ჟოზე მოურინიო, მან ტრიბუნებს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა, „განსაკუთრებულის" ჟესტიკულაციაც განსაკუთრებული იყო. ბედის ირონიით, მოურინიო იმ მომენტში „ვილიარეალის" სათადარიგოთა სკამის პირისპირ აღმოჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელი მათ არ მიმართავდა, სტუმართა ბანაკში თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს, „რეალის" კარში პირველი გოლის გამტანმა **რუბენ კანიმ**, რომელიც იმ დროისთვის შეცვლილი იყო, მოურინიოს მისამართით წყლით სავსე ბოთლიც ისროლა. იყო ერთი გაწევ-გამოწევა, რომელიც საბოლოოდ კი დასრულდა მშვიდობიანად, თუმცა ესპანური მედიის მთავარ თემად იქცა.

*„ვფიცავარ, რომ საერთოდ არ მქონდა გულში პროვოკაცია, მინდოდა გოლი ჩემს შვილთან ერთად მეზეიმა, რომელიც ზუსტად „ვილიარეალის" სათადარიგოთა სკამის უკან იჯდა. არ ვიცი, რატომ იფიქრეს სტუმრებმა, რომ მე მათ ვიწვევდი"*, - თავს იმართლებდა მატჩის შემდეგ მოურინიო. კანიმ ამ საქციელისთვის რეფერი **დავიდ ფერნანდეს ბორბალანისგან** წითელი ბარათი იხილა.

**ჟოზე მოურინიო:** *„პირველ ტაიმში მოედანზე მხოლოდ ერთი ფერი დომინირებდა და ეს არ იყო თეთრი. ჩვენ მხოლოდ მეორე ტაიმში ვითამაშეთ კარგად. პირველი ნახევარი 2:2 კი არა, 3:1 უნდა დასრულებულიყო „ვილიარეალის" სასარგებლოდ, მათ ფორვარდებს უკეთ რომ ეთამაშათ ბოლო წუთებში. მეორე ტაიმში კი მხოლოდ „რეალი" თამაშობდა, ამიტომაც მოვიგეთ".*

**ხუან კარლოს გარიდო:** *„სამჯერ მაინც იყო თამაშში ეპიზოდი, როცა „რეალის" ფეხბურთელებს ყვითელი ბარათი ეკუთვნოდათ, მაგრამ არ მისცეს. გადამწყვეტი კი მესამე გოლი იყო. დედამიწის ზურგზე ვერავინ დამაჯერებს, რომ რონალდომ გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან არ გაიტანა".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ვალენსიური დერბის გამოხმაურება

## მატა იქა, მატა აქა

გუშინ ვალენსიური დერბის შესახებ მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები შემოგთავაზეთ, ახლა კი უფრო დაწვრილებით შევჩერდებით კვირის ბოლო მატჩზე, რომელიც „ვალენსიამ" **ხუან მატას** გოლის წყალობით 1:0 მოიგო. „ლევანტე" ლა ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, „ვალენსია" კი - ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის, მაგრამ რახან დერბია, თამაშს ყველა დიდი ინტერესით ელოდა. ფლანგის შემტევი ნახევარმცველი სანამ მატჩის გმირი გახდებოდა, ბევრს ეცადა, მაგრამ თითქოს ვიღაცამ დანავსა - ჯერ პენალტი ვერ გაიტანა, შემდეგ საჯარიმო დარტყმით ხარიხა „ჩამოილო", მატას კვერი ბოლოსკენ გამოცხვა, როცა მისმა გოლმა **უნაი ემერის** ზედიზედ მესამე გამარჯვება მოუტანა პრიმერადივიზიონში.

„სიუტატ დე ვალენსიაზე" მასპინძელი გუნდის ფანებმა არაჩვეულებრივი ატმოსფერო შექმნეს, მაგრამ ფეხბურთელები ვერ აჰყვნენ გულშემატკივრებს და მაღალი ხარისხის თამაში ვერ შესთავაზეს მათ. თავიდან, თითქოს, **ლუის გარსიას** გუნდი სჯობდა ფავორიტს, ძალიან ბევრს მოძრაობდა „ლევანტეს" ფორვარდი **ფელიპე კაისედო**, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მასპინძლებს საგოლე მომენტები ჰქონდათ.

მალე „ვალენსიამაც" გამოილო ხელი და 26-ე წუთზე მასპინძელთა კაპიტანმა **მიქელ რობუსტემ** აკრძალული ილეთით შეაჩერა **ჰედვიგეს მადუროს** იერიში. უნდა ითქვას, რომ უხეშობის აუცილებლობა არ იყო. პენალტი მატამ უხეიროდ შეასრულა, ბურთი ხარიხას გაეხახუნა და ზემოთ გადავარდა. მეორე ტაიმში დერბი სულ წახდა. მაყურებელი ისევ მატამ გამოაცოცხლა, მაგრამ საჯარიმო ხარიხამ აისხლიტა. „ლოს ჩე" უკვე ფლობდა უპირატესობას, ამიტომაც სავსებით დამსახურებულად იმარჯვა - **პაბლო ერნანდესის** პასით მატამ **მანოლო რეინას** აჯობა და „ვალენსიას" 3 ქულა მოუტანა. „ლოს გრანოტესს" დრო აღარ ჰქონდა საპასუხო იერიშებისთვის. „ვალენსიას" უკვე 2 ქულაღა აშორებს მე-3 ადგილზე მყოფ „ვილიარეალთან".

**უნაი ემერი:** *„შეხვედრიდან შეხვედრამდე ვუმატებთ. ჩემი აზრით, დერბიში გამარჯვება დავიმსახურეთ. პირველი ტაიმი თუ თანაბარი იყო, მეტოქეს მეორეში ვაჯობეთ. ჩვენს ანგარიშზე გაცუდებული პენალტი, ხარიხას გარტყმული საჯარიმო და კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტია, „ლევანტე" კი თავს ვერაფრით მოიწონებს".*

დერბიზე მეტს ვერ გეტყვით, თუმცა ერთ ამბავსაც დავამატებთ, რომელიც „ვალენსიას" სატრანსფერო პოლიტიკას ეხება. დიდი ხანია ცნობილია, რომ ესპანურ გუნდს „ლორიანის" ფორვარდის, **კევინ გამეიროს** ყიდვა სურს. ფრანგებმა „ვალენსიას" გამეიროს სანაცვლოდ 12 მილიონი ევრო მოსთხოვეს. სწორედ ამაზე გააკეთა კომენტარი „ვალენსიას" პრეზიდენტმა **მანუელ ლორენტემ**. ბოსმა ფრანგების მოთხოვნას „აბსოლუტური სიგიჟე" უწოდა. „ლოს ჩეს" ხელმძღვანელობა „ლორიანს" 7 მილიონ ევროს სთავაზობს. ასე რომ, ტრანსფერი ჩაშლის პირასაა...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვალენსია გამარჯვებას ზეიმობს

ესპანეთი. ლა ლიგა. XVIII ტური

## ერკულესმა ატლეტიკო მოარბია

ეტყობა, გული უგრძნობდა **კიკე ფლორესს**, როცა წუწუნებდა, ნუ გვათამაშებთ ორშაბათობითო. გრანდიჭამია „ერკულესმა" „ატლეტიკოს" პირველ ტაიმში ნამდვილი კოშმარი მოუწყო ალიკანტეში - 4 უპასუხო გოლი გაუტანა. მადრიდელთა რბევა „რეალის" ყოფილმა ფორვარდმა **ხორხე ლოპესმა** იმავე **ტოტემ** დაიწყო. შემდეგ თავი „ერკულესის" ლეგიონერებმა, **ნელსონ ვალდესმა, ოლივიე ტომერმა** და **დავიდ ტრეზეგემ** გამოიჩინეს. **რეიესის** გოლს პრესტიჟულიღა ეთქმის...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 18 | 16 | 1 | 1 | 57-10 | 49 |
| 2. რეალი | 18 | 15 | 2 | 1 | 46-16 | 47 |
| 3. ვილიარეალი | 18 | 11 | 3 | 4 | 34-18 | 36 |
| 4. ვალენსია | 18 | 10 | 4 | 4 | 27-20 | 34 |
| 5. ესპანიოლი | 18 | 10 | 1 | 7 | 23-24 | 31 |
| 6. ატლეტიკო | 18 | 8 | 3 | 7 | 28-23 | 27 |
| 7. ხეტაფე | 18 | 8 | 3 | 7 | 28-25 | 27 |
| 8. მალიორკა | 18 | 8 | 3 | 7 | 23-21 | 27 |
| 9. სევილია | 18 | 8 | 2 | 8 | 25-29 | 26 |
| 10. ბილბაო | 18 | 8 | 2 | 8 | 27-30 | 26 |
| 11. ერკულესი | 18 | 6 | 4 | 8 | 22-26 | 22 |
| 12. სოსიედადი | 18 | 7 | 1 | 10 | 25-31 | 22 |
| 13. დეპორტივო | 18 | 5 | 6 | 7 | 15-24 | 21 |
| 14. რასინგი | 18 | 5 | 5 | 8 | 14-24 | 20 |
| 15. ოსასუნა | 18 | 4 | 6 | 8 | 15-21 | 18 |
| 16. მალაგა | 18 | 5 | 2 | 11 | 23-37 | 17 |
| 17. ლევანტე | 18 | 4 | 3 | 11 | 19-29 | 15 |
| 18. სპორტინგი | 18 | 2 | 7 | 9 | 15-27 | 13 |
| 19. სარაგოსა | 18 | 2 | 7 | 9 | 16-32 | 13 |
| 20. ალმერია | 18 | 2 | 7 | 9 | 16-31 | 13 |

**ბომბარდირები:** 22 - რონალდო (რეალი); 18 - მესი (ბარსელონა); 12 - ვილია (ბარსელონა); 11 - ფ. ლორენტე (ბილბაო); 10 - ნილმარი (ვილიარეალი); 9 - როსი (ვილიარეალი), პედრო (ბარსელონა), ტრეზეგე (ერკულესი); 8 - კანუტე (სევილია); 7 - იგუაინი (რეალი), ადურისი (ვალენსია), ფ. კაისედო (ლევანტე), აგუერო (ატლეტიკო), ვალდესი (ერკულესი).

### ერკულესი-ატლეტიკო 4:1

**ერკულესი (4-2-3-1):** კალატაიუდი - კორტესი, პასი, პამარო, პენია - ფრიტცლერი, აგილარი - ტოტე (63. კრისტიანი), ვალდესი (75. რუფეტე), ტომერი (51. სენდოა) - ტრეზეგე.

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, გოდინი, დომინგესი, ფ. ლუიში - რ. გარსია (58. კოკე), ასუნსაო, რეიესი, მ. სუარესი (46. ფ. მერიდა) - დ. კოშტა, აგუერო (77. ფორლანი).

**გოლები:** 1:0 ტოტე (11), 2:0 ვალდესი (23), 3:0 ტომერი (32), 4:0 ტრეზეგე (44), 4:1 რეიესი (89)

**გაფრთხილება:** პენია

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 10-22 (6-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 25 000

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

### პეპე და ბონუსები

მადრიდის „რეალი" გაუმჯობესებულ კონტრაქტს შესთავაზებს პორტუგალიელ მცველ **პეპეს**. შეგახსენებთ, რომ პეპეს მოლაპარაკება „სამეფო კლუბის" ხელმძღვანელობასთან ჩიხში იყო შესული, ხოლო „მანჩესტერ სიტი" დიდი გულმოდგინებით აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას. „რეალი" 27 წლის მცველს ახალ, ბონუსების სისტემას შესთავაზებს, რომლის წყალობითაც პეპე მეტ გასამრჯელოს გამოიმუშავებს, ვიდრე აქამდე. იმავე წყაროს ცნობით, პეპეს ხელფასი არ გაიზრდება, ის წელიწადში 3 მილიონ ევროს შეადგენს, მაგრამ ბონუსების წყალობით, შესაძლებელია, პეპემ წელიწადში 5 მილიონამდე ევროც გამოიმუშავოს.

### ატლეტიკოს აპეტიტი

მადრიდის „ატლეტიკო" აქტიურ სატრანსფერო პოლიტიკას აწარმოებს. „როხიბლანკოსი" კიდევ ორი ფეხბურთელით აპირებს გაძლიერებას, ოღონდ, ზაფხულში. ესენია „პორტუს" ფორვარდი **რადამელ ფალკაო** და „ვილიარეალის" ნახევარმცველი **ბორხა ვალერო**. ფალკაო „რივერ პლეიტის" ყოფილი ფეხბურთელია. ის ახალგაზრდაა, გოლის ალღო აქვს და ტექნიკურად უნაკლოა. **სერხიო აგუეროსთან** ერთად ფალკაოს ძალიან კარგი შემტევი წყვილის შექმნა შეუძლია. ბორხა ვალერო პრიმერას უკვე აღიარებული ვარსკვლავია. მადრიდელები იმედოვნებენ, რომ „წყალქვეშა ნავი" მას 15 მილიონ ევროს სანაცვლოდ დათმობს.

### კონკო და ქალბატონი

„სევილიას" მარჯვენა მცველი **აბდულაი კონკო** ადასტურებს, რომ ის „იუვენტუსთან" მომავალ ტრანსფერზე მართავს მოლაპარაკებას. ტურინულ კლუბს დაცვის ხაზში ერთობ გაუჭირდა და ახალ სისხლს ეძებს. კონკოს თავის მხრივ, სასტარტოში მოხვედრის პრობლემები აქვს, ამიტომ 26 წლის ფეხბურთელი თავად არის მოწადინებული, გაეცალოს ესპანურ პრიმერადივიზიონს.

### ოსვალდო 2 თვით

„ესპანიოლს" ბედი არ სწყალობს თავდამსხმელებში - იტალიელ-არგენტინელი ფორვარდი **პაბლო ოსვალდო** დიდებულად მოერგო ბარსელონურ გუნდს, გოლებიც გაიტანა, მაგრამ ტრავმამ ერთი თვით დაასვენა, კვირას პაბლომ იძულებითი შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა და 8 წუთში შეძლო გოლის გატანა, მაგრამ მალევე მან ისევ ტრავმა მიიღო... „ესპანიოლის" ექიმების მტკიცებით, ამჯერად ოსვალდო გუნდს 2 თვით დააკლდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიფას ოქროს ბურთი 2010

# ფიფას ფოკუსი: მესი...

## მოურინიო საუკეთესო მწვრთნელია







ფიფამ რამე საქმეს ხელი მოჰკიდოს და ის სამართლიანად გამოუვიდეს? გუშინ შვეიცარიის ქალაქ ციურიხში საზეიმო ვითარებაში დაასახელეს წლის საუკეთესო ფეხბურთელი, რომელიც პირველად ისტორიაში გაერთიანდა „ფრანს ფუტბოლის" ცნობილ გამოკითხვასთან. ასე რომ, ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელმა „ოქროს ბურთი" ჩაიბარა. 10 იანვრის გალა წარმოდგენისთვის დარჩენილი იყო სამი ნომინანტი, სამივე „ბარსელონას" წარმომადგენელი: **ანდრეს ინიესტა, ჩავი ერნანდესი** და **ლიონელ მესი**. როდესაც **ხოსეპ გვარდიოლამ** გამარჯვებულის ვინაობა გამოაცხადა, ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ნაწილი და თვით გამარჯვებისთვის შემართული ანდრეს ინიესტა გაოცებული დარჩა. ბუნებრივია, მესი მხოლოდ ფიფას არჩეული არ არის, გამოკითხვაში მონაწილეობა სხვადასხვა ჟურნალმა და გაზეთმა, ეროვნულ ნაკრებთა თავკაცებმა და კაპიტნებმა მიიღეს, მაგრამ...

ჭეშმარიტად, მესი უნდა იყო, რომ მუნდიალის წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ისე მიიღო, მუნდიალზე გოლი ვერ გაიტანო. ამ არჩევამ, ნებით თუ უნებლიედ, მსოფლიოს ჩემპიონატის მნიშვნელობა დააკნინა და სანაკრებო ბატალიებზე წინ საკლუბო დააყენა. მაგრამ, მესის „ბარსელონას" რომ არც დიდი საერთაშორისო ტიტული მოუგია? გუნდი ხომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მილანის „ინტერთან" დამარცხდა... მუნდიალზე კი ათ ფეხბურთელს მაინც ჩამოგითვლით, რომელთაც ჯადოქარ არგენტინელზე უკეთ ითამაშეს.

საღამო ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** გახსნა მოკლე მიმართვით, შემდეგ მან ადგილი „ფრანს ფუტბოლის" ერთ-ერთ ბოს **ფრანსუა მორინიეს** დაუთმო. წარსულში ცნობილმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა **მარკო ვან ბასტენმა** პუბლიკას FFIFA/FIFPRO WORLD XI წევრები წარუდგინა - 2010 წლის სიმბოლური გუნდი შეადგინეს: **იკერ კასილიასმა** (რეალი), **ჟერარდ პიკემ, კარლეს პუიოლმა** (ბარსელონა), **ლუსიომ, მაიკონმა** (ინტერი), ჩავიმ, ინიესტამ, მესიმ (ბარსელონა), **ვესლი სნეიდერმა** (ინტერი), **კრიშტიანო რონალდომ** (რეალი) და **დავიდ ვილიამ** (ბარსელონა).

ფიფას „ფეერ პლეის" პრიზი ჰაიტის 17-წლამდელ გოგონათა ნაკრებმა მიიღო, რომელთაც, მიუხედავად დამანგრეველი მიწისძვრისა სამშობლოში, დიდებულად წარადგინეს ჰაიტი მსოფლიო ასპარეზზე.

ფიფას წლის საუკეთესო მწვრთნელი პორტუგალიელი **ჟოზე მოურინიო** გახდა, რომელმაც 2010 წელს ორ გუნდს უთავკაცა, „ინტერსა" და „რეალს". მოურინიომ აჯობა მსოფლიოს ჩემპიონ მწვრთნელ **ვისენტე დელ ბოსკეს** (მუნდიალის მნიშვნელობის კიდევ ერთი დამცრობა) და „ბარსელონას" თავკაც ხოსეპ გვარდიოლას. წლის ქალთა საუკეთესო მწვრთნელი **სილვია ნეიდი** გახდა.

ფიფას პუშკაშის სახელობის პრიზი, რომელიც წლის საუკეთესო გოლის ავტორისთვის იყო განკუთვნილი, ფანების შერჩევით თურქეთის ნაკრების ნახევარმცველ **ჰამით ალთინთოფს** ერგო, რომელმაც საყოველთაო აღიარებით ყაზახეთის ნაკრების კარში ულამაზესი გოლი გაიტანა.

წლის საუკეთესო ფეხბურთელი ქალი 24 წლის ბრაზილიელი **მარტა** გახდა. ამის შემდგ კი დადგა კულმინაციის ჯერი, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ - მესი 2010 წლის საუკეთესო ფეხბურთელია.

*„დიდი მადლობა ამ ოვაციებისთვის. სიმართლე გითხრათ, დღეს მე გამარჯვებას არ ველოდი. ჩემთვის უკვე ის იყო დიდი პატივი, რომ აქ ვიმყოფებოდი ორ თანაგუნდელთან ერთად. გამარჯვებამ კი კიდევ უფრო დიდებული გახადა ჩემთვის ეს საღამო. მინდა ჩემი სიხარული და ეს პრიზი ყველა ბარსელონელსა და არგენტინელს გავუზიარო"*, - განაცხადა ლეომ სამადლობელო სიტყვაში. შეგახსენებთ, რომ არგენტინელმა „ოქროს ბურთი" ზედიზედ მეორედ მოიპოვა, 2009 წელსაც მან გაიმარჯვა.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ორიენტირი ლონდონი 2012



მარცხნიდან: გია ნაცვლიშვილი, კახა გენაძე, თემურ ყაზარაშვილი

# ჭიდაობაში საეჭვოა, ძიუდოში არა!



მარცხნიდან: დავით გობეჯიშვილი, გია ნაცვლიშვილი, გიორგი ასანიძე, რამაზ გურგენიძე

ყოველი წლის დასაწყისში სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებთან და მწვრთნელებთან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შეხვედრები და სამომავლო გეგმების ერთობლივად დასახვა, ტრადიციად ჩამოყალიბდა. გუშინ სეოკ-ის შტაბბინას ძიუდოს, ჭიდაობის, ძალოსნობის, ქართული ჭიდაობისა და სამბოს ფედერაციათა წარმომადგენლები სტუმრობდნენ. მართალია, უკანასკნელი ორი სახეობა არაოლიმპიურია, მაგრამ სეოკ-ს განზრახული აქვს, მათზე მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან გარკვეული თანხა გამოყოს, თუმცა ქართულ ჭიდაობას სეოკ-ის სოლიდური დაფინანსება არც წინა წლებში აკლდა და ამის დასტურად ბადიაურისა და პრეზიდენტის თასზე ლენტეხის უმაღლეს დონეზე ორგანიზებული ფალავნობების დასახელებაც საკმარისია.

წელიწად-ნახევარი თვალის დახამხამებაში გაირბენს და ლონდონის საიუბილეო რიგით XXX ზაფხულის ოლიმპიური თამაშებიც კარს მოგვადგება, მანამდე კი წინ სალიცენზიო ტურნირებია და ამ კუთხით 2011 წელი გარდამტეხი იქნება.

*„მაღალი მიღწევების სპორტში ოთხწლეულს ყველა ქვეყანა ოლიმპიური თამაშების შედეგების მიხედვით აჯამებს. რა თქმა უნდა, ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტიც ამ გრანდიოზული სპორტული ფორუმისთვის სპორტსმენთა ნაყოფიერად მომზადებისთვის ხელის შეწყობა და შემდეგ იქ წარმატებული ასპარეზობაა. მიმდინარე წელი, ლიცენზიების განაწილების თვალსაზრისით, ძალზედ დატვირთულია და საერთაშორისო სარბიელზე ჩვენც საქმის ნახევარზე მეტი წლეულსვე უნდა მოვამთავროთ“*- ასეთი იყო სეოკ-ის პრეზიდენტის **გია ნაცვლიშვილის** საერთო პათოსი ფედერაციებთან შეხვედრისას.

„ლონდონი 2012“-ის სალიცენზიო მარათონში პირველი მერცხლები ძალოსნები აღმოჩნდნენ, რომლებმაც შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე 21-ე ადგილი დაიკავეს და დარიცხული ქულებით 3 საგზური მოიპოვეს. პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის **გიორგი ასანიძის** თქმით, წლეულს პარიზში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე, აუცილებელი იქნება იმავე შედეგის გამეორება, რომ მოპოვებული საგზურები შევინარჩუნოთ, რაც, წესით, არ უნდა გაჭირდეს. ძალოსანთა ნაკრები საფრანგეთში მსოფლიოს პირველობაზე სეოკ-ის დაფინანსებით გაემგზავრება.

ჭიდაობის სახეობები და ძიუდო საერთაშორისო სარბიელზე ყოველთვის იყო და არის ქართული სპორტის მთავარი იმედი. ამიტომაც ქართველი გულშემატკივარი მათგან მუდამ მაქსიმუმს ითხოვს. სეოკ-ის ხელმძღვანელები მათთან შეხვედრისას უფრო მომთხოვნები იყვნენ და კიდევ ერთხელ გამოხატეს უკმაყოფილება იმ სპორტსმენების მიმართ, რომლებმაც ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიიღეს. მათ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვიტონ, სურთ თუ არა სპორტული კარიერის გაგრძელება. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის **კახა გენაძის** თქმით, წინა ოლიმპიადებისგან განსხვავებით, ლონდონის თამაშებზე ლიცენზიების განაწილების სისტემა შეიცვალა. წლეულს ლიცენზიები მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატზე გათამაშდება, რომელიც სექტემბერში სტამბულში გაიმართება და იქაც პირველი 8 ადგილის ნაცვლად, როგორც ეს ადრე იყო, საგზურს მხოლოდ ექვსი საუკეთესო ფალავანი მიიღებს. გაისად კი ევროპის ჩემპიონატსა და დამატებით ერთ სალიცენზიო ტურნირზე განაწილდება საგზურები.

თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა მთავარმა მწვრთნელებმა - **ზაზა თურმანიძემ** და **ბეგი დარჩიამ** აღნიშნეს, რომ საქართველოს ჩემპიონატზე გამოჩნდნენ ახალი სახეები, რაც სხვადასხვა წონებში კონკურენციის ზრდისთვის აუცილებელია. მათი განცხადებით, სამწუხაროა, რომ რამდენიმე ტიტულოვანმა მოჭიდავემ ეროვნულ პირველობას უგანა და ოფიციალურ მიზეზად ტრამვები დასახელდა, თუმცა მათ ბოლო შანსი ზაფხულში კარტოზია-ბალავაძის თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ალბათ კიდევ უნდა მიეცეთ და ამით ყველაფერს ნათელი მოეფინება. თურმანიძემ და დარჩიამ ყველა წონაში ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების პირობა ვერ დადეს, მაგრამ საამისოდ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ. მოჭიდავეებს სტამბულის მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობასა და მის წინა შეკრებას სეოკ-ი დაუფინანსებს.

ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის **სოსო ლიპარტელიანის** განცხადებით, ლონდონის ლიცენზიას აუცილებლად ყველა წონით კატეგორიაში მოიპოვებენ. ბევრი ქართველი კიმონოისტი საერთაშორისო რეიტინგში ისეთ პოზიციაზე იმყოფება, რომ მათ ოლიმპიადაზე მოხვედრა უპრობლემოდ უნდა შეძლონ. რაც შეეხება ქალებს, აქ **გია თენაძის** თქმით, იმედი მხოლოდ **ნინო ოძელაშვილზეა.**

ქართული ჭიდაობის ახალარჩეულ ხელმძღვანელთან **თემურ გიორგაძესთან** შეხვედრისას ნაცვლიშვილმა ყურადღება გაამახვილა შარშან გამართულ პრეზიდენტის თასის გათამაშებაზე, რომელიც აუცილებლად ტრადიციული უნდა გახდეს საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდით, ხოლო სამბოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ იაძემ** აღნიშნა, რომ მარტში თბილისში მსოფლიოსა და საქართველოს ნაკრების ოფიციალური შეხვედრის ჩატარება იგეგმება.

სეოკ-ის პრესსამსახური

სამთო თხილამურობა

## მე-6 ადგილი იტალიაში

წლეულს ქართველ სამთო-მოთხილამურეთაგან საერთაშორისო ტურნირებში ჯერჯერობით მხოლოდ 17 წლის **ჯაბა გელაშვილი** ასპარეზობს. ლანგრიესში გერმანიის ახალგაზრდულ ღია პირველობაზე მან ჯერ მე-14 და შემდეგ მე-18 ადგილები დაიკავა (ორივე სლალომში). შემდეგ კი ძალები იტალიის ახალგაზრდულ ღია პირველობაზე მოსინჯა, ტარვიზიოს სლალომში. ჯაბამ იქ მე-6 შედეგი აჩვენა, სულ კი ორივე ცდა 59-მა მოთხილამურემ ჩაამთავრა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

## ასეულს ნელ-ნელა უახლოვდება

გუშინ WTA-ს და ATP-ის ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა. საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი** ნელა, მაგრამ მაინც უახლოვდება კარიერის უახლოეს მიზანს - მოწინავე ჩოგბურთელთა ასეულში შესვლას - ანამ 2 საფეხურით წაიწია და კარიერის ახალი რეკორდი აჩვენა. 20 წლის ჩოგბურთელი 510 სარეიტინგო ქულით მსოფლიოს 132-ე ჩოგანია. ერთი ადგილით დაწინაურდა **ოქსანა კალაშნიკოვა** - 310 ქულით კლასიფიკაციაში 191-ე პოზიციაზეა. სხვები: 257 (-) **მაკა ჩახნაშვილი** - 210 ქულა; 283 (+3) **სოფიო შაფათავა** - 180; 292 (+2) **თათია მიქაძე** - 168; 416 (+1) **სოფიო ქვაცაბაია** - 87; 590 (-) **მანანა შაფაქიძე** - 44; 625 (-5) **ეკა გორგოძე** - 39; 1147 (+1) **ანა ჯიქია** - 3. წყვილთა რეიტინგში სულ 9 ქართველია, მათგან 6 მოწინავე სამასეულშია. ანა ტატიშვილი წყვილებში მსოფლიოს 130-ე ჩოგანია, ხოლო ოქსანა კალაშნიკოვა - 163-ე (ქუანჟოუს ტურნირის ფინალში გასვლამ ოქსანა წინ 14 საფეხურით წაწია). წლის რბოლაში ანა ტატიშვილი სულაც 33-ე პოზიციაზეა, ხოლო ოქსანა კალაშნიკოვა - 92-ეზე.

ვაჟთა რეიტინგში სულ ორი ქართველია: 633 (-) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 31 ქულა და 861 (-) **ლადო ჩიხლაძე** - 11.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი

სუმოს სამყარო. ჰაცუ ბაშო. 9-23 იანვარი



## ნაგებები და უფრო ცუდი ამბავი ტოკიოდან...

### ტოჩინოშინმა ლავიწი დაიზიანა

იაპონიაში მოასპარეზე პროფესიონალ სუმოისტთა ქართულ ტრიოს ცუდი დროება უდგას - გასული წლის უკანასკნელი ბაშო მხოლოდ ერთმა მათგანმა დაასრულა დადებითი ბალანსით და არც ახალი წლის პირველი ბაშო (ჰაცუ ბაშო იაპონურად სწორედ ახალი წლის ბაშოს ნიშნავს) გვაძლევს მომავლის იმედს. გუშინ სამივე ჩვენებურმა წააგო, მაგრამ უფრო ცუდი ისაა, რომ სასტარტო შეხვედრაში ლავიწი დაუზიანებია ჩვენებურთაგან ყველაზე მაღალი რანგის რიკიშის, 23 წლის **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)** და შესაძლოა, მან ტურნირზე ასპარეზობა შეწყვიტოს.

სუმოში მკაცრი კანონებია, გამოუცხადებლობა, არავინ დაგიდევს, რის გამო გაცდინე შეჯიბრება, უბრალოდ, წაგებად ითვლება და რეიტინგშიც გაქვეითებენ, როგორც ნაგებულს. იმედია, საქმე აქამდე არ მივა, მაგრამ ფაქტია, ქართველ მე-2 მაეგაშირას სწორედ ტრავმამ არ მისცა საშუალება სეკივაკე **კოტოშოგიკუსთან** ბრძოლაში მთელი ძალით ეჭიდავა. ტოჩინოშინმა მისთვის ხელსაყრელი დგომი კი მიიღო, მაგრამ ხელი სათანადოდ ველარ ჩასჭიდა მეტოქეს და 26 წლის იაპონელმაც ქართველი დოჰიოდან მიწოლით გაიყვანა. ტოჩინოშინის ბალანსი 0-2-ია. დღეს ტოჩინოშინის მეტოქე ვეტერანი ჩემპიონი **კაიოა** (1-1). ლევანი კაიოს აქამდე 7-ჯერ შეხვედრია და ორჯერ სენსაციაც მოუხდენია.

პირველად წააგო ბაშოზე 198-კილოიანმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**. ქართველი მონღოლ **ასასეკირიუს** დაეჭიდა, ვერ გადასძალა და თავად დაეცა დოჰიოზე ზურგით. გაგამარუს 1-1 ბალანსი აქვს და დღეს მე-7 მაეგაშირა ტოსაიუტაკას (0-2) შეხვდება, რომელსაც აქამდე 3 შეხვედრიდან 2 მოუგო.

**კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ვერაფრით შეძლო საიუბილეო, მე-300 გამარჯვების ზეიმი უმაღლეს დივიზიონში. მან ზედიზედ მეხუთე ცდა ჩააფლავა - გუშინ ვეტერან **ტოჩინონადასთან** წააგო. არადა, „შავ ზღვას“ ძალზე არასახარბიელო სიტუაცია შეექმნა, ის მე-15 მაეგაშირაა და თუ ამ ბაშოზე 8 მოგებას ვერ შეაგროვებს, კარიერაში პირველად გავარდება ელიტიდან. დღეს ჩვენებური მე-14 მაეგაშირა **ვაკაკოიუს** (2-0) შეხვდება. „შავი ზღვა“ შარშან პირველად შეხვდა ვაკაკოიუს და დამარცხდა.

მაეგაშირაზე მაღალი რანგის 9 რიკიშია ამჟამად პროფესიულ სუმოში და პირველი ორი დღე ამათგან დაუმარცხებლად მხოლოდ სამმა განვლო. ერთი უკვე ვახსენეთ, სეკივაკე კოტოშოგიკუ, რომელმაც ტრავმირებული ტოჩინოშინი დაგვიმარცხა. არ წაუგია ჯერ დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** და მის თანამემამულე ოძეკი **ჰარუმაფუჯის**. სულ კი 9 რიკიში ასპარეზობს ტოკიოში წაუგებლად. დღევანდელი წყვილებიდან ჰაკუჰოსა და **ამინიშიკის** ორთაბრძოლას გამოვყოფთ, „მატადორი“ ამინიშიკი ყოველთვის მზადაა სენსაცია მოახდინოს.

**II დღე:** ჰაკუჰო-ტოიონოშიმა (ცუკიოტოში), ბარუტო-კაკურიუ (ცურიდაში), ტოჩიოძანი-კოტოოშუ (იორიტაოში), ჰარუმაფუჯი-იოშიკაძე (ცურიდაში), ამინიშიკი-კაიო (იორიკირი), კოტოშოგიკუ-ტოჩინოშინი (იორიკირი), არანი-კისენოსატო (ჰატაკიკომი), ტოკუსეგავა-ტამავაში (ჰატაკიკომი), ჰომაშო-გოეიდო (იორიტაოში), ასასეკირიუ-გაგამარუ (იორიტაოში), ტაკეკაძე-კიოკუტენჰო (კატასუკაში), ტაკამისაკარი-ტოსაიუტაკა (უვატენაგე), ვაკანოსატო-ტოკიტენკუ (ოშიდაში), მიაბიამა-კიტატაიკი (ჰატაკიკომი), ჰაკუბა-შიმოტორი (იორიკირი), კორიუ-შოტენრო (ჰატაკიკომი), მოკონამი-კოტოკასუგა (ცურიდაში), ვაკაკოიუ-ოკინოუმი (ჰატაკიკომი), ტოიოჰიბიკი-კიმურაიამა (ოშიდაში), ტოჩინონადა-კოკაი (ოშიტაოში), სოკოკურაი-ტოიოძაკურა (ოშიდაში).

**III დღე:** ჰაკუჰო-ამინიშიკი, კოტოოშუ-ტოიონოშიმა, ჰარუმაფუჯი-კაკურიუ, კაიო-ტოჩინოშინი, ბარუტო-იოშიკაძე, კისენოსატო-ტოჩიოძანი, კოტოშოგიკუ-ტამავაში, არანი-ჰომაშო, ტოკუსეგავა-ასასეკირიუ, გოეიდო-კიოკუტენჰო, გაგამარუ-ტოსაიუტაკა, ტაკეკაძე-კიტატაიკი, მიაბიამა-ტოკიტენკუ, ტაკამისაკარი-ჰაკუბა, ვაკანოსატო-შოტენრო, შიმოტორი-მოკონამი, კორიუ-ოკინოუმი, კოტოკასუგა-კიმურაიამა, ვაკაკოიუ-კოკაი, ტოიოჰიბიკი-ტოიოძაკურა, სოკოკურაი-ტოჩინონადა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## კარლო ხორავა



90-წლისა გარდაიცვალა ქართული სპორტის უხუცესი მუშაკი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი კარლო ხორავა. შვიდი ათეული წელიწადი მუხლჩაუხრელად იდგა ბატონი კარლო ქართული სპორტის სამსახურში, სადაც უნდა ყოფილიყო, სპორტი იყო მისი უპირველესი საზრუნავი. მის სახელთან სამარადჟამოდაა დაკავშირებული სპორტის აღმავლობა სამეგრელოს რეგიონში და განსაკუთრებით ზუგდიდში. გამორჩეულად უნდა ითქვას ცხენოსნობის აღდგენა-განვითარებაში მის ღვაწლზე, როცა ის რაიონის სპორტის კომიტეტს ედგა სათავეში. გარდაცვალებამდე მუშაობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივნად. ყოველთვის ყველას დაუზარლად გადასცემდა თავის მდიდარ გამოცდილებას, მის ხელში გამოიწრთო სპორტის ადგილობრივ სპეციალისტთა თაობები. როგორც ღვაწლმოსილი მუშაკი და ღირსეული პიროვნება საპატიო მოქალაქედ აირჩია ქ. ზუგდიდის საზოგადოებრიობამ.

ნათელში ამყოფოს მისი სული ღმერთმა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაცია და ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ კარლო ხორავას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ 90-წლისა გარდაიცვალა ქართული სპორტის უხუცესი მუშაკი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, ათეული წლების განმავლობაში ზუგდიდის სპორკომიტეტის თავმჯდომარე, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი

**კარლო ხორავა**

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ლეგიონერები

# სანიკიძე რომ არა, ვირტუსი ვერ მოიგებდა

## ტრინჩიერი: გვიჭირს მარკოიშვილის გარეშე

იტალიის ჩემპიონატში მე-14 ტურის მატჩები გაიმართა. ველოდით **მანუჩარ მარკოიშვილის** "კანტუს" შემადგენლობაში დაბრუნებას, ექიმებმა თქვეს – "ბენეტონის" წინააღმდეგ სათამაშოდ მზად იქნებაო, მაგრამ "კანტუ"-"ბენეტონის" მატჩის განაცხადში მანუჩარი ვერ ვიხილეთ. როგორც ჩანს, მანუ ჯერ ბოლომდე არ არის მწყობრში. ქართველის არყოფნა "კანტუს" მწვრთნელ **ანდრეა ტრინჩიერის** ძალიან რომ აღელვებს, ეს მისი სიტყვებიდანაც ჩანს:

*- მარკოიშვილის გარეშე მეშვიდე მატჩს ვატარებთ. ეს იოლი არ არის, ძალიან გადავიღალეთ. თუმცა, დანარჩენმა მოთამაშეებმა ძალების მობილიზება კარგად მოახერხეს და გუნდური თამაშის წყალობით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ.*

"კანტუმ" მანუჩარის ყოფილ კლუბ "ბენეტონთან" მეოთხე პერიოდი დამაჯერებლად ჩაატარა (25:18) და საბოლოოდ 10 ქულის სხვაობით გაიმარჯვა – 75:65.

■ ■ ■

გაზეთ "ბასკეტნეტში" გამოქვეყნებულ სტატიას გავეცნოთ: *"რომის "ლოტომატიკას" წინააღმდეგ მატჩში "ვირტუსის" თავკაცი ლარდო ლინო ცდილობდა ვიქტორ სანიკიძე ზედმეტად არ დაეტვირთა, რადგან იდაყვის ტრავმა ახალი მოშუშებული აქვს. თუმცა, ბოლო წუთებზე მწვრთნელმა ქართველი ფორვარდი სათადარიგოთა სკამზე ვერ დატოვა..."*

"კორიერე დი ბოლონიაში" ერთგვარ გაგრძელებას ვკითხულობთ: *"მართალია, სანიკიძემ სულ 2 ქულა ჩააგდო, მაგრამ ბოლო მეოთხედში მთავარი მოქმედი პირი სწორედ ის იყო. მის გარეშე "ვირტუსი", ალბათ, ვერ გაიმარჯვებდა. ვიქტორმა გადამწყვეტ მომენტში მოედანზე ცეცხლი დაანთო, მოხსნას მოხსნა მიაყოლა და თამაშის შემოტრიალებაში დიდი წვლილი შეიტანა. სანიკიძემ თავისი ორი ქულა ბოლო წამებზე ჩააგდო და ბოლონიელები 84:77 დააწინაურა. "ვირტუსმა" საბოლოოდ 87:79 იმარჯვა."*

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა რომაელებთან ბრძოლაში 25 წუთში 2 ქულა (2-დან 2 საჯარიმო), 8 მოხსნა (7 დაცვაში), 2 პასი და 1 დაფარება მოაგროვა. "ვირტუსის" ბომბარდირი **კენი უინსტონი** გახდა – 22 ქულა.



ნამატჩევს ბოლონიური გუნდის მწვრთნელმა **ლარდო ლინომ** კომენტარში ქართულ გვარს მნიშვნელოვანი ადგილი მიუჩინა:

*- სამი პერიოდის განმავლობაში მეტოქე დომინირებდა, მაგრამ მეოთხე პერიოდში გულიანი თამაშით მოგება არ დავუთმეთ. უინსტონი გამარჯვების მთავარი შემოქმედი იყო, სანიკიძე - საკვანძო ფიგურა.*

სადღეისოდ ბოლონიელებს 7-7 მოგება-წაგება აქვთ და იტალიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზე არიან. 10 მოგებითა და 4 მარცხით "კანტუ" მესამეა. მე-15 ტურის შემდეგ ცხრილის ზედა რვაეულში მყოფი გუნდები იტალიის თასის მეოთხედფინალურ წყვილებს შეადგენენ.

"ვირტუსს" რვა გუნდს შორის ადგილის შესანარჩუნებლად 16 იანვარს სტუმრად "ტერამოს" ძლევა სჭირდება. იმავე დღეს "კანტუ" "ვარეზეს" ეწვევა. სწორედ 16-ში უნდა ველოდით მანუჩარ მარკოიშვილის მოედანზე დაბრუნებას.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# მომგებიანი ახალი მწვრთნელი

ნოემბრის შემდეგ პირველად მოიგო **თორნიკე შენგელიას** „პეპინსტერმა" - ბელგიის ჩემპიონატში მეორე ადგილზე მყოფ „მონსს" უმასპინძლა და 88:83 სძლია.

პეპინსტერელთა წარმატება უმთავრესად **სტეფონ ჯექსონის** დამსახურებაა, რომელმაც 26 ქულა ჩააგდო. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გუნდში წლეულს მწვრთნელი შეიცვალა და შენგელიასაც იმედი ჰქონდა, რომ ახალი დამრიგებლის ხელში „პეპინსტერი" უკეთესად ათამაშდებოდა. მთავარ მწვრთნელად **აარონ მაკკარტნი** დაინიშნა და პირველივე მატჩში იმედები გაამართლა. თუმცა ბატონ აარონს ქართველი ახალგაზრდისადმი მიდგომას ვერ მოვუწონებთ: „მონსთან" შენგელია 9 წუთი ათამაშა. დროის ამ მონაკვეთში თორნიკე 3 ქულასა და 4 მოხსნას გამორჩა.

„პეპინსტერს" 3 მოგება აქვს (8 მარცხი) და ბელგიის ჩემპიონატში მერვე ადგილზეა (9 გუნდი თამაშობს).

შენგელიას გუნდი 15 იანვარს „ოოსტენდეს" ესტუმრება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



# ბალტიისპირულ სამეულში

**გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკი" ბალტიის ლიგაზე წარმატებულ სვლას განაგრძობს. „როკერებმა" ამჯერად თანამემამულე ტტუ-ს უმასპინძლეს და 11 ქულის სხვაობით დაამარცხეს - 83:72. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები „კუდში მისდევდნენ", ტარტუელები არ აღელვებულან, მესამე პერიოდში მოპოვებული მცირე უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ და ბალტიის ლიგაზე მე-9 მოგება მოიპოვეს (4 წაგების წილ). ასეთივე მაჩვენებელი აქვს ლატვიურ „ვენტსპილსს", რომელთანაც „როკი" მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. ცხრილს ათმოგებიანი „რუდუპისი" (ლიტვა) ლიდერობს.

გიორგი ცინცაძემ ტტუ-სთან მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და ნაყოფიერად იშრომა: 24 წუთში 12 ქულა და 2-2 მოხსნა-პასი-ჩაჭრა მოაგროვა. „როკერთაგან" ყველაზე მეტი **ტემუ სოკმა** ჩააგდო - 14 ქულა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით კი საუკეთესო **კალისტას ეზიუკვუ** იყო - 13 ქულა, 18 მოხსნა, 3 პასი, 6 დაფარება.

ბალტიის თასზე „ტარტუ" მომდევნო მატჩს „ვეფ რიგასთან" სტუმრად 15 იანვარს ჩაატარებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**





ტორინ გრინი

# სულ 13

ესპანეთის ჩემპიონატში მერვე მარცხი იწვნია **ნიკოლოზ ცქიტიშვილის** „ლაგუნ არომ", რომელმაც მესამეადგილოსან „კახა ლაბორალთან" 80:83 დათმო.

ცქიტიშვილის მონაგარი ასეთი იყო: 13 წუთი, 3 მოხსნა. სკიტამ ერთი ორქულიანი და ორი სამიანი ისროლა...

გაიმარჯვეს **ქუინტონ ჰოსლისა** და **ტორინ გრინის** გუნდებმა. „გრან კანარიამ" „გრანადას" შინ 86:71 აჯობა. გრინი სასტარტო ხუთეულში იყო, 21 წუთში 10 ქულა და თითო მოხსნა-პასი მიითვალა. ტორინმა 3-დან 2 სამქულიანი ჩააგდო.

ჰოსლის „ხუვენტუდმა" ცქიტიშვილის ყოფილი გუნდი „ფუენლაბრადა" 100:86 დაამარცხა. ქუინტონმა 3 ქულა, 7 მოხსნა და 4 პასი მოაგროვა.

**ტაირონ ელისის** „ესტუდიანტესმა" სტუმრად „ბისკაიასთან" 57:66 დათმო. საქართველოს ნაკრების ყოფილმა უკანახაზელმა 10 წუთი ითამაშა და მოედანი უქულოდ დატოვა. ასე და ამგვარად, საქართველოს ნაკრების ყოფილ თუ დღევანდელ წევრებს ესპანეთის ჩემპიონატის მე-15 ტურში სულ 13 ქულა მოუგროვდათ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

წყალბურთი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# აღორძინების მკაფიო პერსპექტივები და

## ოლიმპიადის მკრთალი კონტურები

**საუკუნეზე მეტია, წყალბურთი ოლიმპიურ სახეობად არის აღიარებული. პირველი მედლები კაცებმა 1900 წელს გაითამაშეს პარიზში მეორე თამაშებზე, ქალებმა — ზუსტად 100 წლის შემდეგ სიდნეიში. საქართველოში წყალბურთი მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გაიცნეს. პირველი წყალბურთელები იყვნენ მოცურავეები —პეტრე მშვენიერაძე, ნოდარ გვახარია და პეტრე ბრეუსი. დიდ სარბიელზე საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში მედლები აქვთ მოპოვებული გვახარიას, ლერი გოგოლაძეს, გივი ჩიქვანაიას, მიხეილ გიორგაძეს. თბილისის „დინამომ" სსრკ ხალხთა სპარტაკიადებზე 3-ჯერ ვერცხლისა და 2-ჯერ ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, სსრკ ჩემპიონატებში ოთხჯერ მეორე და ექვსჯერ მესამე ადგილები დაიკავა. თბილისის საერთაშორისო ტურნირებზე, სადაც მსოფლიო გრანდებს უთამაშიათ, მასპინძლებს ხუთჯერ საპრიზო ადგილები ხვდათ.**

გავიდა წლები და ტრადიციები, სამწუხაროდ, მივიწყებას მიეცა, რაც ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. ბოლო ორი წელია, საქართველოში ამ სახეობის აღორძინება დაიწყო.

- ჩვენთვის განსაკუთრებით დაძაბული და დატვირთული შარშანდელი სეზონი იყო. - გვითხრა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა **ალექსანდრე ბითაძემ.** - ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლეგენდარული წყალბურთელის რევაზ ჩომახიძის, ასევე, მწვრთნელების - ნოდარ ჩხარტიშვილისა და გელა ტუკვაძის ხელმძღვანელობით ევროპის პირველობის დასკვნით ეტაპზე იასპარეზა. ჩამოვაყალიბეთ ჭაბუკთა ნაკრები, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ჩერნოგორიელი სპეციალისტი იოვან პოპოვიჩი და ირაკლი ბაქრაძე. ჩვენმა ბიჭებმა, რომლებსაც პირველი ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრება 2013 წელს უწევთ, შარშან ზაფხულს სერბეთში თანატოლებთან გაიარეს ერთობლივი საწვრთნელი შეკრება და იქვე ოთხი ამხანაგური შეხვედრაც გამართეს ქვეყნის ჩემპიონ „ვოევოდინასთან". ყველა მატჩში დამარცხდნენ, სამაგიეროდ, იმავე გუნდს გვიან შემოდგომით სამი ორთაბრძოლა მოუგეს. ქართველ წყალბურთელთა ასეთმა პროგრესმა აფიქრებინა სერბეთის წყალბურთის ფედერაციას, თავისი ქვეყნის ჭაბუკთა ჩემპიონატში ჩვენი გუნდიც ჩაერთო. ამგვარი გამონაკლისი მათ პირველად დაუშვეს. შეჯიბრება სტარტს თებერვალში აიღებს.

საგულისხმოა ისიც, რომ სერბ კოლეგებთან ხელშეკრულებაც გავაფორმეთ, რომლის საფუძველზეც თებერვლის მიწურულს ან მარტის დასაწყისში მოვიწვევთ სახელოვან სპეციალისტ ნენად მანუელოვიჩს, რომელიც წლების განმავლობაში იუგოსლავიის ნაკრებს წვრთნიდა და მისი თავკაცობით სამხრეთ სლავებმა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები მოიგეს. მანუელოვიჩი ამჟამად თავის ქვეყანაში წყალბურთის გასავითარებლად ორ და ოთხწლიან პროგრამებს ადგენს. თბილისში იგი ქართველი სპეციალისტებისთვის თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს ჩაატარებს.

რადგან ახალგაზრდებს შევეხეთ, აქვე ვიტყვით იმასაც, რომ სამამულო წყალბურთის ისტორიაში პირველად ჭაბუკთა და ახალგაზრდების ჩემპიონატები რამდენიმე ტურად გაიმართება. 1995-1996 წლებში დაბადებულთა შორის ათი, 13-14-წლიანებში კი რვა გუნდი იასპარეზებს. უმცროსი ასაკის წყალბურთელთა თითო ტურს აუცილებლად უმასპინძლებენ ქუთაისი და ბათუმი. ამ ქალაქებში გამოცდილი მწვრთნელების – [illegible] კაზიევისა და გიორგი ქუთათელაძის ხელმძღვანელობით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

**- ეროვნულ ნაკრებზე რას იტყვით?**

- შარშან მწყობრში ჩადგა "ოლიმპიკის" შესანიშნავი საცურაო აუზი, სადაც თითქმის ოცწლიანი უქმობის შემდეგ აღვადგინეთ თბილისის საერთაშორისო ტურნირი. ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა უკრაინელებს, ბელარუსებს, ბრიტანელებს სძლია და პირველი ადგილი დაიკავა. ინგლისელებს 30 ოქტომბერსაც ვუმასპინძლეთ, ამჯერად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სტარტზე კვლავ მოვუგეთ და პლეიოფში გასასვლელად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით. ჯგუფში ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს – საბერძნეთი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია. წლეულს 30 მარტს სწორედ ელადელებს დავუპირისპირდებით თბილისში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. 11 მაისს მათთან განმეორებითი შეხვედრა გვექნება, 2 ივლისს მანჩესტერში ბრიტანელებთან პაექრობით დავამთავრებთ შესარჩევ ტურნირს. ვიმედოვნებ, რომ ამ დროისთვის ნებისმიერ გუნდს, მათ შორის საბერძნეთსაც, ღირსეულ მეტოქეობას გავუწევთ.

**- თქვენ ერთხელ აღმოსავლეთის ლიგის შექმნაზე ილაპარაკეთ...**

- დიახ, ასეა. დეკემბრის მიწურულს მინსკში შევხვდი უკრაინის, ბელარუსისა და მოლდოვის წყალბურთის მესვეურებს. საბოლოოდ გადავწყვიტეთ აღმოსავლეთის ლიგის ჩამოყალიბება. შესაძლოა, აზიის 2010 წლის ჩემპიონი ყაზახეთისა და პოლონეთის ეროვნული გუნდებიც შემოგვიერთდნენ. პირველი ტური თბილისში გაიმართება. მომდევნო ტურები, შესაბამისად, მინსკში, კიევსა და კიშინიოვშია დაგეგმილი. 2 მარტიდან "ოლიმპიკის" აუზში ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირი გაიმართება – 1995-1996 წლებში დაბადებული წყალბურთელები იასპარეზებენ. საქართველოს, ბელარუსსა და უკრაინას, სავარაუდოდ, დიდი ბრიტანეთი, ლიტვა ან ეგვიპტე დაემატება. 22-27 ივნისს ლენ-ის კალენდრით გათვალისწინებულ დიდ საერთაშორისო ტურნირს ვუმასპინძლებთ.

**- დღევანდელი გადასახედიდან ოლიმპიური პერსპექტივა თუ ჩანს?**

- შეუძლებელი არაფერია, თუმცა ამ ეტაპზე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში გასვლაზე უფრო ვფიქრობთ, რომელიც ლონდონის საგზურისკენ გზას გაგვიიოლებს. გვრჩება კიდევ ერთი შანსი – 2012 წელს კანადაში სალიცენზიო ტურნირი გაიმართება, სადაც ორი საუკეთესო ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლებას მიიღებს. იმ დროისთვის უკვე საკმაოდ გამოცდილი გუნდი გვეყოლება. მით უმეტეს წლეულს შემოდგომიდან მსოფლიო ლიგაზეც თუ დაგვიშვეს. მაშინ ოცნების ასასრულებლად მეტი საფუძველი გვექნება.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭადრაკი



მარცხნიდან: ნინო ხირციძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია

# სტარტიდანვე დაძაბულად

გუშინ სასტუმრო „ანაკლიაში" დაიწყო საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 68-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც მედლებისთვის 13 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი იბრძოლებს. ტურნირის მთავარი მსაჯია ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, საჭადრაკო ოლიმპიადების ცხრაგზის გამარჯვებული, საერთაშორისო არბიტრი **ნანა ალექსანდრია.** ასპარეზობის საპრიზო ფონდია 13 500 ლარი. პირველ-მესამე ადგილებზე გასულთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს.

სასტუმრო „ანაკლიაში" ქალთა 68-ე პირველობის საზეიმო გახსნას დაესწრო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი** მოადგილე **დავით ნამგალაურთან** ერთად. იგი მიესალმა შეჯიბრების მონაწილეებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ანაკლიაში ჩემპიონატის გამართვა ხელს შეუწყობს აქაური საკურორტო ზონის პოპულარიზაციას.

პირველი ტური დაძაბულად წარიმართა. ექვსიდან ხუთი შეხვედრა შედეგიანი აღმოჩნდა. თანაც ოთხ პარტიაში შავებმა იმარჯვეს. საქართველოს 2010 წლის ჩემპიონმა ბათუმელმა **სალომე მელიამ** (2449) შავებით თანაქალაქელ **ნინო ბაციაშვილს** (2396) სძლია. ასევე ზღვისპირელმა მირანდა მიქაძემ (2362) ამჟამად მოსკოვში მცხოვრები და რუსეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გამარჯვებული **ნაზი პაიკიძე** (2455) დაამარცხა. შარშანდელი ეროვნული ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა თბილისელმა **ნინო ხურციძემ** (2436) 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულ **სოფიკო ხუხაშვილს** (თბილისი, 2437) აჯობა. დიდოსტატმა **მაკა ფურცელაძემ** (გურჯაანი, 2323) საერთაშორისო ოსტატ **სოფიო ნიკოლაძეს** (თბილისი, 2254) სძლია. „თეთრებს" ნამუსი დედაქალაქელმა **მარიამ დანელიამ** (2248) მოსწმინდა — ქუთაისელი თანატოლი **მერი არაბიძე** (2315) დაჯაბნა. თელაველი დიდოსტატების **ლელა ჯავახიშვილისა** (2438) და **ბელა ხოტენაშვილის** (2440) დუელი მშვიდობიანად დამთავრდა. საქართველოს ჩემპიონატის შარშანდელი მესამე პრიზიორი **მაია ლომინეიშვილი** პირველ ტურში თავისუფალი იყო.

დღეს მე-2 ტურში ითამაშებენ: ხოტენაშვილი-ნიკოლაძე, არაბიძე-ჯავახიშვილი, მელია-დანელია, მიქაძე-ბაციაშვილი, ხურციძე-პაიკიძე, ლომინეიშვილი-ხუხაშვილი, ფურცელაძე ისვენებს.

**ვაჟა დანელია**

ისტორიული ფოტო კომენტარით



**ფოტო, რომელსაც დღეს გთავაზობთ, 1967 წელსაა გადაღებული მოსკოვში, ხალხთა IV სპარტაკიადაზე. ეს ასპარეზობა ტრადიციულად ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი წლით ადრე იმართებოდა. იმ წლის ამ კომპლექსურ ასპარეზობაზე საქართველოს ჩოგბურთელებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს.**

მარცხნიდან: I რიგში — თ. კაკულია, ა. მეტრეველი, ვ. პერეგუდოვი, ვ. აბაშკინი, გ. ახალაძე; II რიგში — მ. კლდიაშვილი (მწვრთნელი), ლ. მგალობლიშვილი, ო. ბიჩინაშვილი, კ. კლდიაშვილი (სახელმწიფო მწვრთნელი, იყო მაშინ სპორტის სახეობების მიხედვით კურატორთა ასეთი თანამდებობა საქართველოს სპორტკომიტეტში), ა. ივანოვა, რ. აბჟანდაძე, ა. ხანგულიანი (მწვრთნელი).

ტექსტი და ფოტო მოგვაწოდა
**გარუნ აკოპოვმა**

ძიუდოს სამყარო და ჩვენ

# ოლიმპიური ჩემპიონები წავიდნენ

ზედ საახალწლო ეიფორიის დღეებში დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ ერთბაშად ორმა უცნობილესმა იაპონელმა ძიუდოისტმა განაცხადა - ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორმა, 32 წლის **მასატო უჩიშიბამ** (66) და ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა, 29 წლის **მაკი ცუკადამ** (+78).

მასატო უჩიშიბამ თავის გამორჩეულ წარმატებას ათენისა და პეკინის ოლიმპიადებზე მიაღწია, სადაც ოქროს მედალი არავის დაუთმო, შუალედში კი კიდევ ერთი, დღემდე დაუპყრობელი მწვერვალის დალაშქვრაც შეეძლო - 2005 წელს კაიროში მსოფლიოს პირველობის ფინალში გავიდა, თუმცა გადამწყვეტი შეხვედრა ბრაზილიელ **ჟოაო დერლი ჟუნიორისთან** დათმო და მსოფლიოს ჩემპიონობაზე ოცნება თან გაიყოლა სპორტიდან. ასევე აუხდენელ ოცნებად დარჩა ჟუნიორისთან რევანშიც - კაიროში მასთან მეორედ წააგო, მას შემდეგ კი არსად შეხვედრიან ერთმანეთს. თუმცა იაპონელმა ბრაზილიელთა ჯავრი მსოფლიოს მოქმედ ვიცე-ჩემპიონ **ლეანდრო კუნაზე** იყარა - სამჯერ შეხვდა მას და ყველა მოუგო. უჩიშიბას შეუძლია, ჟუნიორის ნიშნი იმით მოუგოს, რომ მან ორჯერ მოიპოვა ის, რაც ბრაზილიელს დღემდე აუხდენელ ოცნებად რჩება - - ოლიმპიური მედალი. კაიროში მიღწეული წარმატება ჟუნიორიმ ორ წელიწადში მშობლიურ რიო დე ჟანეიროში გაიმეორა და პეკინში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის რანგში ჩავიდა, მაგრამ წინასწარ შეხვედრებში პორტუგალიელ **პედრო დიასთან** დამარცხდა. უჩიშიბა 2005 წლის შემდეგ ისე ახლოს არც ყოფილა მსოფლიოს პირველობის მოგებასთან, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ის არც აზიის ჩემპიონი გამხდარა არასოდეს. თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ იქაურ პირველობასა თუ აზიის თამაშებს დიდად არც სწყალობდა - აზიის ჩემპიონატში მხოლოდ ერთხელ იჭიდავა, 2004 წელს და მეხუთეზე გავიდა, აზიურ თამაშებში კი ასევე ერთხელ სცადა ბედი - 2002-ში და ბრინჯაოც მოიპოვა. სამაგიეროდ, მან ორჯერ მოიგო იაპონიის პირველობა, რაც იქაური კონკურენციის პირობებში არც ისე იოლია.

უჩიშიბამ დიდ ტურნირზე ბოლოს 2009 წელს იჭიდავა. მაშინ მშობლიურ ტოკიოში ძიგორო კანოს სახელობის მემორიალზე გამოვიდა, თუმცა იმჯერადაც უმედლოდ დარჩა - რუმინელ **დან ფასიესა** და ბრაზილიელ ლეანდრო კუნასთან გამარჯვებების შემდეგ, კორეელ მსოფლიოს პრიზიორ **ან იონგ-ჰვანგთან** დამარცხდა და მეხუთე ადგილი ერგო. ის ერთხელ ჩამოვიდა თბილისის მსოფლიოს თასზე - 2008 წელს და გამორჩეულადაც



მასატო უჩიშიბა



მაკი ცუკადა

დაგვამახსოვრა თავი. მოგეხსენებათ, ჩვენი ტურნირი სეზონის დასაწყისში იმართება, ხოლო შარშანდლამდე, ვიდრე მსოფლიოს მასტერსს შემოიღებდნენ, სულაც პირველი შეჯიბრება იყო. სხვების დარად, მაშინ იაპონელთა ნაკრებიც იწყებდა პეკინის ოლიმპიადისთვის მზადებას. მათ შორის - უჩიშიბაც, რომელიც თბილისში ფავორიტად კი გვესტუმრა, მაგრამ მეორე წრეში გერმანელ **ადრიან კულიჩთან** წააგო და გავარდა, ტურნირის დასრულებისას მან ქართველ ჟურნალისტებს ლამის ტირილით გვითხრა, ალბათ, ამ მარცხით ჩემი ოლიმპიური ოცნებაც დამთავრდაო. მაშინ იმ შეხვედრას კულუარული ჭორებიც მოჰყვა - მავანნი მის წაგებას მსაჯთა დამსახურებად მიიჩნევდნენ, ამაში კი... ქართველთა ინტერესებს ხედავდნენ. მოგეხსენებათ, ის თასი სალიცენზიო ქულებს იძლეოდა და ჭორების ამგორებლები ამბობდნენ, მსაჯებმა ადგილობრივ ფალავნებს მთავარი კონკურენტი ადრევე ჩამოაშორესო. მაშინ საკამათო ის გახდა, გერმანელმა გდება ტატამის გარეთ დაიწყო თუ - შიგნით, მაგრამ ვფიქრობთ, შეთქმულების თეორიებზე ყურადღების გამახვილება არც ღირს, ვინაიდან მაშინ უჩიშიბა იმდენად სუსტად ჭიდაობდა, მართლაც არ ჰგავდა ოლიმპიურ ჩემპიონს. მისი გამოსვლის ფონზე ძნელი წარმოსადგენი იყო ათენური წარმატების გამეორება, მაგრამ იაპონელთა შრომისმოყვარეობა ხომ საარაკო ამბავია და ზუსტად ერთ კვირაში უჩიშიბას გარდასახვა ვიხილეთ - პარიზის „დიდ მუზარადზე" ფინალში გავიდა. მართალია, იქ კიდევ ერთ კორეელთან, **ჯოო-ჯინ კიმთან** წააგო და ვერცხლს დასჯერდა, მაგრამ ამით კვლავაც დარჩა ოლიმპიადაზე წასვლის კანდიდატთა სიაში. ისიც მოგეხსენებათ, თბილისისა და პარიზული თასები ერთმანეთის მიყოლებით რომ ტარდება და იაპონელები ხშირად ისე აკეთებენ, ჩვენთან ერთი შემადგენლობა ჩამოჰყავთ, საფრანგეთში კი მეორეს აგზავნიან, მაგრამ მაშინ თავიდანვე განაცხადეს, ორივე ტურნირში ერთი გუნდი იჭიდავებსო. არავინ იცის, იმჯერადაც სხვადასხვა შემადგენლობა რომ გამოეცადათ, ანუ თბილისში ნაჭიდავები ხალხი ტოკიოში დაებრუნებინათ, პარიზში კი სხვები გაეშვათ, როგორ წარიმართებოდა უჩიშიბას კარიერა და მოხვდებოდა თუ არა პეკინის ოლიმპიადაზე... ალბათ, მაინც მოიპოვებდა იქ წასვლის უფლებას, რადგან პარიზული ვერცხლიდან რამდენიმე თვეში იაპონიის პირველობაც მოიგო. კონკურენციის ბედიც ამან გადაწყვიტა. საინტერესოა, რომ იქ ფინალში ვინმე **ტაკაში ტერაი** დაამარცხა და არა მთავარი კონკურენტი **ჰიროიუკი აკიმოტო**, რომელმაც მერე 73-ში გადაინაცვლა და შარშან ამ წონაში მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, ხოლო 66-ში იაპონელთა ასევე ამჟამინდელი მსოფლიოს ჩემპიონი **ჯუნპეი მორიშიტა** მაშინ ახალგაზრდულ ტურნირებში გამოდიოდა და უფროსებში არ ენდობოდნენ.

უჩიშიბაზე საუბარს ქართველებთან მისი ურთიერთშეხვედრებით დავასრულებთ. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ის მხოლოდ ორჯერ შეხვედრია ჩვენებურებს და ისიც არა 66-ის ფალავნებს, არამედ **ნესტორ ხერგიანს**, რომელიც საერთაშორისო შეჯიბრებებზე წონას არ იკლებდა და ხშირად ჭიდაობდა ამ წონაში. მათი ორივე შეხვედრა შორეულ წლებში შედგა - პირველი 2002 წელს გაიმართა, როცა უჩიშიბამ ქართველს პარიზში ბრინჯაოსთვის გამართული შეხვედრა მოუგო, ხერგიანმა კი ერთ წელიწადში ჰამბურგის „დიდ პრიზზე" აიღო რევანში.

მსოფლიოს ძიუდომ არანაკლებ კოლორიტული ფიგურა დაკარგა მაკი ცუკადას სახით. ის ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონია, ამასთან, 9-ჯერ მოიგო იაპონიის პირველობა, ოლიმპიადებსა და აზიის პირველობებზე თითო ვერცხლიც მოუპოვებია, რასაც მსოფლიოს ორი ვერცხლი და სამი ბრინჯაოც ემატება, მაგრამ პირველხარისხოვან ტურნირებზე იმდენი ფინალი წააგო, ისტორიას მაინც უიღბლო მოჭიდავედ შემორჩება. რატომღაც მას ძალიან უჭირდა ჩინელებთან ჭიდაობა - ორის გარდა, მათთან ყველა შეხვედრა წააგო. მისთვის ნამდვილ ბედისწერად იქცა ჩინელთა ლეგენდარული ქალი, ოლიმპიური და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **ვენ ტონგი**, რომელიც ახლა დოპინგის მოხმარებისთვის დისკვალიფიცირებულია. მართალია, ტონგმა ბევრი უმტკიცა საერთაშორისო ანტიდოპინგური სააგენტოს ოფიცრებს, აკრძალული წამალი არ მიმიღია, ალბათ, მაგ ნივთიერებას გოჭის ხორცი შეიცავდა, რომელიც იმ ავადსახსენებელ ტურნირამდე მივირთვიო, მაგრამ არავინ დაუჯერა და ახლა ორწლიან სასჯელს იხდის. მან კარიერაში ოთხჯერ დაამარცხა ცუკადა. აქედან სამჯერ - მსოფლიოს პირველობაზე (ამათგან ერთი ფინალი იყო რიო დე ჟანეიროში), ერთხელ კი ოლიმპიადის ფინალში - პეკინში. შარშან ტონგის დისკვალიფიკაციამ ცუკადას თითქოს შანსი მისცა, მაგრამ ტოკიოში, მსოფლიოს პირველობის ნახევარფინალში სხვა ჩინელთან, მომავალ ვიცე-ჩემპიონ **ქიან ქინთან** დამარცხდა. ჩინელებთან მას არც საკუთარი კედლები შველოდა - 2003-ში ოსაკაში ასევე მსოფლიოს ფინალი **ფუმინგ სუნთანაც** წააგო. ჩინელებიდან მას უარყოფითი ბალანსი მხოლოდ ორთან არ აქვს, თუმცა ვერც დადებითით დაიკვეხნის - **ჰუეიინგ ჯიას** და **ჰუანიუან ლიუს** თითო შეხვედრა მოუგო და თითოც დაუთმო. ლიუს თავის ბოლო ტურნირზე აჯობა - შარშან ტოკიოში, ბრინჯაოსთვის გამართულ შეხვედრაში დაამარცხა, რითაც ნახევარფინალში ქინთან წაგებისთვის რევანში აიღო და ხასიათი ნაწილობრივ გამოიკეთა. ის მედალი ცუკადას ბოლო ჯილდო აღმოჩნდა, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ოქროებს კი დიდხანს ელოდა - ოლიმპიური ჩემპიონი ათენში გახდა, როცა ფინალში კუბელი **დაიმა ბელტრანი** დაჯაბნა, მსოფლიოს ჩემპიონობა კი 2007-ში რიო დე ჟანეიროში იზეიმა, ოღონდ - აბსოლუტურში. როგორც ზევით გითხარით, იქ მძიმეში ფინალი ისევ მისთვის ავადსახსენებელ ტონგთან დათმო, აბსოლუტურის ფინალში კი სლოვენიელი **ლუსია პოლავდერი** დაამარცხა, რომელიც მძიმეწონოსანთა კვალობაზე მეტად ტანდაბალია და ამით უმოწყალოდ იჩაგრება (თუნდაც თბილისში 2009-ში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატიდან მისი და პოლონელ **ურსულა სადკოვსკას** შეხვედრა გავიხსენოთ, როცა პოლონელ მთა-ქალს ილეთის გაკეთება არც უცდია და უშნო ბლარძუნით მშვენივრად გამოიყენა ფიზიკური უპირატესობა).

ცუკადა ჯერ არც ისე ხანდაზმულია, მაგრამ, ეტყობა, სპორტიდან წასვლის გადაწყვეტილება ნაკრებში გაზრდილმა კონკურენციამ გადააწყვეტინა. შარშან მან ეროვნული პირველობის ფინალი **მიკა სუგიმოტოსთან** წააგო, რომელმაც მერე მსოფლიოს პირველობაზე ნამდვილი ტრიუმფი მოიწყო - მძიმე წონაც მოიგო და აბსოლუტურიც. ეტყობა, ცუკადამ მასთან გაჯიბრება სამომავლოდაც უშედეგო საქმედ მიიჩნია და წასვლაც ამიტომ გადაწყვიტა. მისთვის მთავარი სამიზნე ლონდონის ოლიმპიადა იქნებოდა, მაგრამ სუგიმოტოს ფონზე იქ მოხვედრა მართლაც უტოპია ჩანს. მას გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა ისევ შეეძლო, მაგრამ თავისი საქმისა თავად იცის...

**ირაკლი თავაძე**

ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# სამი ლიდერი და ზიბზიბაძის მესამე ლელო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში, საშობაო არდადეგების შემდეგ, მე-12 ტურის შეხვედრები გაიმართა. დღესდღეობით ოთხი ჯგუფიდან სამში ქართველ მორაგბეთა გუნდები ლიდერობენ.


თედო ზიბზიბაძე

A ჯგუფში სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა **შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიას, სანდრო ესაკიასა** და **არჩილ კობაურის** „მასი". პარიზელებმა შინ დაამარცხეს **ირაკლი მაჩხანელის, ბესო უდესიანისა** და **შოთა მელიქიძის** „მაკონი" - 39:17. მასპინძელთა გუნდში ქართველთაგან მხოლოდ აშვეთიამ ითამაშა, „მაკონის" ღირსებას კი მაჩხანელი და მელიქიძე იცავდნენ.

ამ გამარჯვების შემდეგ „მასიმ" 45 ქულა დააგროვა და უახლოეს მდევარს, **დევი დათუნაშვილისა** და **ელიზბარ ყუფარაძის** „მონლუსონს" ოთხი ქულით უსწრებს. მონლუსონელებმა მე-12 ტურში შინ მოუგეს „ნევერს" - 23:6.

**ავთანდილ კოპალიანის** „ორლეანმა" სტუმარი „ანესი" -19:3 დაამარცხა და ახლა 33 ქულით მე-5 ადგილზეა.

**თემურ გელანტიას** „სტრასბურისა" და **დიმა ხოჭოლავას** „სერჟ პონტუაზის" მატჩი დიდთოვლობის გამო გადაიდო.

### A ჯგუფი

**სურესნე-ბურგ ან ბრესი 15:42, მონლუსონი-ნევერი 23:6, დიჟონი-ბობინი 12:13, მასი-მაკონი 39:17, ორლეანი-ანესი 19:3, სტრასბური-სერჟ პონტუაზი (გადაიდო)**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. მასი - 45 ქულა, 2. მონლუსონი - 41, 3. ბობინი - 40, 4. დიჟონი - 35, 5. ორლეანი - 33, 6. ბურგ ან ბრესი - 29, 7. ნევერი - 26, 8. მაკონი - 22, 9. ანესი - 13, 10. სტრასბური - 10, 11. სერჟ პონტუაზი - 8, 12. სურესნე - 2.**

B ჯგუფში სატურნირო ცხრილის პირველი სამი საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებს, „ბეზიეს", „მონტობანსა" და „ნიცას" უკავიათ. **ლაშა მალაღურაძისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიემ" შინ მოუგო „შატორენარს" 31:12. ორივე ქართველმა ითამაშა.

ლანგედოკელებს ამ მოგების შემდეგ 40 ქულა დაუგროვდათ და მეორეადგილოსან **გიორგი ნემსაძის** „მონტობანს" ექვსი ქულით უსწრებენ. „მწვანეებმა" მე-12 ტურში სტუმრად წააგეს „ბლანიაკთან" - 14:17. ნემსაძეს არ უთამაშია.

**დავით კაჭარავას** „ნიცამ", რომელიც 31 ქულით მესამე ადგილზეა, სტუმრად წააგო **ნიკოლოზ გიორგაძის** „გროლესთან" - 6:15. კაჭარავამ სრულად ითამაშა, გიორგაძე განაცხადში არ იყო.

**დიმიტრი ბასილაიასა** და **ნიკოლოზ მალალდაძის** „ობენა" შინ ფრეს დასჯერდა „ვალანსთან" - 12:12. ჩვენებურთა გუნდი 26 ქულით მე-7 ადგილზეა.

**გია ლაბაძისა** და **რეზო ბელქანიას** „ლა სეინის" შეხვედრა „რომანთან" გადაიდო. არ უთამაშია სტუმრად „გრასთან" **ირაკლი გიორგაძის** „ლავორსაც".

### B ჯგუფი

**ბეზიე-შატორენარი 31:12, ლა სეინი-რომანი (გადაიდო), გროლე-ნიცა 15:6, ბლანიაკი-მონტობანი 17:14, გრასი-ლავორი (გადაიდო), ობენა-ვალანსი 12:12.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბეზიე - 40 ქულა, 2. მონტობანი - 34, 3. ნიცა - 31, 4. ბლანიაკი - 30, 5. ლავორი - 29, 6. რომანი - 27, 7. ობენა - 26, 8. ვალანსი - 26, 9. შატორენარი - 25, 10. ლა სეინი - 22, 11. გროლე - 20, 12. გრასი - 9.**

პირველივე ტურიდან მოყოლებული, C ჯგუფში სატურნირო ცხრილს სათავეში **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, დავით დადუნაშვილისა** და **ირაკლი ნინიძის** „პერიგო" უდგას. პერიგოელებმა მხოლოდ ერთი თამაში წააგეს და თერთმეტი მოიგეს.

„პერიგომ" მე-12 ტურში სტუმრად ითამაშა **გიორგი ნაცარაშვილის** „სენ ჟუნიენთან" და 23:6 მოიგო. ზიბზიბაძემ, რომელმაც სრულად ითამაშა, 63-ე წუთზე ლელო გაიტანა. მან მეტოქის გადაცემა ჩაჭრა და ლელომდე 50 მეტრი ირბინა.

მარგველაშვილმა სრულად ითამაშა, დადუნაშვილი 72-ე წუთზე შეცვალეს.

**ვახტანგ მაისურაძის** „სენ ნაზერმა" შინ მოუგო **ირაკლი გუნდიშვილისა** და **შოთა საყვარელიძის** „ნიორს" - 34:19. მაისურაძემ სრულად ითამაშა. სენნაზერელებს ახლა 27 ქულა აქვთ და მე-6 ადგილზე არიან.


ვახტანგ მაისურაძე

### C ჯგუფი

**რიბერაკი-ლიმოჟი 8:41, ტური-ვანი 0:54, პაი დუ მედოკი-ლანჟონი 3:20, სენ ჟუნიენი-პერიგო 6:23, სენ ნაზერი-ნიორი 34:19, მარმანდი-სენ მედარი 38:21.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. პერიგო - 52 ქულა, 2. ლიმოჟი - 47, 3. ვანი - 43, 4. ლანჟონი - 38, 5. მარმანდი - 36, 6. სენ ნაზერი - 27, 7. სენ მედარი - 26, 8. სენ ჟუნიენი - 24, 9. რიბერაკი - 19, 10. პაი დუ მედოკი - 14, 11. ნიორი - 8, 12. ტური - 8.**

D ჯგუფი ერთადერთია, სადაც ქართველ მორაგბეთა გუნდები არ ლიდერობენ, თუმცა **დავით ბოლღაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილი" სატურნირო ცხრილში ნელ-ნელა მაღლა მიიწევს და ახლა 43 ქულით მესამე ადგილზეა. „ლილმა" მე-12 ტურში შინ მოუგო „მოლეონს" 40:3.

**საბა ქართველიშვილის** „ლანამეზანმა", რომელიც 38 ქულით მე-5 ადგილზეა, სტუმრად მოუგო **კარლენ ასეიშვილის** „ორტეზს" - 24:18. „ორტეზი" 19 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

**მერაბ კვირიკაშვილის, ბექა ურჯუკაშვილის, ლევან დათუნაშვილის, რეზო გიგაურისა** და **დავით ბალანჩივაძის** „ფიჟაკმა" სტუმრად დიდი ანგარიშით წააგო ჯგუფის ლიდერ „ტიროსთან" - 0:53. ფიჟაკელებს 25 ქულა აქვთ და მე-10 ადგილზე არიან.

### D ჯგუფი

ლურდი-მორლაა 23:16, ლილი-მოლეონი 40:3, კასტანე-ტურნეფოი 17:3, კაორი-სენ ჟან დე ლუზი 19:26, ორტეზი-ლანამეზანი 18:24, ტიროსი-ფიჟაკი 53:0.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტიროსი - 58 ქულა, 2. კასტანე - 43, 3. ლილი - 43, 4. სენ ჟან დე ლუზი - 39, 5. ლანამეზანი - 38, 6. მოლეონი - 33, 7. ოლორონი - 31, 8. ლურდი - 26, 9. მორლაა - 25, 10. ფიჟაკი - 25, 11. ტურნეფოი - 23, 12. ორტეზი - 19, 13. კაორი - 19.

11 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში


ჯეკი კაილი

## 1903 წელი

უელსის ნაკრებმა სუონსიში ინგლისის ეროვნულ გუნდს 21:5 მოუგო. უელსელთა შერკინების ბურჯმა **ჯეიდ ჰოჯსმა**, რომელიც იძულებული იყო, თავისთვის უჩვეულო გარემარბის პოზიციაზე ეთამაშა, მეტოქეს სამი ლელო გაუტანა.

## 1926 წელი

ამ დღეს დაიბადა ირლანდიის ნაკრების ლეგენდარული ცხრა ნომერი **ჯეკი კაილი**. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე, ვისაც ოდესმე „სამყურების" კვართი მოურგია. კაილი 1948 წელს დიდი სლემის გათამაშებაში მგეზავ **კარლ მალენთან** ერთად ირლანდიის ნაკრების წარმატების სულისჩამდგმელი იყო. მან 1950 წელს, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, „ბრიტანელი ლომების" შემადგენლობაში ექვსი შეხვედრა გამართა. რაგბიდან წასვლის შემდეგ კაილი 35 წლის განმავლობაში ზიმბაბვეში ქირურგად მუშაობდა. მერე ისევ ირლანდიაში დაბრუნდა. 1999 წელს ის რაგბის დიდების დარბაზში შეიყვანეს. 2008 წელს კი, IRB-ის დიდების დარბაზის წევრი გახდა.

## 1959 წელი

საფრანგეთის ნაკრებმა ხუთი ერის გათამაშება შოტლანდიის ნაკრებთან გამარჯვებით დაიწყო - 9:0. მატჩი პარიზში, საკმაოდ ცუდ ამინდში გაიმართა. ფრანგებმა იმ წელიწადს ყველა შეხვედრა მოიგეს და დიდი სლემი შეასრულეს.

შოტლანდიელებს თითო ლელო მეორეხაზელმა **ლუსიენ მიასმა** და მესამეხაზელმა **ფრანსუა მონკლამ** გაუტანა. თამაშს „სტად ივე დუ მანუარზე" 26 ათასი მაყურებელი დაესწრო.

## 1970 წელი

**ტომ კირნანმა** სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან მატჩში, „ლენსდაუნ როუდზე", ბოლო წუთზე საჯარიმო ზუსტად შეასრულა და ირლანდიის ეროვნული გუნდი მარცხისგან იხსნა - 8:8.

## 1973 წელი

**რობინ ვილიამსის** ბრწყინვალე თამაშმა იმედი ჩაუსახა „ნიუპორტის" ქომაგებს, რომ მათი საყვარელი გუნდი 1963 წლის ტრიუმფს გაიმეორებდა. ვილიამსმა სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ორი საჯარიმო, ერთი არეკნი და ერთი გარდასახვა გაუტანა, თუმცა ეს გმირობისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. „ბოკემ" ის თამაში 20:15 მოიგო.

## 1983 წელი

უელსურმა რაგბიმ უდიდესი დანაკლისი განიცადა. ამსტერდამში 53 წლისა გარდაიცვალა უელსის ნაკრებისა და „ჰალნეჰლის" მთავარი მწვრთნელი **კერვინ ჯეიმზი**. ის მთელი არსებით რაგბის ეკუთვნოდა. მისმა სულიერმა კავშირმა ამ თამაშთან, რაგბის მისებურმა ფილოსოფიამ შედეგად მოიტანა „ბრიტანელი ლომების" ერთადერთი დაუმარცხებელი სერია ახალ ზელანდიაში.

## 2006 წელი

ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანმა **ტანა უმაგამ** ეროვნული გუნდში თამაშის დასრულება გადაწყვიტა. მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო შუამარბმა „ოლ ბლექსში" 74 კეპი მოიხვეჭა. მისი მეთაურობით ახალი ზელანდიის ნაკრებმა 2005 წელს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა „ბრიტანელ ლომებთან" მატჩში. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ გუნდში უმაგამ პირველ 24 შეხვედრაში გარემარბად ითამაშა, თუმცა ის, მოგვიანებით, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო შუამარბი გახდა.

უმაგა ახალი ზელანდიიდან საფრანგეთში გადაბარგდა, სადაც **გია ლაბაძისა** და **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონის" მოთამაშე-მწვრთნელი იყო. ის შარშან ისევ სამშობლოში დაბრუნდა და „მანუკაუში" თამაშობს.

ამბავი


დაისუკე ოჰატა

# იაპონელი ლეგენდა წავიდა

იაპონიის ნაკრების გარემარბი **დაისუკე ოჰატა** რაგბის გამოეთხოვა. 35 წლის ოჰატა მსოფლიო რეკორდსმენია - 58 ტესტმატჩში, 1996-2006 წლებში, 69 ლელო გაიტანა, რაც ხუთი ლელოთი აღემატება ლეგენდარული ავსტრალიელის **დევიდ კემფიზის** მაჩვენებელს.

ოჰატამ იაპონიის ლიგის ფინალში „კობი კობელკო სტილერსსა" და „ტოიოტა შოკი შატლზს" შორის მატჩში მუხლი დაიშავა. ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, გადაწყვიტა, ბუცები ლურსმანზე დაკიდოს.

*„გული მწყდება, რომ ასე ცუდად დავამთავრე, მაგრამ, ვფიქრობ, ძალიან კარგი კარიერა მქონდა და მსოფლიო რაგბიში ჩემი კვალი დავტოვე"* - თქვა მან.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

# უცხოური სპორტი

## ამბები

**კალათბურთი**

### დიდი ტრეიდის მოლოდინში

„ნიუჯერსი“, „დენვერი“ და „დეტროიტი“ მასშტაბურ ტრეიდს ამზადებენ, რომელშიც დაახლოებით 15 კალათბურთელი იქნება ჩართული, - წერს ტელეკომპანია ESPN-ის ვებგვერდი. როგორც ვარაუდობენ, გაცვლა მიმდინარე კვირას განხორციელდება.

მომავალი ტრეიდის მთავარი პერსონა „დენვერ ნაგეტსის“ ფორვარდი **კარმელო ენტონი** იქნება. მასთან ერთად „ნიუ ჯერსიში“ გადავლენ **ჩონსი ბილაპსი** და **რიჩარდ ჰემილტონი**. თავის მხრივ, „დენვერი“ **დევინ ჰარისს, დერიკ ფეივორსსა** და დრაფტის პირველი რაუნდის მინიმუმ ორ არჩევანს მიიღებს. გარდა ამისა, „დეტროიტს“ **ტროი მერფი** და **იოჰან პეტრო** ერგება.

### ვარეჟაომ სეზონი დაამთავრა

პრობლემები არ ელევა რეგულარული ჩემპიონატის აუტსაიდერ „კლივლენდ კავალიერზს“. **დანიელ გიბსონის** შემდეგ ტრავმა მიიღო ამ გუნდის ცენტრმა **ანდერსონ ვარეჟაომ**, თანაც ფეხის დაზიანება იმდენად სერიოზულია, რომ ბრაზილიელი კალათბურთელი ამ სეზონში ველარ შეძლებს მოედანზე გასვლას.

ვარეჟაომ ტრავმა ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე მიიღო, როცა გუნდი გასვლითი მატჩების სერიისთვის ემზადებოდა. სამედიცინო შემოწმებამ მყესების განყვეტა დააფიქსირა.

*„ძალიან ცუდი ამბავია გუნდისთვის. ვარეჟაო მარტივ მოთელვას ასრულებდა, მაგრამ მაინც ვერ გადაურჩა ტრავმას. შეიძლება ითქვას, რომ წელს ის ჩვენი საუკეთესო მოთამაშე იყო“*, - განაცხადა „კლივლენდის“ მთავარმა მწვრთნელმა **ბაირონ სკოტმა**.

### ვაშინგტონი ახალ მწვრთნელს მოძებნის

„ვაშინგტონ უიზარდსის“ ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, უახლოეს დღეებში პოსტიდან გაათავისუფლოს მთავარი მწვრთნელი **ფლიპ სონდერსი**. კლუბის ბოსები, რომლებმაც სეზონის წინ გუნდს ამოცანად პლეი ოფში მოხვედრა დაუსახეს, უკმაყოფილონი არიან მიმდინარე შედეგებით. დედაქალაქური კლუბი აღმოსავლეთი კონფერენციის ბოლოსწინა ადგილზე იმყოფება. აღსანიშნავია, რომ გასვლაზე „უიზარდსმა“ 18-დან 18 შეხვედრა წააგო.

### ევანსი საოპერაციოა

„საკრამენტო კინგზის“ ახალგაზრდა მცველმა **ტაირიკ ევანსმა** გამოტოვა „ტორონტოსთან“ ბოლო შეხვედრა. ამის მიზეზი ფეხის ტრავმა გახლავთ. როგორც ექიმები ვარაუდობენ, ევანსს ოპერაცია ესაჭიროება, რის გამოც, კალათბურთელმა, შესაძლოა, ერთი თვე გამოტოვოს.

მიმდინარე სეზონში შარშანდელი სეზონის საუკეთესო დებიუტანტი საშუალოდ 17.2 ქულასა და 5.4 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

### ლეიკერსმა ბარნსი დაკარგა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ფორვარდ **მეტ ბარნსს** მალე ოპერაციის გაკეთება მოუწევს. სააგენტო AP-ის ცნობით, მაგნიტორეზონანსულმა ტომოგრაფიამ კალათბურთელს მარჯვენა ფეხის მენისკი დაუდგინა. ბარნსმა მუხლი „ნიუ ორლეანთან“ მატჩის მეორე მეოთხედში დაიზიანა.

ოპერაცია მომავალ კვირას არის დაგეგმილი და სწორედ მაშინ გახდება ცნობილი აღდგენითი პროცესის ზუსტი ვადები. თავად ბარნსმა თავის ვებგვერდზე რვაკვირიანი პაუზა ივარაუდა.

წელს ამ კალათბურთელის საშუალო სტატისტიკა 7.5 ქულას, 4.9 მოხსნასა და 1.7 შედეგიან გადაცემას შეადგენს.

### მეომრებს იაო მოუნდათ

„გოლდენ სტეიტ უორიორზი“ „ჰიუსტონის“ ტრავმირებული ცენტრის **იაო მინის** აყვანით არის დაინტერესებული. როგორც იცით, ჩინელი კალათბურთელი მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო მიმდინარე სეზონში მოედანზე გასვლას ვერ შეძლებს.

მოსალოდნელი გარიგებით „უორიორზი“ კლუბის მიმართ ჩინელი გულშემატკივრების ინტერესის გაზრდას აპირებს. ამ მიზნით ზაფხულში „გოლდენ სტეიტმა“ მცველი **ჯერემი ლინიც** კი შეიძინა.

**კრივი**

### ტრაგედია ლონდონში

ტრაგიკულად დაიღუპა კრივში ბრიტანეთის ყოფილი ჩემპიონი **გარი მეისონი**. ლონდონის სამხრეთ რაიონში ველოსიპედით მოსეირნე მძიმეწონოსანს მანქანა შეეჯახა და მოკრივე ადგილზე გარდაიცვალა. საქმის გარემოებათა გარკვევამდე პოლიციამ მანქანის მძღოლი დააპატიმრა.

48 წლის მეისონმა პროფესიულ რინგზე 38 ბრძოლა ჩაატარა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, ისიც ლეგენდარულ თანამემამულე **ლენოქს ლუისთან**.

### კლიჩკოს მძლეველი კრივიდან წავიდა

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონმა, ამერიკელმა **ლეიმონ ბრიუსტერმა** 37 წლის ასაკში კარიერის დასრულება გადაწყვიტა. მან პროფესიულ რინგზე 41 ბრძოლის გამართვა მოასწრო, რომელთაგანაც 35 მოიგო (30 ნოკაუტით) და ექვსჯერ დამარცხდა.

ბრიუსტერმა კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვან გამარჯვებას 2004 წლის აპრილში მიაღწია - მაშინ მან IBF-სა და WBO-ის ამჟამინდელი ჩემპიონი, უკრაინელი **ვლადიმირ კლიჩკო** დაამარცხა და სუპერმძიმე წონაში WBO-ის ვაკანტურ ტიტულს დაეუფლა. ამის შემდეგ სამჯერ წარმატებით დაიცვა საჩემპიონო ქამარი, მაგრამ 2006 წელს ბელარუს **სერგეი ლიახოვიჩთან** წააგო და ტიტული დაკარგა. 15 თვის შემდეგ ბრიუსტერმა კიდევ ერთხელ დატოვა დამარცხებულმა რინგი, როცა მეორედ შეხვდა ვლადიმირ კლიჩკოს.

ბოლო ბრძოლა ამერიკელმა 2010 წლის იანვარში ჩაატარა და მერვე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით წააგო ნაკლებად ცნობილ ფინელ მოკრივე **რობერტ ჰელენიუსთან**. სწორედ ეს მარცხი გახდა რინგის მიტოვების მიზეზი.

**ტრამპლინიდან ხტომა**

### იტალია გლოვობს

იტალიელი ტრამპლინიდან მხტომელი, 17 წლის **სიმონა სენორერი** გერმანიის ქალაქ შონახში სასტუმროს ნომერში გარდაიცვალა. სპორტსმენი იქ ევროპის თასის ეტაპში იღებდა მონაწილეობას.

სასტუმროში სენორერის მეზობელმა სპორტსმენი უგონო მდგომარეობაში იპოვა. სიმონა ვერტმფრენით ერთ-ერთ უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ სამედიცინო დახმარება დაგვიანებული აღმოჩნდა.

სენორერის სიკვდილის მიზეზებზე ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან. ის ქალთა ტრამპლინიდან ხტომაში იტალიის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სპორტსმენად მიიჩნეოდა. 15 წლის ასაკში სენორერმა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და იქ მეათე ადგილი დაიკავა.

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლებრონმა და უეიდმა ერთად 78 ქულა ჩააგდეს

# დიდი ტრიო ლეიკერსის რეკორდს დაემუქრა

„ლეიკერსის“ ბოლოდროინდელი პრობლემების გათვალისწინებით, მორიგი სათამაშო დღის ყველაზე დამაინტრიგებელ დაპირისპირებად კალიფორნიელების საშინაო მატჩი ჩანდა „ნიუ იორკ ნიქსთან“. მაგრამ გუშინ, ყველაზე მეტად გულშემატკივართა მოლოდინი „პორტლენდისა“ და „მაიამის“ შეხვედრამ გაამართლა. „ბლეიზერსი“ ყველანაირად ეცადა ფლორიდელთა უნიკალური გასვლითი სერიის შეწყვეტას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. „ჰიტმა“ ზედიზედ მე-13 მატჩი მოიგო სტუმრად და „ლეიკერსის“ რეკორდის (1971-72 წლების სეზონი) გასამეორებლად მხოლოდ სამი მოგება სჭირდება, რომლის მოპოვება მიმდინარე ტურნეში შესაძლებელი - „მაიამის“ მორიგი მეტოქეები იქნებიან - „კლიპერსი“, „დენვერი“ და „ჩიკაგო“.

„პორტლენდთან“ შეხვედრა „დიდმა ტრიომ“ მოიგო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: გუნდური 107 ქულიდან 96 **ლებრონ ჯეიმსს, დუეინ უეიდსა** და **კრის ბოშს** ეკუთვნით. დანარჩენმა მოთამაშეებმა ერთად მხოლოდ 11 ქულა მოიპოვეს.

დებიუტში ისე ჩანდა, რომ მთავარი გმირი უეიდი გახდებოდა. „ფლეში“ იოლად უსწორდებოდა თავის მეურვეებს და ძირითადად ფარქვეშ შესვლებით თავისი გუნდის პირველი 19 ქულიდან 15 თავის ანგარიშზე მიითვალა. მაგრამ შემდეგ დუეინი დამშვიდდა და სცენაზე „მეფე“ გამოვიდა. ცნობისთვის, ლებრონმა სეზონში შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა.

თავად მატჩი დაძაბული გამოვიდა. მთელი შეხვედრის განმავლობაში რვა ქულაზე წინ არც ერთი გუნდი არ გასულა - მეორე მეოთხედის შუაში „მაიამი“ 38:30-ს იგებდა, შემდეგ „პორტლენდმა“ იგდო ხელთ ინიციატივა და მეოთხე პერიოდში ასეთივე სხვაობით წაიყვანა ანგარიში - 76:68. მასპინძლებმა ეს უპირატესობა თითქმის ბოლომდე შეინარჩუნეს - საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე ისინი შვიდი ქულით იყვნენ წინ და თითქოს მათ მოგებას წინ არაფერი ედგა. მაგრამ „მაიამიმ“ ტემპს მოუმატა და „ბლეიზერსის“ უპირატესობისგან აღარაფერი დარჩა.

თავიდან ურთულესი სამქულიანი ჩააგდო ლებრონმა, მას მხარი აუბეს უეიდმა და **ჯეიმს ჯონსმა**, ხოლო ანგარიში თავად „მეფემ“ საჯარიმო ტყორცნებით გაათანაბრა. თუმცა მან მაინც დაუტოვა შანსი მეტოქეს, ოღონდ **ანდრე მილერმა** ბოლო წამებზე საშუალო დისტანციიდან ორივე სროლა ააცილა. ოვერტაიმში კი ლებრონის შოუმ კულმინაციას მიაღწია. „მაიამის“ მეექვსე ნომერმა კიდევ ორი სამქულიანი ჩააგდო, ერთხელ ულამაზესი ჩატენა გვიჩვენა და საბოლოოდ დაასამარა **ნეიტ მაკმილანის** შეგირდების იმედები.

რაც შეეხება „ლეიკერსისა“ და „ნიუ იორკის“ შეხვედრას, სტუმრებს ჩემპიონის დამარცხების შანსი არ ჰქონიათ. ტრავმირებული **დანილო გალინარისა** და რეზერვისტების სათანადო მხარდაჭერის გარეშე რთულია თუნდაც მცირე კრიზისში მყოფი კალიფორნიელების დამარცხება. „ნიქსმა“, რომელიც მიმდინარე სეზონის ყველაზე შედეგიანი გუნდია, თამაშიდან 36 პროცენტის სიზუსტით ისროლა და მხოლოდ 87 ქულა დააგროვა. **მაიკ დ'ანტონის** შეგირდებმა ამ სეზონში მეორედ ვერ გადალახეს 90-ქულიანი ზღვარი. პირველად ეს ნოემბერში „მილუოკისთან“ მატჩში მოხდა.

როგორც ჩანს, „დენვერის“ ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ **კარმელო ენტონის** გარშემო შექმნილი გაურკვეველი სიტუაცია კლუბისთვის მხოლოდ ზიანი მოაქვს, ამიტომაც გაჩნდა ჭორები NBA-ის ვარსკვლავის „ნიუ ჯერსიში“ გადასვლის შესახებ. ბუნებრივია, ეს ინფორმაცია კალათბურთელმაც იცოდა და ამიტომაც მორიგ მატჩში „ნიუ ორლეანის“ წინააღმდეგ ის საკუთარ თავს არ ჰგავდა. 33 წუთის განმავლობაში მელომ მხოლოდ 8 ქულა დააგროვა და კარიერაში მეხუთედ ვერ გადალახა 10-ქულიანი ზღვარი (როცა მოედანზე მინიმუმ 30 წუთს ატარებდა), თანაც ბოლოს ასეთი რამ 2005 წელს მოხდა.

**ტორონტო-საკრამენტო 118:112**

34:31, 23:19, 28:35, 33:27

**ტ:** ბარნიანი (30+8 მოხსნა), დეროზანი (28), ბარბოზა (18+5 მოხსნა), კალდერონი (13+9 პასი), ბეილესი (10).

**ს:** უდრიხი (25+4 ჩაჭრა), ლენდრი (22+5 მოხსნა), ტომპსონი (19+11 მოხსნა), კაზინსი (18+10 მოხსნა), გარსია (13).

**კლიპერსი-გ. სტეიტი 105:91**

32:28, 30:20, 29:25, 14:18

**კ:** გორდონი (25+3 ჩაჭრა), გრიფინი (23+12 მოხსნა), დევისი (17+11 პასი), ჯორდანი (9+13 მოხსნა).

**გ-ს:** რაიტი (27), ელისი (13+5 მოხსნა+6 პასი).

**სან ანტონიო-მინესოტა 94:91**

18:21, 32:23, 24:23, 20:24

**ს-ა:** ჯინობილი (21+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჯეფერსონი (13+5 მოხსნა), ნილი (13), ბონერი (11+9 მოხსნა), პარკერი (11), ჰილი (11).

**მ:** ლავი (18+17 მოხსნა), რიდნური (16+6 მოხსნა+7 პასი), მილიჩიჩი (11+10 მოხსნა+5 დაფარება).

**ფინიქსი-კლივლენდი 108:100**

26:26, 25:26, 30:29, 27:19

**ფ:** დადლი (21+7 მოხსნა), ნეში (20+7 მოხსნა+17 პასი+3 ჩაჭრა), კარტერი (19+7 მოხსნა), ფრაი (16+12 მოხსნა+3 დაფარება), ლოპესი (15+6 მოხსნა).

**კ:** ჰარისი (27+8 მოხსნა), ჰიქსონი (23+17 მოხსნა), ჯეიმისონი (23+7 მოხსნა), უილიამსი (5+12 პასი).

**დენვერი-ნიუ ორლეანი 87:96**

22:23, 21:31, 23:24, 21:18

**დ:** ჰარინგტონი (20+7 მოხსნა), ბილაპსი (13), ნენე (12+6 მოხსნა), ენტონი (8+5 მოხსნა).

**ნ-ო:** პოლი (20+6 პასი), უესტი (19+8 მოხსნა+5 პასი), არიზა (12+7 მოხსნა), გრინი (11), ჯეკი (10), ოკაფორი (9+13 მოხსნა).

**პორტლენდი-მაიამი 100:107 (ო)**

26:27, 18:19, 23:19, 26:28, 7:14

**პ:** ოლდრიჯი (31+14 მოხსნა+7 პასი), ბატუმი (22), მეტიუზი (14+5 პასი), მაილზი (13), კემბი (2+14 მოხსნა).

**მ:** ჯეიმსი (44+13 მოხსნა+6 პასი), უეიდი (34+8 მოხსნა+5 პასი), ბოში (18+8 მოხსნა).

**ლეიკერსი-ნიუ იორკი 109:87**

25:21, 27:26, 29:23, 28:17

**ლ:** ბრაიანტი (27+10 მოხსნა+5 პასი), პ. გასოლი (20+14 მოხსნა+4 დაფარება), ბინუმი (18+7 მოხსნა), ბრაუნი (16), ოდომი (13+18 მოხსნა).

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (23+10 მოხსნა+6 დაფარება), ჩენდლერი (19+დაფარება+3 ჩაჭრა), ფელტონი (12+6 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), ფილდსი (12+8 მოხსნა).

# ევროპამ პაუ აირჩია

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ესპანელი ცენტრი **პაუ გასოლი** 2010 წელს ევროპის საუკეთესო კალათბურთელი გახდა. ტრადიციულად გამოკითხვა იტალიურმა „გაძეტა დელო სპორტმა“ ჩაატარა. ეს გამოცემა აგერ უკვე 30 წელია მწვრთნელებს, ეროვნული ნაკრებების მოთამაშეებსა და სპორტულ ჟურნალისტებს ანდობს კონტინენტის საუკეთესო მოთამაშის გამოვლენას.

ესპანელმა ცენტრმა 240 ქულა მიიღო და 122-ით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ გერმანელ **დირკ ნოვიცკის** („დალას მავერიქსი“). მესამე პოზიციაზეა კიდევ ერთი ესპანელი, „ბარსელონას“ მცველი **ხუან კარლოს ნავარო** - 75 ქულა.

მეოთხე და მეხუთე ადგილებზე გავიდნენ მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის გმირები - სერბი **მილოშ ტეოდოშიჩი** (58 ქულა) და ლიტველი **ლინას კლეიზა** (39).

ათეულში აგრეთვე მოხვდნენ: 6. **ანდრეა ბარნიანი** (იტალია), 7. **ჰიდაიეტ თურქოგლუ** (თურქეთი), 8. **ერსან ილიასოვა** (თურქეთი), 9. **ტონი პარკერი** (საფრანგეთი), 10. **ომერ კასპი** (ისრაელი).



პაუ გასოლი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ნახევარი სეზონი ციფრებში

ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალური ვებგვერდი რეგულარული ჩემპიონატის ეკვატორზე საინტერესო სტატისტიკას გვამცნობს.

0 - შარშანდელი სეზონის ეკვატორზე საკუთარი დივიზიონების ვერც ერთ ლიდერს წელს ველარ ვხედავთ ცხრილის უმაღლეს საფეხურზე. აღმოსავლეთ კონფერენციაში „პიტსბურგმა", „ტამპა ბეიმ" და „ბოსტონმა" „ნიუ ჯერსი", „ბაფალო" და „ვაშინგტონი" ჩაანაცვლეს, დასავლეთის დივიზიონებში „ჩიკაგოს", „კოლორადოსა" და „სან ხოსეს" ნაცვლად „დეტროიტი", „ვანკუვერი" და „დალასი" ლიდერობენ.

1 - მიმდინარე ჩემპიონატში მხოლოდ ერთი მატჩში დასრულდა უგოლოდ სამი პერიოდისა და ოვერტაიმის შემდეგ - „მშრალი" მატჩი ოქტომბრის დასაწყისში „ბაფალომ" და „ოტავამ" ითამაშეს. ბულიტების სერიაში ერთადერთი ზუსტი დარტყმა ბაფალოელი **ტომაშ ვანეკის** ანგარიშზე იყო.

2 - რიცხობრივ უმცირესობაში ორი ბულიტი გაიტანა „აილენდერსის" ფორვარდმა **ფრანს ნილსენმა!** ის ორჯერ გაიქცა კონტრშეტევაზე, მასზე დაჯარიმდნენ და ნიუიორკელმა ბულიტები გამოიყენა. ნილსენის „პენალტებისგან" „ფილადელფია" და „ბოსტონი" დაზარალდნენ.

3 - სამი გოლი გაიტანა ოვერტაიმში **დასტინ ბიფულინმა.** „ატლანტას" მცველი ლიდერია ამ მაჩვენებლით.

4 - ამდენი რეალიზებული ბულიტი აქვთ ნახევარ სეზონში ტომაშ ვანეკს, **ბრედ რიჩარდსა და ალექს ტანგეის.** სწორედ ისინი ლიდერობენ ამ მაჩვენებლით.

5 - ხუთ მატჩში ვიხილეთ თამაშის ბედის ფანტასტიკური შემობრუნება, როცა ერთი გუნდი სამი შაიბით აგებდა, ჩამორჩენა გააბათილა და შემდეგ მოიგო შეხვედრა. კიდევ რვა გუნდმა შეძლო სამშაიბიანი დეფიციტის აღმოფხვრა, მაგრამ ბოლოს მაინც წააგო ოვერტაიმში ან ბულიტების სერიაში.

6 - კარიერის განმავლობაში ექვსი გუნდის წინააღმდეგ შეასრულა „შატაუტი" მეკარე **დუეინ როლოსონმა.** ბოლოს ასეთი მეტოქე „ვაშინგტონი" იყო. ლიგის რეკორდი კი **შონ ბურკს** ეკუთვნის, რომელმაც შვიდ გუნდს არ გაატანინა გოლი.

7 - მატჩის დაწყებიდან შვიდი წამის შემდეგ შეძლო პიტსბურგელმა **ევგენი მალკინმა** „ტამპა ბეის" კარის აღება. რუსს ორი წამი არ ეყო NHL-ის რეკორდის გასაუმჯობესებლად.

8 - „ვაშინგტონმა" 2007 წლის ნოემბრის (როცა გუნდს სათავეში **ბრიუს ბუდრო** ჩაუდგა) შემდეგ პირველად წააგო ზედიზედ რვა მატჩი.

10 - სწორედ ამდენჯერ მიეცა „ედმონტონს" რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების შანსი „მინესოტასთან" მატჩში (21 ოქტომბერი). ეს სეზონის რეკორდია.

11 - „რეინჯერსისა" და „ტამპას" შეხვედრის (23 დეკემბერი) ბედი ბულიტების სერიის მე-11 რაუნდმა გადაწყვიტა. ეს ყველაზე გრძელი სერიაა სეზონში.

12 - ამდენი ზუსტი დარტყმა შეასრულა „ედმონტონმა" დეკემბერში „ვანკუვერის" კარში, რაც ჩემპიონატის ანტირეკორდია. ამ რეიტინგში მეორე ადგილზე ასევე „ოილერზია" - „ფლორიდას" კარში 13-ჯერ გაისროლა.

14 - ზედიზედ 14 მატჩი წააგო „აილენდერსმა". ასეთი უიღბლო სერია არც ერთ გუნდს არ ჰქონია.

15 - 18 ნოემბერს „ტამპამ" და „ფილადელფიამ" ერთ მატჩში ჯამში 15 შაიბა გაიტანეს - სეზონის ყველაზე შედეგიანი მატჩი.

25 - ზედიზედ 25 მატჩის განმავლობაში „პიტსბურგის" კაპიტანი **სიდნი კროსბი** უქულოდ არ ტოვებდა მოედანს. ეს ყველაზე გრძელი სერიაა 1992-93 წლების სეზონის შემდეგ, როცა შვედმა **მატს სუნდინმა** ზედიზედ 30 მატჩში აგროვა ქულები.

26 - ერთი პერიოდის განმავლობაში 26 დარტყმა - ასეთია მიმდინარე სეზონის რეკორდი. ასეთი შედეგი ორ გუნდს ჰქონდა: „დეტროიტს" „ლოს ანჯელესთან" მეორე პერიოდში და „ვაშინგტონს" „ბოსტონთან" მატჩის მესამე 20-წუთეულში.

28 - ორმოცი შეხვედრიდან 28 ძირითად დროში წააგო „ნიუ ჯერსიმ". მთელი შარშანდელი რეგულარულის განმავლობაში „ეშმაკები" ჯამში 27-ჯერ დამარცხდნენ.

55 - ამდენი ზუსტი დარტყმა შეასრულა „ფლორიდამ" „ატლანტასთან" მატჩში და ეს ჯერჯერობით სეზონის რეკორდია.

64 - ბულიტების სერიამ 64-ჯერ გაარკვია მატჩის ბედი.

118 - მეტოქეთა 118 დარტყმას გადაელობა „ნიუ იორკ რეინჯერსის" მცველი **დენ ჟირარდი,** რითაც ჯერჯერობით სეზონის რეკორდსმენი გახდა. ოდნავ ნაკლები დარტყმა (111) შეაჩერა კალგარელმა **მარკ ჯორდანომ.**

126 - საერთო ჯამში ამდენი წუთი გაგრძელდა 3 დეკემბერს „დეტროიტისა" და „ანაჰაიმის" შეხვედრა. ჩვეულებრივ, NHL-ის მატჩი ორი საათი და 30 წუთი მიმდინარეობს, მაგრამ „რედ უინგზმა" და „დაქსმა" პრაქტიკულად უპაუზოდ ითამაშეს. ასე სწრაფად ლიგაში მატჩი 2006-07 წლების სეზონის შემდეგ არ დასრულებულა.

188 - ყველაზე მეტი დარტყმა სეზონის პირველ ნახევარში „ვაშინგტონის" კაპიტან **ალექსანდრ ოვეჩკინს** ჰქონდა, თუმცა რუსმა ვარსკვლავმა მხოლოდ 14 შაიბის გატანა შეძლო, რაც რეალიზაციის 7.4 პროცენტი გახლავთ.

6,6 - 6 600 000-მა ჩრდილოამერიკელმა უყურა პირველ იანვარს Winter Classic-ს - „პიტსბურგსა" და „ვაშინგტონს" შორის ღია ცის ქვეშ გამართულ ორთაბრძოლას.

**კაროლინა-ატლანტა 3:4 (ო)**

1:1, 2:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ტ. რუუტუ-10 (კორვო-11), 1:1 ლიტლი-11 (ანტროპოვი-13, ენსტრიომი-29), 2:1 დელპი-3 (დუაიერი-7, ტ. რუუტუ-23), 3:1 სკინერი-14 (კორვო-12, მაკბეინი-13), 3:2 ბერგფორსი-9 (ლედი-22, ენსტრიომი-30), 3:3 ლიტლი-12 (ე. სტიუარტი-16, ოდუია-12), 3:4 კოული-11 (ი. უაიტი-8, ე. სტაალი-21).

**ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი 6:3**

1:2, 0:0, 5:1

**გოლები:** 0:1 პურსელი-7 (რიტოლა-4, დაუნი-13), 1:1 კლარკსონი-6 (სესტიტო-1, პელეი-2), 1:2 მელოუნი-11 (ლეკავალიე-11, სენტ ლუისი-35), 2:2 კლარკსონი-7 (კოვალჩუკი-12, ელიაში-20), 3:2 არნოტი-10 (ტალინდერ-5, ჟარკოვი-1), 4:2 ზურუსი-6 (როლსტონი-4, ელიაში-21), 5:2 ელიაში-9 (როლსტონი-5), 5:3 მური-7 (ა. ჰოლი-5, ოლუნდი-5), 6:3 პალმიერი-1 (კოვალჩუკი-13, ბროდო-1).

**მინესოტა-დალასი 0:4**

0:2, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 დელეი-3 (ბ. რიჩარდსი-30, ლ. ერიქსონი-30), 0:2 ბენი-10 (გროსმანი-5, მოროუ-11), 0:3 ნილი-15 (ბ. რიჩარდსი-31, დელეი-13), 0:3 ბენი-11 (რიბეირო-27, მოროუ-12).

**ჩიკაგო-აილენდერსი 5:0**

1:0, 4:0, 0:0

**გოლები:** 1:0 შარპი-25 (პ. კეინი-20, სიბრუკი-20), 2:0 მარიან ჰოსა-10 (კოპეცკი-19, შარპი-19), 3:0 პ. კეინი-13 (ტეუვზი-20, ჰიალმარსონი-4), 4:0 ბოლანდი-6 (მარიან ჰოსა-14, ბიკელი-13), 5:0 ჰიალმარსონი-2 (მარიან ჰოსა-15, ბ. კემპბელი-13).

**ანაჰაიმი-სან ხოსე 1:0**

0:0, 1:0, 0:0

**გოლი:** 1:0 რაიანი-18 (ლიდმანი-16, ვიშნოვსკი-26).


კროსბი და ოვეჩკინი

ამბები

## ოსგუდს ოპერაციას ურჩევენ

„დეტროიტ რედ უინგზის" მეკარე **კრის ოსგუდს** ისევ აწუხებს საზარდულის ტრავმა. ამ მიზეზით უახლოეს დღეებში 38 წლის მეკარე სამედიცინო შემოწმებას გაივლის. კლუბის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ოსგუდს სამკურნალოდ ოპერაცია ესაჭიროება. თავად ჰოკეისტი პლეი ოფის ეტაპის დაწყებამდე აპირებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.

## უბის ჩამოღებისთვის ექვსმატჩიანი სასჯელია

ჰოკეის ეროვნული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა „კალგარი ფლეიმზის" ფორვარდი **ტომ კოსტოპულოსი.** ასეთი მკაცრი სასჯელი „დეტროიტის" მცველ **ბრედ სტიუარტის** მიმართ გამოჩენილი უხეშობით არის გამოწვეული - კოსტოპულოსმა მეტოქეს ისე ჩაარტყა, რომ ყბა გაუტეხა.

გარდა ამისა, კალგარელ თავდამსხმელს 30 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა.

## რეინჯერსი რუსის გარეშე გააგრძელებს

„ნიუ იორკ რეინჯერსმა" სეზონის ბოლომდე დაკარგა რუსი ფორვარდი **ალექსანდრ ფროლოვი.** ჰოკეისტმა „სენტ ლუისთან" შეხვედრაში მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და ხანგრძლივი დროით გამოეთხოვა აქტიურ სპორტს.

ფროლოვი გასულ ზაფხულს გადავიდა „რეინჯერსში". 2000 წლის დრაფტის მე-20 ნომერმა წელს 43 მატჩში 16 (9+7) ქულის მოგროვება მოასწრო. სულ NHL-ში მის ანგარიშზე 397 ქულა (175+222) მოდის.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ესქისეჰირი-ვერდერი | 3:1 |
| ბურსა-ბრედა | 2:1 |
| ვენლო-სპარტა (რ) | 2:1 |
| ბრიუგე-დენ ჰააგი | 2:3 |
| **აზიის თასი** | |
| ინდოეთი-ავსტრალია | 0:4 |
| ს. კორეა-ბაჰრეინი | 2:1 |
| **ინგლისის თასი** | |
| **1/32 ფინალი** | |
| ქროული-დერბი | 2:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ატალანტა-გროსეტო | 2:0 |
| **სერია C1/A** | |
| კრემონეზე-ალესანდრია | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| ერკულესი-ატლეტიკო | 4:1 |
| **შოტლანდია** | |
| **1/32 ფინალი** | |
| რეინჯერსი-კილმარნოკი | 3:0 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| პიერიკოსი-პანთრაკიკოსი | 4:1 |
| იანინა-ოფი | 1:0 |
| **კვიპროსი** | |
| ომონია-ალკი | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (თ-ა)-ბეითარი | 1:0 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კრუზეიდერსი-გლენავონი | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **იტალია** | |
| ბრინდიზი-ბიელა | 91:82 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ატლანტი-დინამო (მნ) | 2:1 (ბ) |
| სკა-ვიტიაზი | 4:5 (ბ) |
| დინამო (რ)-დინამო (მ) | 4:2 |
| **ბელარუსი** | |
| შახტარი-ხიმიკი | 6:4 |
| ხიმვოლოკნო-ვიტებსკი | 3:7 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ოკლენდი** | |
| **ხირალდო**-ხიმენო ტრავერო | 6:2, 6:4 |
| ვენუსი-**რობრედო** | 7:6, 3:6, 0:6 |
| ბერლოკი-**კოლშრაიბერი** | 6:2, 3:6, 1:6 |
| **ATP. სიდნეი** | |
| ბეკერი-**სტახოვსკი** | 6:7, 6:7 |
| **ფ. მაიერი**-უორდი | 7:5, 6:0 |
| ფ. ლოპესი-**დელ პოტრო** | 7:6, 6:7, 6:7 |
| **ანდრეევი**-მარდი | 6:2, 6:4 |
| **ჟილი**-ნიემინენი | 6:2 უარი |
| **WTA. ჰობარტი** | |
| პარა სანტონხა-**ვესნინა** | 2:6, 1:6 |
| ლარსონი-**გროტი** | 1:6, 3:6 |
| **პენგი**-პირონკოვა | 2:6, 6:3, 6:2 |
| **პაჩეკი**-როგოვსკა | 6:1, 6:3 |
| **ბრიანტი**-სუარეს ნავარო | 4:6, 6:3, 6:4 |
| **გოვორცოვა**-პეერსი | 6:4, 6:2 |
| **მოლიკი**-არვიდსონი | 7:5, 6:3 |
| ოუდინი-**ზაკოპალოვა** | 3:6, 6:7 |
| კუდრიავცევა-რიბარიკოვა | 6:3, 6:4 |
| ტანასუგარნი-**ბალტაჩა** | 3:6, 3:6 |
| **მატეკი**-პავლიუჩენკოვა | 6:2 უარი |
| **ბარტოლი**-საფინა | 6:0, 6:1 |
| **WTA. სიდნეი** | |
| კირილენკო-**ციბულკოვა** | 3:6, 3:6 |
| მაკაროვა-**აზარენკა** | 6:2, 2:6, 4:6 |
| **ნა ლი**-როდიონოვა | 6:1, 6:2 |
| ბამერი-**პეერი** | 3:6, 7:5, 1:6 |
| **მარტინეს სანჩესი**-ჰანტუხოვა | 6:2, 6:4 |
| **პენეტა**-ჰრადეცკა | 6:4, 6:3 |
| ს. ზახვალოვა-**რაზანო** | 6:7, 2:6 |
| **ბ. ზახვალოვა**-პეტროვა | 6:2, 6:2 |
| კანეპი-**იოვანოვსკი** | 4:6, 4:6 |
| ვიკმაიერი-**სტოსური** | 5:7, 4:6 |
| **კლეიბანოვა**-სკიავონე | 6:7, 6:1, 6:2 |
| იანკოვიჩი-**რეზაი** | 5:7, 6:2, 3:6 |

TV პროგრამა

**11 დეკემბერი. სამშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**23:40** ინგლისის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. ვესტ ჰემი-ბირმინგემი. I მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**20:25** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. ფლახაუ. ავსტრია (LIVE).
**23:25** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ფლახაუ. ავსტრია (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**05:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-სან ანტონიო (LIVE).

**SPORT+**

**19:40** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ზარეჩიე (რუსეთი)-ფაკრო (პოლონეთი) (LIVE).
**21:55** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. სპლიტი (ხორვატია)-დინამო (რუსეთი) (LIVE).

**EUROSPORT**

**17:30** სნუკერი. მასტერსი. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. ფლახაუ. ავსტრია (LIVE).
**23:15** რალი-რეიდი დაკარი. IX ეტაპი. არგენტინა (LIVE).
**23:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ფლახაუ. ავსტრია (LIVE).
**00:15** სნუკერი. მასტერსი. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

ველოსპორტი

# კონტადორის საქმე მალე დასრულდება

ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციამ ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონის **ალბერტო კონტადორის** სკანდალური საქმის გამოძიება დაასრულა და მასალები ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირს გაუგზავნა. როგორც იცით, თანამედროვეობის საუკეთესო ველომრბოლს შარშანდელი ტურ დე ფრანსის დროს ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის - კლენბუტეროლის კვალი აღმოუჩინეს. ესპანელი არ უარყოფს დოპინგის მიღებას, თუმცა ირწმუნება, რომ ეს პრეპარატი მის ორგანიზმში ტურის მსვლელობისას მიღებული უხარისხო საკვების მეშვეობით მოხვდა.

ესპანეთის ფედერაციის დოკუმენტებში დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ აღმოჩნდა კონტადორის სისხლში 50 პიკოგრამი კლენბუტეროლი.

*„ამ დოკუმენტების შესწავლის შემდეგ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ: დისკვალიფიკაცია მისცენ კონტადორს, ფულადი ჯარიმით შემოიფარგლონ თუ საერთოდ უარი თქვან სანქციების გამოტანაზე",* - წერია ესპანეთის ფედერაციის განცხადებაში.

სავარაუდოდ, კონტადორის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას 23-24 იანვარს გამოიტანენ.

შეგახსენებთ, რომ ესპანელი ველომრბოლი ახალი სეზონიდან ახალ გუნდში - „საქსო ბანკში" გამოვა. დანიური ველოსაჯინიბოს ხელმძღვანელობა არ დაელოდა საბოლოო ვერდიქტს და უკვე შეიტანა კონტადორის განაცხადი მურსიის ტურში მონაწილეობაზე. ეს ველორბოლა ამა წლის მარტში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ალბერტო კონტადორი



ცურვა

# ტორპედომ ლონდონს დაუმიზნა


იან ტორპი

ლეგენდარულმა ავსტრალიელმა მოცურავემ, ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **იან ტორპმა** მაინც გადაწყვიტა დიდ სპორტში დაბრუნება. სპორტსმენის მენეჯერმა **დეივ ფლესკასმა** სააგენტო „როიტერს" განაცხადა, რომ ტორპმა უკვე დაიწყო ინტენსიური ვარჯიშები. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონის ოლიმპიადამდე დიდი გზაა გასავლელი, „ტორპედო" (ტორპის მეტსახელი) ძველებურად სიამოვნებას იღებს საყვარელი საქმისგან და არ გამორიცხავს 2012 წლის ზაფხულის თამაშებზე გამოსვლას. ამასთან, ავსტრალიელს აღარ აწუხებს მხარის ძველი ტრავმა.

ფლესკასმა ისიც დაამატა, რომ ამ მომენტისთვის ტორპი ყველაფერს აკეთებს საგაისო ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირისთვის სათანადოდ მოსამზადებლად. ეს შეჯიბრება თებერვალში ან მარტში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 13-გზის რეკორდსმენმა და 11-გზის ჩემპიონმა აქტიური კარიერა 2006 წელს დაასრულა. 2010 წლის მარტში ავსტრალიურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტორპი აუზს დაუბრუნდა და მალე მას დიდ სპორტში ვიხილავთ, მაგრამ ავსტრალიური ცურვის ლეგენდამ მაშინვე უარყო ეს ჭორი. ახლა, როგორც ჩანს, მან სერიოზულად განიზრახა უმაღლეს დონეზე დაბრუნება.

კრივი

# რკინის მაიკი მტრედების მოშენებას შეგვასწავლის

როგორც სააგენტო „როიტერი" იტყობინება, მარტში ტელეარხი Animal Planet დაიწყებს დოკუმენტური ტელესერიალის ჩვენებას, რომლის სახელწოდებაა - Taking On Tyson („შეჯიბრება ტაისონთან"). მისი მთავარი გმირები იქნებიან სუპერმძიმე წონის ყოფილი ჩემპიონი **მაიკ ტაისონი** და მტრედები, რომელთა მოშენებითაც ლეგენდარული მოკრივე ბავშვობიდან იყო გატაცებული. სერიალი ექვსი ნაწილისგან შედგება. ის მოგვითხრობს მტრედების იმ სპეციალური ჯიშის გამრავლებასა და მომზადებაზე, რომელიც შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის არის განკუთვნილი. ტაისონის გარდა, სერიალში მონაწილეობას მიიღებს მტრედების სპორტის რამდენიმე თაყვანისმცემელი.

*„აი, რით ვართ ახლა დაკავებული,* - განაცხადა ტაისონმა. - *მთელი ცხოვრება მტრედებს მივუძღვენი. მაშინაც ასე იყო, როცა რინგზე ვიდექი ან ციხეში ვიჯექი. ეს ჰობი არ არის. ეს ისაა, რითაც სიკვდილამდე ვიქნებით დაკავებული".*

გადაღებები ბრუკლინში მიმდინარეობს, სადაც ტაისონმა ბავშვობა გაატარა. მტრედების სპორტზე ინფორმაციის გავრცელების გარდა, სერიალი „რკინის მაიკის" ცხოვრებაზეც მოგვიყვება. *„იქ არის დეტალები ჩემი ცხოვრებიდან. ძალიან დატვირთული და რთული წარსული მქონდა... ბავშვობის რამდენიმე ადგილსაც მოვინახულებთ, რომლებმაც ცუდი როლი ითამაშეს ჩემს ცხოვრებაში",* - ამბობს მაიკი.


მაიკ ტაისონი

ამბები

კრივი

## ვიტალიმ და სოლისმა ყველაფერი გაარკვიეს

პრაქტიკულად დასრულდა მოლაპარაკებები სუპერმძიმე წონაში WBC-ის სატიტულო ბრძოლაზე, რომელშიც მოქმედი ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო** კუბელ **ოდლანიერ სოლისს** შეხვდება. მხარეებმა უკვე მიაღწიეს შეთანხმებას ყველაზე პრობლემურ საკითხში. ეს გახლავთ ჰონორარის განაწილება. აუცილებელი პრეტენდენტი სოლისი დათანხმდა ამ ბრძოლისთვის 1.8 მილიონი დოლარის მიღებას.

ასე რომ, 19 მარტს გერმანიის ქალაქ კიოლნის საფეხბურთო არენაზე ვიტალი კლიჩკო კიდევ ერთხელ ეცდება საჩემპიონო ქამრის შენარჩუნებას.

ჩოგბურთი

## ბაღდატისმა სიდნეი დატოვა

ამ კვირას სიდნეიში მიმდინარე ტურნირი მოქმედი ჩემპიონისა და მეორე ნომრად განთესილი **მარკოს ბაღდატისის** გარეშე დარჩა - კვიპროსელმა საზარდულის ტრავმის გამო ტურნირიდან განაცხადი გამოიტანა.

*„უკვე ოთხი დღეა საზარდულის არეში ტკივილს ვგრძნობდი. ამიტომაც მწვრთნელებმა და ექიმებმა სიდნეის ტურნირის გამოტოვება მირჩიეს. საწყენია, რადგან მოქმედი ჩემპიონი ვარ და ძალიან მინდოდა ტიტულის შენარჩუნება. ასეთი გადაწყვეტილების მიღება რთულია, მაგრამ ხანდახან საჭიროა ამის გაკეთება",* - განაცხადა ბაღდატისმა „როიტერთან" ინტერვიუში.

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# შვეიცარიული დასაწყისი

ქალთა ტურისგან განსხვავებით, ATP-იმ ახალი სეზონი სამი ტურნირით დაიწყო და რა თქმა უნდა, ყველაზე წარმომადგენლობითი გახლდათ პირველობა დოჰაში, სადაც ორგანიზატორებმა ისევ შეძლეს მსოფლიოს პირველი ორი ჩოგნის - **რაფაელ ნადალისა** და **როჯერ ფედერერის** ჩაყვანა. ამ დუეტს ემატებოდა ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა** და რუსი **ნიკოლაი დავიდენკო**, რომელიც ყატარის დედაქალაქში შარშანდელ ტიტულს იცავდა.

ჩამოთვლილი ჩოგბურთელები პირველ ოთხ ნომრად იყვნენ განთესილები და ოთხივემ ნახევარფინალამდე გააღწია, თუმცა ლიდერებს გზად გარკვეული პრობლემები შეექმნათ. მაგალითად, ფედერერს საწყის წრეში ყველასთვის უცნობ **ტომას სხორელთან** პირველ პარტიაში სამი სეტბოლის მოგერიებამ მოუწია. იგივე დაემართა ცონგას **გილერმო გარსია-ლოპესთან** მატჩში, ხოლო ყველაზე მეტად საკუთარი გულშემატკივარი **რაფაელ ნადალმა** ანერვიულა. მეორე წრეში მისი მეტოქე იყო **ლუკაშ ლაჩკო**, რომელთანაც ესპანელმა მეორე სეტი დათმო, თანაც ისე, რომ ერთი გეიმიც ვერ მოიგო. ბოლოს რაფამ „მშრალი" ანგარიშით პარტია 2009 წელს როტერდამის ფინალში **ენდი მიურეისთან** წააგო.

ნადალის პრობლემებს ობიექტური მიზეზები ჰქონდა - რაფა ტურნირის მსვლელობისას გაცივდა და მძიმე პირობებში მოუწია თამაშმა. ყველაზე მეტად მისი მდგომარეობა ნახევარფინალში დავიდენკოს წინააღმდეგ დამძიმდა. ამის გამო ესპანელმა რუსს დოჰაში შარშანდელი მარცხისთვის რევანში ვერ აუღო. პირველი ჩოგანი პერიოდულად კარგ თამაშს აჩვენებდა, მაგრამ საერთო ჯამში სისწრაფეში ჩამორჩებოდა მეტოქეს. პირველი სეტი დავიდენკომ ერთი ბრეიკის წყალობით მოიგო, მეორეში კი საქმე „მშრალ" ანგარიშამდე მიდიოდა, თუმცა ბოლოს ნადალმა ორი გეიმი მოიგო და „ღირსეულად" დამარცხდა - 3:6, 2:6.

ფინალში დავიდენკოს მეტოქე ფედერერი გახდა - შვეიცარიელმა ცონგასთან ნახევარფინალი ასევე ორ სეტში მოიგო. თუ დავიდენკოს ნადალთან შეხვედრებში დადებითი ბალანსი ჰქონდა, ფედერერთან მისი პირადი ანგარიში კატასტროფული იყო - 2:14.

გადამწყვეტ მატჩში რუსმა პირველი სეტის სტარტზევე მისცა მეტოქეს ბრეიკის გაკეთების შანსი. დავიდენკოს ამ პარტიაში როჯერის გეიმის აღების ერთი შანსიც არ ჰქონია - მოწინააღმდეგის მოწოდებაზე მაქსიმუმ ორ ქულას იღებდა. ბრძოლა მხოლოდ დავიდენკოს გეიმებში იყო. განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა მერვე გეიმი, სადაც კოლიამ ექვსი სეტბოლი გადაარჩინა, მაგრამ, როგორც კი ფედერერის მოწოდების ჯერი მოვიდა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

მეორე სეტი პირველისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მეტოქეები მეცხრე გეიმამდე ისე მივიდნენ, ერთმანეთს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ დაუთმეს. მაგრამ ამის შემდეგ დავიდენკოს ჩავარდნა დაეწყო - ზედიზედ ორი გეიმი ნულზე დათმო და საათსა და 20 წუთში ფინალი დასრულდა - 6:4, 6:3 ფედერერის სასარგებლოდ. ბრწყინვალე შვეიცარიელმა კარიერაში 67-ე ტიტული გაიფორმა.

■ ■ ■

ჩენაისა და ბრისბენის ტურნირები შემადგენლობითა და საპრიზო ფონდით დოჰას ჩამოუვარდებოდნენ. ამ ორიდან უფრო წარმომადგენლობითი იყო ბრისბენში გამართული პირველობა. აქ ATP-ის პირველი ათეულის სამი წევრი ჩავიდა - **რობინ სიოდერლინგი**, მოქმედი ჩემპიონი **ენდი როდიკი** და **ფერნანდო ვერდასკო**. სწორედ ვერდასკოს უკავშირდება საწყისი ეტაპების მთავარი სენსაცია. ესპანელმა პირველივე წრეში **ბენიამინ ბეკერთან** წააგო. ასევე მოულოდნელობად უნდა შეფასდეს **დენის ისტომინის** მარცხი **მეტიუ ებდენთან** და **მარდი ფიშის** წაგება **რადეკ შტეპანეკთან**. თუმცა მეორე შემთხვევაში არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ შტეპანეკი შარშან აქ ფინალში გავიდა.

ტურნირის მთავარი აღმოჩენა კი სამხრეთაფრიკელი **კევინ ანდერსონი** გახდა. გარკვეულწილად მას სატურნირო ბადის მხრივ გაუმართლა. **ხირალდოსა** და **ლუჩაკის** გარდა, კევინმა **ფელისიანო ლოპესი** დაამარცხა, რომელიც ტურნირის მსვლელობისას ავად გახდა. ასე მივიდა ანდერსონი ნახევარფინალამდე, სადაც როდიკი ელოდა. კევინმა სახელოვან ამერიკელს ერთი სეტი აართვა, მაგრამ მეტის გაკეთება ველარ შეძლო და გადამწყვეტ სეტში სერიოზული ბრძოლა არ ყოფილა. მეორე ნახევარფინალში სიოდერლინგმა შტეპანეკი შეაჩერა.

ფინალში უმაღლესი განთესვის მქონე ჩოგბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს - მათი ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 3:2 იყო სიოდერლინგის სასარგებლოდ. შვედს მთელი ტურნირი სეტი არ ჰქონდა წაგებული და ამერიკელზე უკეთ მომზადებული ჩანდა. ფინალში მან მოწოდებაზე ბრწყინვალედ ითამაშა. მთელი მატჩის განმავლობაში ენდიმ მიღებაზე მხოლოდ ათი ქულის აღება შეძლო და ერთი ბრეიკ-პოინტიც ვერ მოიპოვა. შვედმა კი მეტოქის მოწოდებაზე არაერთი შანსი მიიღო, თუმცა თითო სეტში თითო ბრეიკი მოიგო და ესეც საკმარისი აღმოჩნდა კარიერაში მეშვიდე ტიტულის მოსაპოვებლად - 6:3, 7:5.

■ ■ ■

ინდოეთის ქალაქ ჩენაიში პირველად ნომრად რეიტინგის მეექვსე ჩოგანი, ჩეხი **ტომაშ ბერდიხი** იყო განთესილი, სულ კი ბადეში ტოპ 50-ის მხოლოდ ექვსი ჩოგბურთელი ვიხილეთ.

პირველივე წრეში სენსაცია მოხდა. მეორე ნომრად განთესილი და 2009 და 2010 წლების ტიტულების მფლობელი **მარინ ჩილიჩი** იაპონელ **კეი ნიშიკორისთან** დამარცხდა.

შარშანდელმა ფინალისტმა **სტანისლას ვავრინკამ**, რომელიც ცოტა ხნის წინ ცოლს გაეყარა, დროულად ვერ შეძლო განაცხადის შეტანა და ამიტომაც ორგანიზატორებს უაილდ-ქარდი სთხოვა. პირველ წრეებში შვეიცარიელი არც ისე დამაჯერებლად თამაშობდა, მაგრამ შემდეგ ტემპს მოუმატა და ნახევარფინალში დამაჯერებლად დაამარცხა მთავარი ფავორიტი ბერდიხი - 6:4, 6:1. ფინალში მისი მეტოქე ჩენაის 2007 წლის ტრიუმფატორი **ქსავიე მალისე** გახდა. სტანისლასი აგებდა პირველ სეტს, მაგრამ დროულად მოუმატა თამაშს და პარტიის ბედი შემოატრიალა. მეორეში ნაადრევად წააგო საკუთარი მოწოდება და დაკარგული ველარ დაიბრუნა, სამაგიეროდ, მესამეში სრულად დომინირებდა და მეტოქისთვის მხოლოდ ერთი გეიმი გაიმეტა - 7:5, 4:6, 6:1. ვავრინკასთვის ეს იყო მესამე ტიტული კარიერაში და პირველი მას შემდეგ, რაც ცნობილ სპეციალისტ **პეტერ ლუნდგრენთან** დაიწყო თანამშრომლობა.

**ATP**

**ExxonMobil Open**

დოჰა (კატარი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 024 000 დოლარი

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4) 6:3, 6:4.

**Brisbane International**

ბრისბენი (ავსტრალია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 372 500 დოლარი

**ფინალი**

**რობინ სიოდერლინგი (შვედ, 1)**-ენდი როდიკი (აშშ, 2) 6:3, 7:5.

**Chennai Open**

ჩენაი (ინდოეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 398 250 დოლარი

**ფინალი**

**სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 3)**-ქსავიე მალისე (ბელ, 7) 7:5, 4:6, 6:1.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


როჯერ ფედერერი